პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

29 დეკემბერი **ოთხშაბათი** 2010

№ 307 (13295) ფასი 60 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მერამდენედ?

## ფედერაცია და ყადაღა
## ყბადაღებული და ყბა დაღებული




2

LFP

**2 იანვარს ესპანეთი გაიფიცება?**

7

## მარიომ ნაუსუპერა



წუხელ მარიო ბალოტელიმ ასტონ ვილას სამი ბურთი გაუტანა

5

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

● პრობლემა

# პრივეტ ოტ პრივატა საბანკო რუტინა თუ...

## ტაოპრივატბანკმა ფედერაციას „პადკატი“ გაუკეთა

გუშინ დილით მოულოდნელი ამბავი შევიტყვეთ – ფეხბურთის ფედერაციას ანგარიში დააყადაღეს. ფედერაციის პრესატაშე **ლაშა დვალიშვილს** საყრილობო ამბების გასაგებად დავუკავშირდით და ჩვენი ლაპარაკი სულ სხვა მიმართულებით წარიმართა:

- არც ვიცი, რამდენად უპრიანია ახლა ყრილობაზე ლაპარაკი, როდესაც ფედერაციაში მისულთ გვაცნობეს, რომ "ტაოპრივატბანკმა" ფეხბურთის ფედერაციის საბანკო ანგარიშები გაყინა.

**- რატომ?**

- ფეხბურთის ფედერაციის წინა ხელმძღვანელობამ "ტაოპრივატბანკიდან" სესხად 300 ათასი ევრო გამოიტანა. ჩვენ ამ სესხსაც ისევე ვისტუმრებდით, როგორც სხვა ვალებს. საერთოდ, დაყადაღების მიზეზია ცოტა გაურკვეველი. ეს ხდება იმ დროს, როდესაც ფედერაცია რამდენიმე კომპანიასთან სპონსორობის თაობაზე მოლაპარაკებას აწარმოებს, სანაკრებო საჭიროებისთვის ყოველდღე თანხებია გასაცემი, ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნები კი კარს მოგვადგა. ამდენად, მომხდარი ჩვენს გაოცებას იწვევს და იმედს ვიტოვებთ, რომ ფედერაციას ნორმალური მუშაობის საშუალება მალე მიეცემა.

ცხადია, ფედერაციის ხელმძღვანელობა "ტაოპრივატბანკის" თავკაცებს შეხვდება და ვითარებაში გარკვევას შეეცდება. ასეთ დროს ფედერაციის საქმიანობის შეჩერება დაუშვებელია, მით უფრო, რომ არჩევნებამდე სამი კვირაა დარჩენილი.

ცხადია, ანგარიშის დაყადაღება ფედერაციის საქმიანობას და საარჩევნო მზადებას ხელს შეუშლის და ეს არის ძალიან საყურადღებო. საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად თანხებია საჭირო, რომელსაც დაყადაღებული ანგარიშიდან ვერ გავცემთ.

დვალიშვილთან საუბრის შემდეგ საკითხის დეტალები ფედერაციის ბუღალტერიაში გავარკვიეთ.

ფეხბურთის ფედერაციის ძველმა ხელმძღვანელობამ "ტაოპრივატბანკიდან" 300 ათასი ევროს ოდენობის სესხი აიღო, რომელიც 2010 წლის დასაწყისამდე უნდა დაეფარა. ამ დროს ფედერაციას უკვე ზვიად სიჭინავა ხელმძღვანელობდა, რომელმაც გაზაფხულამდე ძველი, 18 მილიონიანი დავალიანების 6 მილიონ ლარამდე ჩამოყვანა მოახერხა.

ამ დროისთვის ფედერაციის თავკაცებმა მოლაპარაკება წამოიწყეს "ტაოპრივატბანკის" ხელმძღვანელობასთან, ვალი აღიარეს და სთხოვეს, რომ მისი რეფერენსირება მოეხდინა. ეს რას ნიშნავს? რადგან ფედერაცია აღიარებდა დავალიანებას, მთლიანი თანხის ახალ სესხად გაფორმებას და გადახდის ახალი გრაფიკის შემუშავებას ითხოვდა. მიუხედავად რამდენიმეგზის თხოვნისა და წერილობითი მიმართვისა, ქართული ფეხბურთის მნიშვნელობაზე აპელირებით, "ტაოპრივატბანკის" თავკაცებმა ფედერაციის ამ თხოვნაზეც არანაირი რეაგირება არ მოახდინეს.

ბანკისთვის ისიც არაფერს ნიშნავდა, რომ ფედერაციამ ძველი ვალების მნიშვნელოვანი ნაწილი გაისტუმრა.

"ტაოპრივატბანკის" ხელმძღვანელობამ 2010 წლის 24 ნოემბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროში იჩივლა და თანხის ამოღება მოითხოვა. 15 დეკემბერს აღსრულების თბილისის ბიურომ დაყადაღების გადაწყვეტილება მიიღო, 27 დეკემბერს კი ფეხბურთის ფედერაციის ყველა ანგარიში და უძრავ-მოძრავი ქონება დააყადაღა. ოფიციალურად "ტაოპრივატბანკს" ვერ მოედავები – დავალიანების გადაუხდელობა დასჯადი საქციელია. ყველა იურიდიული დოკუმენტი იმაზე მიუთითებდა, რომ ფედერაციამ საკუთარი პირობები არ შეასრულა. თბილისის სააღსრულებლო ბიუროს დადგენილებით, დაყადაღდა ფედერაციის კუთვნილი ყველა სხვა საბანკო ანგარიში და უძრავ-მოძრავი ქონება, ფედერაციის თანამშრომლები კი საახალწლოდ ხელფასებს ვერ მიიღებენ.

ახლა ფედერაცია კიდევ ერთი საფრთხის წინაშე დგას – თუ პრობლემა ახალ წლამდე არ მოგვარდა, ამოქმედდება ე.წ. სეკვესტრირების წესი. ეს იმას ნიშნავს, რომ ორგანიზაციის ანგარიშზე წლის ბოლოს აუთვისებელი თანხა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ჩამოეჭრება. "ტაოპრივატბანკში" ფედერაციას დაახლოებით 200 ათას ევრომდე აქვს დარჩენილი და, როგორც შევიტყვეთ, ბანკის მმართველებს ამ თანხის კრედიტის საფასურად ჩამოჭრას სთავაზობენ, სულ რომ არ დაიკარგოს, მაგრამ ამაზეც უარი მიიღეს.

ეს ყველაფერი ძალიან უცნაურ შთაბეჭდილებას ტოვებს. ზოგს მიაჩნია, რომ საკითხი არ იყო ძნელად მოსაგვარებელი და აკი ეჭვიანები მომხდარში ფედერაციის მოქმედი პრეზიდენტის წინააღმდეგ წინასაარჩევნოდ დაგებულ მახეს ხედავენ. ჩვენ ამაზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ სახელმწიფო ბიუჯეტი ფედერაციას ისედაც 7 მილიონი ლარით ეხმარება. ამ დროს "ტაოპრივატბანკში" ფედერაციის ანგარიშზე არსებული 200 ათასი ევროს ბანკისთვის გადარიცხვა თუ შეიძლება - ან რატომ არ უნდა შეიძლებოდეს, ბანკის მიზანი ხომ თანხის ამოღებაა - რატომ უნდა იზარალოს ფეხბურთმა (ამ შემთხვევაში ფედერაციის სახით) და რატომ უნდა დაესაკუთროს მის 200 ათას ევროს სახელმწიფო, რომელიც იანვრიდან მისთვის 7 მილიონი ლარის გამოყოფას აპირებს? ან რაში უნდა აძლევდეს ხელს ეს ბანკს?! ამ საკითხში ბევრი რამ გაურკვეველია და ცალმხრივი დასკვნის გაკეთება არ გვსურს, სანამ "ტაოპრივატბანკის" განცხადებას არ გავეცნობით. გუშინ კი ბანკის განმარტებებს უშედეგოდ ველოდით.

საბედნიეროდ, "ტაოში" აღებული კრედიტი ფედერაციის ქონებით არ არის უზრუნველყოფილი, ანუ ფედერაციის შენობა ბანკში არ ჩაუდიათ და ვინმეს ტვინი რომ გადაუტრიალდეს, შენობას ვერ გაყიდის.

თუმცა, ვიდრე ფედერაციის თავკაცები უფრო დიდი დავალიანების გასტუმრებაზე ფიქრობდნენ, "ტაოპრივატბანკის" 300 ათას ევროიანმა სესხმა პროცენტებითა და ჯარიმებით 400 ათას ევროს მიუკაკუნა.

ფედერაცია კი დავალიანების გასტუმრების ახალი გრაფიკის შედგენას ითხოვს, რათა ყრილობისთვის მზადება, სანაკრებო და, საერთოდ, საფეხბურთო მეურნეობის საქმიანობა არ შეფერხდეს და ნორმალური სამუშაო რეჟიმი აღდგეს.

... ფეხბურთის ფედერაციის ანგარიშის დაყადაღება "მოდაში" **მერაბ ჟორდანიას** პრეზიდენტობის დროს შემოვიდა. როცა არ ეზარებოდათ, ფედერაციას ანგარიშს უყინავდნენ და რატომღაც ეს ამბავი ძალიან საეჭვოდ და ხშირად მნიშვნელოვან სანაკრებო შეხვედრებს ემთხვეოდა, რა თქმა უნდა, თუ ამას დამთხვევა შეიძლება ეწოდოს.

ჟორდანიას მმართველობისას ფედერაციის ანგარიში სულ ცხრაჯერ დააყადალეს და ეს მეტი არაფერი იყო, თუ არა ხელის შეშლა. თუმცა ამ ყველაფერს ძალიან პრაგმატულად ასაბუთებდნენ – ფედერაციის ვალები გადასახდელი იყო და ვერც შეედავებოდი.

იმ დროის სუსხი სიჭინავამ გაითვალისწინა და ერთ-ერთ ბოლო პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ადრინდელისგან განსხვავებით, ამჟამად ფედერაციას თითოეული საჭიროებისთვის ცალკე ანგარიში აქვს გახსნილი - ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებებისთვის, ფიფასა და უეფას გრანტებისთვის, მსაჯებისთვის, მშენებლობებისთვის და ა.შ. მაგრამ ერთი ანგარიშის დაბლოკვამ ყველა დანარჩენის დაყადაღება განაპირობა.

ცხადია, დაყადაღებას დავალიანება იწვევს, თუმცა იმედია, მომხდარი გაუგებრობად ჩაითვლება და მალე დასრულდება. ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვინ მართავს ფედერაციას, ამ შემთხვევაში მთავარია, ფედერაციამ გამართულად იმუშაოს და ნაკრებებს და საფეხბურთო მეურნეობას დღევანდელზე მეტი პრობლემა არ შეექმნას.




რევაზ არველაძე (მარცხნივ) და ზვიად სიჭინავა

● ბენდელას თასი



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

მარცხნიდან: ალექსანდრე ამისულაშვილი, დავით ოდიკაძე, დავით მუჯირი

# დღეს ფინალია

გუშინ "ბენდელას თასზე" ჯგუფური ეტაპის ბოლო და ნახევარფინალური მატჩები გაიმართა. სეუ-მ „პრობაციონერები" 7:2 დაამარცხა, "თბილისმა" კი "ოლიმპი" – 3:2.

**ჯგუფური ეტაპი**

| სეუ 7:2 პრობაციონერები | |
|---|---|
| ცხადაძე 2 | ბადრიშვილი |
| ნავალოვსკი 2 | ციცხვაია |
| ოდიკაძე | |
| ლ. ნოზაძე | |
| ცხომარია | |

| ოლიმპი 2:3 თბილისი | |
|---|---|
| სტეფნაშვილი | ჯანელიძე 2 |
| ფანცულაია | გორგოძე |

**ნახევარფინალები**

| სეუ 4:2 ოქროს თევზი | |
|---|---|
| ნოზაძე 2 | ამისულაშვილი |
| ოდიკაძე | მაზიაშვილი |
| ცხადაძე | |

| თბილისი 2:6 საბურთალო | |
|---|---|
| ქელიძე | ჭანტურია 3 |
| ვაშაკიძე | გოგუა |
| | რეხვიაშვილი |
| | გოგოლაძე |

ორივე ნახევარფინალი დაძაბული და სანახაობრივი გამოდგა. სეუ-მ დაძაბულ მატჩში ტურნირის ფავორიტი "ოქროს თევზი" 4:2დაამარცხა და ფინალში გავიდა.

სეუ-ს ბაქოს "ინტერის" და არნემის "ვიტესის" მცველები **დავით ოდიკაძე** და **გურამ კაშია** დაემატნენ, **დავით მუჯირის** "ოქროს თევზს" კი ეროვნული ნაკრების ვიცე-კაპიტანი **ლევან კობიაშვილი** ვეღარ დაეხმარა, რადგან "ჰერტა" მეორე წრისთვის მზადებას ადრიანად იწყებს და გერმანიაში გაემგზავრა.

**გიორგი დევდარიანის** 17-წლამდელებისგან შემდგარმა "საბურთალომ" ვეტერანები, **დავით სოლოღაშვილი, დავით გოგოლაძე,** ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი **გოგიტა გოგუა** და "ვიტესის" თავდამსხმელი **გიორგი ჭანტურია** დაიმატა და ლატვიაში მოთამაშე ქართველი ლეგიონერების "თბილისს" 6:2 მოუგო.

მერწმუნეთ, ღირდა გიორგი ჭანტურიას ნახვა. ფეხბურთელი, რომელიც ასაკის მიუხედავად, ჰოლანდიურ კლუბში ერთ-ერთი საუკეთესოა, უფრო გამოცდილი მეტოქეების წინააღმდეგ ლაღად და თავისუფლად თამაშობდა, პირველივე ტაიმში ჰეთ-თრიქი შეასრულა და თავისიანების გამარჯვება განაპირობა.

დღეს კი "ბენდელას თასის" საიუბილეო, მეოცე გათამაშების გამარჯვებული გამოვლინდება. 15 საათზე იოსებიძის ქუჩაზე მდებარე "ოლიმპის" მოედანზე ერთმანეთს სეუ და "საბურთალო" შეხვდებიან.

● ევროპისკენ

# იმედიანი წულუკიანი

## ვიზირებული თამაშის მოლოდინში

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების კანდიდატი, საფეხბურთო აკადემია "ოლიმპის" ფეხბურთელი **სანდრო წულუკიანი** ზაფხულიდან დანიაშია და "ვეილეს" 19-წლამდელთა გუნდში ვარჯიშობს.

"თბილისში გია ცეცაძესთან, თემურ ფოცხვერიასთან და გურამ ჩომახიძესთან ვვარჯიშობდი. ზაფხულში კი დანიაში წასვლის შანსი გამიჩნდა და 7 აგვისტოს გავემგზავრე. "ვაილეში" ჯერ ჩემი მატჩების ჩანაწერი გავაგზავნე და მწვრთნელი დაინტერესდა. კლუბში გასინჯვაზე 65 ფეხბურთელი მიიწვიეს სამხრეთ ამერიკიდან და აფრიკიდან. სამი კვირის ნაცვლად, ჩემი დატოვება ერთი კვირის შემდეგ გადაწყვიტეს, სულ სამი შეგვარჩიეს და "ვაილეს" 19-წლამდელთა გუნდში ჩაგვრიცხეს. მართალია, არაევროკავშირელის იქ ჩასვლა და ვარჯიში პრობლემაა, მაგრამ მე ვარჯიშის უფლება დამრთეს, 10 იანვრიდან კი ოფიციალურ ვიზას ველი და იმედი მაქვს, "ვაილეში" თამაშის ნებას დამრთავენ. კარგია დანიაში ვარჯიში, მაგრამ უთამაშებლად ვარჯიშს აზრი არ აქვს", - ამბობს სანდრო წულუკიანი.




სანდრო წულუკიანი

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდზე და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

დაჯილდოება

# თბილისის ფედერაცია: საუკეთესოები და საუკეთესო გადაწყვეტილება

## ფეხბურთი უბრალო ხალხის თამაშია

ბოლო სამი წელია, თბილისის ფეხბურთის ფედერაცია დედაქალაქის საუკეთესო საფეხბურთო სკოლას, ბავშვთა გუნდს და მწვრთნელს ასახელებს. ტრადიცია არც წლეულს დარღვეულა – საზეიმო გალა-საღამოს კინოთეატრმა „საქართველომ“ უმასპინძლა.

„თბილისის ფედერაციამ დედაქალაქის 32-ვე სკოლის მწვრთნელები გამოკითხა და შედეგი მათ მიერ შევსებული ანკეტების მიხედვით შეჯამდა: 2010 წლის საუკეთესო სკოლად დასახელდა 35-ე საფეხბურთო სკოლა, საუკეთესო გუნდად - ნოდარ ჭელიძის გაწვრთნილი 1997 წელს დაბადებულთა „ოლიმპი“, საუკეთესო მწვრთნელად - კობა ჟორჟიკაშვილი“, - გვითხრა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **გოჩა თამაზაშვილმა.**

თბილისის ფედერაციის ერთ-ერთი თავკაცი მნიშვნელოვან სიახლეს გვიმხელს: "თბილისის ფედერაციამ გადაწყვიტა, რომ ჩვენი ეგიდით გამართულ ელიტლიგაში მონაწილეო-



ბისთვის ბავშვთა წლიური გადასახადი 80 ლარიდან 50-60 ლარამდე შემცირდეს; კლუბებს გადასახადს განაცხადში შეყვანილი თვრამეტი ბავშვისთვის მოვთხოვთ, დანარჩენებს კი უფასოდ შეიყვანენ; თუ გაჭირვებულ ბავშვებზე ადრე წერილობით მოგვმართავდნენ, ახლა თავად შეიყვანენ. ეს იქნება პირველ ეტაპზე, საბოლოოდ კი იმდენი სპონსორის მოძებნა გვსურს, გადასახადი საერთოდ რომ გავაუქმოთ. ეს არის თბილისის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი. იმედია, ამ გადაწყვეტილებით თავის გამოჩენის შანსი მეტ ნიჭიერ ბავშვს მიეცემა. რეალობას ყველა ვაცნობიერებთ, უფულობის გამო გაჭირვებული ოჯახები შვილებს ფეხბურთზე ვერ უშვებენ და ბევრი ტალანტი იკარგება.

ვფიქრობ, გადასახადების გაუქმება ზაფხულიდან რეალური გახდება. ჩვენს პროექტს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ყრილობის შემდეგ შევთავაზებთ და მედიასაც გავაცნობთ. იკითხავთ, ამას რა სახსრებით ვაპირებთ – თბილისის ფეხბურთის ფედერაციაში წლის განმავლობაში შემოსული თითოეული თეთრი დავითვალეთ, ყველაფერი ავწონ-დავწონეთ და ჩავთვალეთ, რომ ფედერაციის შემოსავლების უფრო ეფექტური გადანაწილებით გადასახადების გაუქმება რეალურია. ამას გარდა, ფეხბურთის ფედერაციასთან ერთობლივი პროექტის მიხედვით, ელიტლიგის მსაჯებზეც გავრცელდება საერთო დაფინანსება და ესეც გარკვეულ თანხებს გამოათავისუფლებს“.

გოჩა თამაზაშვილმა თბილისის ფედერაციის ქველმოქმედებაზეც გვიამბო: "ჩვენი ფედერაციის წარმომადგენლები ყოველი წლის ბოლოს ძეგვის მიუსაფარ ბავშვთა სახლს ვსტუმრობთ. ბავშვებს დღესაც ვესტუმრეთ და ახალი წელი წინასწარ შაქრით, ფქვილითა და საახალწლო ნუგბარით მივულოცეთ".

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ გოგიტა გოგუასთან

# ქართველები ვოლგას აღმა უნდა შეუყვანენ

## ქეცბაია ველოსიპედს არ იგონებს. ის მას კარგად იყენებს



ეროვნული ნაკრების ნახევარმცველ გოგიტა გოგუას ნალჩიკის „სპარტაკმა“ ჯერ კიდევ ზაფხულში შესთავაზა კონტრაქტის გაგრძელება. თუმცა გარიგება არ შედგა. ზაფხულშივე გაირკვა, რომ ზამთრის სატრანსფერო პერიოდისას, როცა გოგიტა თავისუფალი აგენტის სტატუსს მიიღებდა, კლუბს შეიცვლიდა. მისი სახელი არაერთ კლუბს დაუკავშირეს, თუმცა საბოლოოდ სამი გამოიკვეთა - თურქული „კაისერისფორი“, ჰოლანდიური „ვიტესი“ და რუსული „ვოლგა“. საბოლოოდ გოგუა ომარ თეთრაძის „ვოლგაში“ აღმოჩნდა. საინტერესოა, რატომ შეაჩერა არჩევანი გოგუამ პრემიერლიგის დებიუტანტ გუნდზე. გოგიტას, რომელიც „ბენდელას თასზე“ ასპარეზობს, საკლუბო და სანაკრებო თემებზე ვესაუბრეთ.

- კარიერას ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგაში“ გავაგრძელებ. კლუბთან კონტრაქტი ჯერ არ გამიფორმებია, მაგრამ იანვრის დასაწყისში შევუერთდები და სამწლიან ხელშეკრულებას მოვაწერ ხელს.

**- ახალი გუნდის თავკაც ომარ თეთრაძეს თუ ელაპარაკეთ, იცნობთ მას?**

- დეტალურად, ასე ვთქვათ, პროფესიულად ჯერ არ გვილაპარაკია. ომარ თეთრაძე რუსულ ფეხბურთში ცნობილი მწვრთნელია. მან ორი გუნდი, ჯერ მახაჩყალის „ანჟი“, ახლა კი ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგა“ პირველი დივიზიონიდან პრემიერლიგაში ზედიზედ გადაიყვანა. რუსულ ფეხბურთში ეს პატარა საქმე არ არის და რომ არა მისი კვალიფიკაცია, ეს ძალიან გაჭირდებოდა. თეთრაძეზე კარგის მეტი არაფერი მსმენია. მასაც საკმაო წარმოდგენა აქვს ჩემზე და მჯერა, ჩვენი ერთად მუშაობა ორივესთვის სასარგებლო და წარმატებული იქნება.

**- სააგენტოები რუსულ და უცხოურ კლუბებში გიწინასწარმეტყველებდნენ კარიერის გაგრძელებას. „ვოლგას“ გარდა, რა ვარიანტები გქონდათ?**

- წინადადებები მართლაც იყო, მაგრამ ყველაფერი ავწონ-დავწონე და ბოლოს „ვოლგაში“ ვარჩიე. თუმცა ნალჩიკის „სპარტაკი“ ახალ კონტრაქტს მთავაზობდა კარგი პირობებით და დარჩენაც შემეძლო.

**- უჩვეულო ამბავია, როცა რუსეთის პრემიერლიგის მეექვსე ადგილზე გასული გუნდიდან ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე ლიგის დებიუტანტ გუნდში გადადის. რამ განაპირობა თქვენი არჩევანი?**

- მართალი გითხრათ, გარემოს შეცვლა მინდოდა და ამიტომაც ვთქვი უარი ნალჩიკში დარჩენაზე. ვფიქრობ, „ვოლგაში“ ის ვითარება იქნება, როგორიც მე წარმომიდგენია. მართალია, ჩემი ახალი გუნდი ლიგის დებიუტანტია, მაგრამ სამომავლოდ ამბიციური მიზნები ექნება.

**- ეტყობა, ახალი გუნდის მიზნებზე უკვე ინფორმირებული ხართ.**

- როგორც მითხრეს, პირველ სეზონში „ვოლგა“ ათეულში მოსახვედრად იბრძოლებს, მერე კი ხუთეულში მოხვედრა იქნება ჩვენი გუნდის მიზანი.

**- გარემოს შეცვლა ახსენეთ და, ჰოლანდიურ „ვიტესშიც“ ხომ შეგეძლოთ გადასვლა.**

- „ვიტესს“ მართლაც ჰქონდა ინტერესი, მაგრამ რეალურ წინადადებამდე საქმე არ მისულა. „კაისერისფორმა“ უფრო მეტად მოინდომა ჩემი დამატება, ვიდრე „ვიტესმა“.

**- „ვოლგამ“ „კაისერისფორზე“ უკეთესი პირობები შემოგთავაზათ?**

- დიდი სხვაობა არ ყოფილა. თითქმის ერთნაირი პირობები იყო. თუმცა საბოლოოდ მაინც რუსეთი ვამჯობინე, რადგან ვიცი, რუსეთში რა დონის და რა ყაიდის ფეხბურთია. თურქეთი კი ჩემთვის უცხო ხილია.

**- „ვოლგაში“ ქართველები საკმაოდ ხართ, რაც ალბათ საფრთხილოც არის.**

- იმას რა სჯობს, თუ ბევრნი ვიქნებით, მაგრამ ბევრი ქართველი ერთ გუნდში, რუსეთში ზოგისთვის მძიმე სურათია. თუმცა, თუ კარგი შედეგი გვექნება, ეს არავის გაახსენდება.

„ვოლგაში“ ჩვენებურების მართლაც კარგი კონტინგენტია. ოთარ მარცვალაძე პირველ ლიგაში ბომბარდირი გახდა და იმედი მაქვს, მას მათე ვაწაძე სათანადო პარტნიორობას გაუწევს. დაცვაში საიმედონი არიან ედიკ საჯაია და გიორგი ნავალოვსკი. ნახევარდაცვიდან კი მე და გოჩა ხოჯავა შევუტევთ მეტოქეებს.

**- ნაკრებზეც ვთქვათ. ეროვნულისთვის 2010 წელი ბევრი შედეგიანად მიიჩნევა.**

- რვამატჩიანი წაუგებელი სერია, თანაც ბოლო წლების წარუმატებლობისა და იმედგაცრუების შემდეგ, მართლაც წარმატებაა. დღეისთვის ეროვნულ ნაკრებს ამბიციური და ღირსეული მწვრთნელი ჰყავს. მწვრთნელი ამბიციური უნდა იყოს, მაგრამ ეს ამბიცია მისი მაღალი კვალიფიკაციით უნდა იყოს ზურგგამაგრებული. ვფიქრობ, სწორედ ასეთია თემურ ქეცბაია. ის კი მთელ სულსა და გულს დებს საქმეში და შედეგიც ამას მოაქვს. ზოგი მწვრთნელისთვის, საბოლოო ჯამში გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, ექნება თუ არა მის გუნდს შედეგი.

**- თქვენი აზრით, კონკრეტულად რამ განაპირობა ეს შედეგი?**

- ქეცბაიას ახალი არაფერი მოუგონია. მან მარტივად გადაწყვიტა, ნაკრების რესურსს მაქსიმალურად იყენებს. წინა მწვრთნელების დროს ერთი ხანობა მეც არ ვიყავი ნაკრებში, რუსეთში მოასპარეზე ლეგიონერებზე საერთოდ ხელიც კი აიღეს. არადა, ჩემი აზრით, რუსეთის ჩემპიონატი ევროპაში ხუთეულ-ექვსეულში შედის. აშკარად გამოჩნდა, რომ რუსეთში მოთამაშე ლეგიონერები ნაკრებისთვის ჩამოსაწერი არ ვართ.

**- საგაისო მატჩებზე რას ფიქრობთ?**

- შესარჩევ ციკლში ჯერ მხოლოდ ოთხი მატჩი ჩავატარეთ, უფრო მეტი და უფრო მძიმე მატჩები გველის. ვფიქრობ, მარტის თამაშები, შინ ხორვატიასთან და სტუმრად ისრაელთან ჩვენთვის გადამწყვეტი იქნება. ეს ორი თამაში ბევრს გადაწყვეტს არა მარტო ჩვენთვის, არამედ ჯგუფში ჩვენი ყველა მეტოქისთვის.მოკლედ, კარგი წელი იყო, მაგრამ გულემატკივარი ახლა უფრო მეტს ელის ჩვენგან და უნდა გავახაროთ.

**- ბოლოს ისევ კლუბზე გკითხავთ. როდის იკრიბებით და სად მოემზადებით?**

- 3 იანვარს ვიკრიბებით, ორი მოსამზადებელი შეკრება ანთალიაში გვექნება, ერთი კი, თუ არ ვცდები, ესპანეთში. ნალჩიკში თამაშისას გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ვიყავი და ეს როლი ახლა „ვოლგაში“ უნდა მოვირგო. მინდა ნიჟნი ნოვგოროდშიც გავიჩინო ქომაგები და მჯერა, ამას მოკლე ხანში შევძლებ. ეს მოსამზადებელი ეტაპი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ, კარგად შევთამაშდეთ და სეზონი რიხიანად უნდა დავიწყოთ - ქართველებმა „ვოლგას“ ხელი უნდა დავატყოთ.

**დავით ცაბაძე**

მსაჯები

# ათასად მსაჯი დაფასდა... მეტი ფული, მეტი კვალიფიკაცია



ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა** მსაჯთა და მსაჯთა დამკვირვებელთა განყოფილების ხელმძღვანელებს, ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს და პირველ ლიგებში დასაქმებულ არბიტრებს და ასისტენტებს შეხვდა. ფედერაციის თავკაცმა მათ აცნობა, რომ ახალი წლიდან უმაღლესი ლიგის მსაჯები (არბიტრებიც და ასისტენტებიც) თითო მატჩის მომსახურებისთვის ოთხ-ხუთჯერ გაზრდილ ჰონორარს მიიღებენ. კერძოდ, დაქვითვის შემდეგ არბიტრი ათას ლარზე მეტს (დაახლოებით 1080 ლარს) მიიღებს, ასისტენტი კი ამის ნახევარს. შეგახსენებთ, რომ აქამდე, უმაღლესი ლიგის თითო მატჩის მომსახურებისთვის არბიტრი დაახლოებით 280 ლარს იღებდა, ლაინსმენი კი - 190 ლარამდე.

ჰონორარის გაზრდით არბიტრებისა და ლაინსმენების პასუხისმგებლობაც იზრდება და ზვიად სიჭინავამაც მსაჯობის დონის ამაღლება მოითხოვა. ფედერაციის პრეზიდენტი ცალ-ცალკე ესაუბრა არბიტრებსა და ასისტენტებს და მათგან სწორედ მაღალკვალიფიციური მსაჯობა და შეცდომების მაქსიმალურად შემცირება ითხოვა.

სეზონის მეორე ნახევრიდან უმაღლესი ლიგის მატჩებს კვლავ 12 არბიტრი და ორჯერ მეტი ასისტენტი მოემსახურება. იმასაც შეგახსენებთ, რომ ფეხბურთის ფედერაციამ სახელმწიფოსგან მიღებული ფინანსური დახმარების წყალობით მსაჯების წინა თვეების დავალიანება გაისტუმრა.

გადაწყდა ისიც, რომ 10 იანვრიდან მსაჯებს მოსამზადებელი შეკრება დაეწყებათ. ისინი ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ივარჯიშებენ. უმაღლესი და პირველი ლიგების არბიტრებისა და ასისტენტებისთვის ჩატარდება სემინარები, რასაც ნორმატივებისა და სპეციალური ტესტების ჩაბარება მოჰყვება.

სიახლეა ისიც, რომ ფიფამ 2011 წლისთვის ჩვენი ფედერაციის მიერ წარდგენილი კანდიდატები დაამტკიცა - ოთხი არბიტრი და რვა ასისტენტი. არბიტრები - **ლაშა სილაგავა, ლევან კვარაცხელია, გიორგი ვადაჭკორია, დავით ხარიტონაშვილი.** ასისტენტები - **ზაზა მენთეშაშვილი, მამუკა ელიკაშვილი, გურამ ჩიგოგიძე, ზაზა ფიფია, ლევან თოდრია, ლევან მიქელაძე, გიორგი ყრუაშვილი, ბესიკ ჭიჭინაძე.**

აღსანიშნავია ისიც, რომ ქალ ასისტენტთა შორის ფიფამ პირველად დაამტკიცა ქართველი მსაჯი. ასე რომ, ზემოთ ჩამოთვლილი არბიტრებისა და ასისტენტების მსგავსად, საერთაშორისო მატჩებს გაისად **ხათუნა მაისურაძეც** ლაინსმენის რანგში მოემსახურება.

ჩვენი ერთი მსაჯი უეფამ საერთაშორისო ტურნირზე უკვე მიავლინა. ფუტსალში ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის შესარჩევ მატჩებს (20-25 იანვარი, მალტა), **შოთა ქუხილავა** არბიტრის რანგში გაუძღვება. ჯგუფში კი მალტის, საფრანგეთის, ბულგარეთისა და ლიტვის ნაკრებები ითამაშებენ.

**დავით ცაბაძე**

ტორპედო

# ტორპედომ ხუთი დაიმატა, ხუთი დაგეგმა

ჯერჯეროგით ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ქუთაისის „ტორპედომ“ სხვებზე მეტად იაქტიურა და, როგორც კლუბის ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, გუნდი ხუთი ფეხბურთელით გაძლიერდა. მათგან ორი თავდამსხმელია, **გია მეგრელაძე** („ბაიადან“) და **რევაზ გოცირიძე** (სიონიდან“), სამიც - ნახევარმცველი, **ლუკა გუგუჩია** და **ლევან წურწუმია** (ორივე „ბაიადან“) და **ნიკოლოზ მაისურაძე** („სპარტაკიდან“). ისინი „ტორპედოსთან“ კონტრაქტებს მალე გააფორმებენ.

ქუთაისელები 3 იანვარს ბაზაზე შეიკრიბებიან და 22 იანვრამდე იქვე მოემზადებიან. ამ პერიოდში „ტორპედო“ საკონტროლო შეხვედრებს ჩაატარებს. 22 იანვრიდან კი ორკვირიან მოსამზადებელ შეკრებას ანთალიაში გაივლიან. იქ ხუთ ამხანაგურ მატჩს გეგმავენ: 25, 27, 29, 31 იანვარსა და 2 თებერვალს, სპარინგპარტნიორების ვინაობა მალე გაირკვევა.

კლუბის ბაზაზე უკვე მიმდინარეობს ბუნებრივსაფრიანი მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები. გაზონი შეიცვლება „ტორპედოს“ სტადიონზეც. ასე რომ, 19 თებერვალს ქუთაათურები რუსთავის „ოლიმპს“ უკვე განახლებულ მოედანზე უმასპინძლებენ.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველი ეტაპის რჩეულნი

ორი დღის წინ „ლელოს“ ტრადიციული რუბრიკა („თვის მოვლენები“) შემოგთავაზეთ და ნოემბერ-დეკემბრის გამორჩეული პერსონებიც (მწვრთნელი, ფეხბურთელი, სიმბოლური ნაკრები) გაგაცანით. ამჯერად კი, საერთოდ, პირველი ეტაპი გვინდა შევაჯამოთ და ამპლუების მიხედვით საუკეთესოებიც გამოვავლინოთ.

...უკვე მერამდენე წელიწადია, ყოველი ტურის მერე „ლელო“ „ტურის სიმბოლურ ნაკრებთან“ ერთად „ტურის მწვრთნელსა“ და „ტურის ფეხბურთელს“ ასახელებს; გამონაკლისი, არც XXII ჩემპიონატი იყო, ოღონდ, მცირე შესწორებაც გვინდა შევიტანოთ: ბოლო წლების განმავლობაში მხოლოდ ამ სეზონში მოხდა ისეთი რამ, რომ „ტურის ფეხბურთელი“ არც ერთხელ დაგვისახელებია! ეგ კი არა, „თვის ნომინანტები“ ოთხჯერ (აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერ-დეკემბერი) დავასახელეთ და მხოლოდ ერთადერთხელ გამოვავლინეთ „თვის ფეხბურთელი“ (ეს პატივი ნოემბერ-დეკემბერში „ზესტაფონის“ ფორვარდს ნიკოლოზ გელაშვილს ერგო). ყოველივე ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ XXII ჩემპიონატში ისეთი ფეხბურთელები აღარ თამაშობენ, სხვებთან შედარებით გამორჩეულნი რომ იქნებოდნენ; აი, ვთქვათ, როგორც წინა სეზონში იყვნენ **ანდერსონ აკინო, გურამ კაშია, დავით იმედაშვილი,** იმის წინ — **ლევან ცქიტიშვილი, გიორგი მერებაშვილი, მილოშ კრშკო** და ასე შემდეგ.

მიმდინარე სეზონის კიდევ ერთი „უცნაურობა“ ლეგიონერთა სიმცირეც არის, — ბოლო წლებში საქართველოს ჩემპიონატში იმდენი ლეგიონერი თამაშობდა, იმათგან საუკეთესოებს „ვარჩევდით“ და სიმბოლურ ნაკრებსაც ვადგენდით. ახლა კი, უმაღლეს ლიგაში მხოლოდ ხუთმა ლეგიონერმა იასპარეზა: **ედნილსონმა, ჯუისმა, რობერტინიომ** (სამივე — „დინამო“), **ბოიომომ, კლოვისმა** (ორივე — „სპარტაკი“).

...მაგრამ ვიდრე პირველი ეტაპის რჩეულებს შემოგთავაზებთ, იმას ვიტყვით, რომ 18-ვე მატჩში მონაწილეობა მიიღო 19-მა ფეხბურთელმა: **როინ კვასხვაძემ, ზაალ ელიავამ, გიორგი ონიანმა, თორნიკე აფციაურმა, ნიკოლოზ გელაშვილმა** (ყველა — „ზესტაფონი“), **ირაკლი მოდებაძემ, ლაშა ჯაფარიძემ** (ორივე — „ოლიმპი“), **გიორგი ლორიამ, ლევან ხმალაძემ, გულვერდ თომაშვილმა** (სამივე — „დინამო“), **დაჩი ფოფხაძემ, სევასტი თოდუამ** (ორივე — „ტორპედო“), **ჯაბა ლიპარტიამ, ბესიკ ჩიმაკაძემ** (ორივე — „ვიტ ჯორჯია“), **ლაშა ნოზაძემ** („სიონი“), **შოთა ჩომახიძემ** („სამტრედია“), **შოთა კაშიამ, თეიმურაზ შონიამ, ლევან ჭაფოძემ** (სამივე — „სპარტაკი“). როგორც ამჩნევთ, ამ სიაში „ბაიას“ და „კოლხეთის“ არც ერთი ფეხბურთელი არ არის; თუმცა ეს ფაქტი არავის უნდა გაუკვირდეს — სეზონის დაწყებიდან სულ მოკლე დროში ორივე გუნდს ხომ სერიოზული ფინანსური პრობლემები შეექმნა და აქედან გამომდინარე, უამრავი საკადრო ცვლილებაც მოხდა.

სხვათა შორის, ზემოთ ნახსენები 19 ფეხბურთელისგან მხოლოდ ექვსია ისეთი, პირველი ეტაპის 18-ვე მატჩი შეუცვლელად რომ ჩაატარა: როინ კვასხვაძე, გიორგი ლორია, გულვერდ თომაშვილი, სევასტი თოდუა, ლაშა ნოზაძე, ლევან ჭაფოძე.

ახლა კი ნომინანტებზეც ვისაუბროთ და, უპირველესად, მწვრთნელები უნდა ვახსენოთ. „ტურის მწვრთნელად“ კოლეგებში საუკეთესო მაჩვენებელი **კახა კაჭარავას** აქვს — ამჯერადაც „დინამოს“ თავკაცს ეს პატივი ოთხჯერ ერგო. სამ-სამჯერ დავასახელეთ, „ტურის მწვრთნელებად“ **გია გეგუჩაძე** („ზესტაფონი“) და **გელა სანაია** („სამტრედია“). თუმცა, პირველი ეტაპის გამარჯვებული გუნდის თავკაცს კოლეგებთან სხვა უპირატესობა აქვს — განვლილი ოთხი თვის განმავლობაში გეგუჩაძე ორჯერ მივიჩნიეთ „თვის მწვრთნელად“. მოკლედ, პირველი ეტაპის საუკეთესო მწვრთნელად გია გეგუჩაძის დასახელება, ალბათ, საკამათო არავისთვის უნდა იყოს.

მეკარეებში საუკეთესო შედეგი **გიორგი ლორიას** („დინამო“) და **ლაშა ძაგანიას** („სამტრედია“) ჰქონდათ — სამ-სამჯერ მოხვდნენ ტურის სიმბოლურ ნაკრებში. ამ შემთხვევაშიც გადამწყვეტი მნიშვნელობა „თვის სიმბოლურ ნაკრებს“ მივანიჭეთ და აქედან გამომდინარე ლორია უკონკურენტოა — ორჯერ მივიჩნიეთ თვის საუკეთესო მეკარედ. საერთოდაც, ან უკვე საქართველოს ნაკრების მეკარეს სხვა ჩინებული შედეგითაც შეუძლია იამაყოს: უმაღლეს ლიგაში ყველაზე ნაკლები გოლი თბილისის „დინამოს“ აქვს გაშვებული და ყოველივე ეს, რალა თქმა უნდა, გიორგი ლორიას უდიდესი დამსახურებაც არის.

აი, მცველებს შორის კი გამოკვეთილი ლიდერი გვყავს: ქუთაისის „ტორპედოს“ მცველი **თენგიზ ჩიკვილაძე** მართლაც გამორჩეულ სეზონს ატარებს და თანაამპლუელებს შორის საუკეთესო შედეგიც აქვს. ეგ კი არა, ჩიკვილაძე, საერთოდაც, აბსოლუტური ლიდერია — „ტურის სიმბოლურ ნაკრებში“ შვიდჯერ მოხვდა! აქვე, იმასაც შეგახსენებთ, რომ პირველ ეტაპზე ქუთაისის „ტორპედოს“ საუკეთესო ბომბარდირი სწორედ თენგიზ ჩიკვილაძეა; თუმცა ამპლუით მცველისთვის ყოველივე არახალი ამბავია და ანალოგიურ ფაქტებს ვაწყდებოდით ამ გოლიადორი მცველის ყოფილ გუნდებშიც („ოლიმპი“, „დინამო“).



ტურის სიმბოლურში ყველაზე მეტჯერ (7) თენგიზ ჩიკვილაძე მოხვდა

ნახევარმცველებს შორის საუკეთესო შედეგი **რევაზ გეწაძეს** აქვს — „ოლიმპის“ 25 წლის მარცხენაფლანგელი, ჩიკვილაძის მსგავსად, მართლაც გამორჩეულ სეზონს ატარებს და თავისი გუნდის ერთ-ერთი უპირობო ლიდერიც გახლავთ. სხვათა შორის, გეწაძეს, შესაძლოა, უფრო უკეთესი შედეგიც ჰქონდა, მაგრამ ტრავმის გამო რამდენიმე მატჩის გამოტოვებამ მოუწია.

თავდამსხმელებს შორის საუკეთესო შედეგი ერთდროულად ორ ფორვარდს აქვს, ოღონდ, თუ **ჯაბა ლიპარტია** („ვიტ ჯორჯია“) სეზონის დასაწყისში უფრო გამოირჩეოდა. აი, **ნიკოლოზ გელაშვილმა** პირველი ეტაპის დასკვნითი ეტაპი ჩაატარა შთამბეჭდავად. ნურც **ირაკლი მოდებაძეს** დავუკარგავთ გარჯას — „ოლიმპის“ ახალწვეულმა სეზონი „მძიმედ“ დაიწყო, მაგრამ უკვე სექტემბრიდან „ტემპი აკრიფა“ და საქართველოს ნაკრებში გამოძახებაც დაიმსახურა. ისე, ფორვარდებზე ვსაუბრობთ და, რალა თქმა უნდა, **რატი წინამძღვრიშვილიც** უნდა ვახსენოთ: ჩემპიონატის ერთ-ერთმა საუკეთესო ბომბარდირმა მეტოქეთა კარში ათი გოლი გაიტანა და ათივეჯერ შეცვლაზე შესულმა გამოიჩინა თავი...



გიორგი ლორია (მარცხნივ) და გულვერდ თომაშვილი




## ტურის ნომინანტები

### მწვრთნელები

კახა კაჭარავა („დინამო“)-4, გია გეგუჩაძე („ზესტაფონი“)-3, გელა სანაია („სამტრედია“)-3, თემურ მახარაძე („ოლიმპი“)-2, ბესიკ შეროზია („კოლხეთი“)-1, გიორგი ყიფიანი („სიონი“)-1, გია გიგატაძე („ტორპედო“)-1, ბადრი კვარაცხელია („სპარტაკი“)-1, რამაზ მუმლაძე („ოლიმპი“)-1, მერაბ კოჭლაშვილი („ვიტ ჯორჯია“)-1.

### მეკარეები

გიორგი ლორია („დინამო“)-3, ლაშა ძაგანია („სამტრედია“)-3, როინ კვასხვაძე („ზესტაფონი“)-2, მინდია ბობლიაშვილი („სიონი“)-2, მაქსიმე ქვილითაია („ტორპედო“)-2, სოსო გრიშიკაშვილი („სპარტაკი“)-2, გიორგი სომხიშვილი („ბაია“)-1, ზურაბ ბათიაშვილი („ოლიმპი“)-1, გრიგოლ ბედიაშვილი („ოლიმპი“)-1, გიორგი ძაძამია („ვიტ ჯორჯია“)-1.

### მცველები

თენგიზ ჩიკვილაძე („ტორპედო“)-7, გულვერდ თომაშვილი („დინამო“)-5, ლევან ხმალაძე („დინამო“)-5, ალექსანდრე კვახაძე („ოლიმპი“)-4, გიორგი რეხვიაშვილი („ოლიმპი“)-4, ზაალ ელიავა („ზესტაფონი“)-3, ნიკა კვეკვესკირი („ბაია“)-3, ალექსანდრე ინწკირველი („კოლხეთი“)-3, გივი დიდავა („სიონი“)-3, როინ ონიანი („ბაია“)-3, სერგი ორბელაძე („სიონი“)-3, ლევან კაკუბავა („დინამო“)-3, გიგა ბეჭვაია („ვიტ ჯორჯია“)-2, დათა რიგვავა („ბაია“)-2, თემურ ფარულავა („ტორპედო“)-2, დავით ლომაია („ვიტ ჯორჯია“)-2, ლაშა ჯაფარიძე („ოლიმპი“)-2, კახა ალადაშვილი („ზესტაფონი“)-2, თემურ ლონლაძე („ოლიმპი“)-2, სევასტი თოდუა („ტორპედო“)-2, გიორგი ონიანი („ზესტაფონი“)-1, გია კვარაცხელია („დინამო“)-1, პაატა ცხვიტარია („კოლხეთი“)-1, გიორგი თარგამაძე („სიონი“)-1, დაჩი ფოფხაძე („ტორპედო“)-1, გიორგი ხიდეშელი („ზესტაფონი“)-1, გურამ ადამაძე („ვიტ ჯორჯია“)-1, სპარტაკ გოგია („სამტრედია“)-1, ლევან ჭაფოძე („სპარტაკი“)-1.

### ნახევარმცველები

რევაზ გეწაძე („ოლიმპი“)-6, ბუბა დაუშვილი („ზესტაფონი“)-5, თორნიკე აფციაური („ზესტაფონი“)-5, დავით მუჯირი („დინამო“)-4, შოთა ჩომახიძე („სამტრედია“)-4, ირაკლი კლიმიაშვილი („ვიტ ჯორჯია“)-3, თეიმურაზ შონია („სპარტაკი“)-3, ვლადიმერ უგრეხელიძე („სიონი“)-3, გიორგი ქავთარაძე („ოლიმპი“)-3, ალექსანდრე კოშკაძე („დინამო“)-3, დათა სიჭინავა („კოლხეთი“)-3, დავით ბოლქვაძე („ოლიმპი“)-2, ირაკლი ლეკვთაძე („დინამო“)-2, ლაშა ნოზაძე („სიონი“)-2, ლუკა გუგუჩია („ბაია“)-2, ნიკოლოზ კვასხვაძე („ტორპედო“)-1, ირაკლი ლილუაშვილი („დინამო“)-1, ლაშა ვაშაკიძე („სიონი“)-1, გიორგი სილაგავა („კოლხეთი“)-1, მერაბ გიგაური („ტორპედო“)-1, თორნიკე თარხნიშვილი („ტორპედო“)-1, თორნიკე გორგიაშვილი („ზესტაფონი“)-1, დავით კირკიტაძე („სამტრედია“)-1, შოთა გრიგალაშვილი („ზესტაფონი“)-1, ვალერი ბოლქვაძე („სპარტაკი“)- 1, მიხეილ ბარაბაძე („სპარტაკი“)-1, ლაშა ქებაძე („სამტრედია“)-1, ლევან ბაკურაძე („სამტრედია“)-1, ნიკოლოზ მაისურაძე („სპარტაკი“)-1.

### თავდამსხმელები

ჯაბა ლიპარტია („ვიტ ჯორჯია“)-6, ნიკოლოზ გელაშვილი („ზესტაფონი“)-6, ირაკლი მოდებაძე („ოლიმპი“)-5, რატი წინამძღვრიშვილი („ზესტაფონი“)-4, რობერტინიო („დინამო“)-2, ვახტანგ კვარაცხელია („ვიტ ჯორჯია“/„ტორპედო“)-2, გიორგი მეგრელაძე („ბაია“)-2, ჯაბა დვალი („ზესტაფონი“)-2, გიორგი ბერიაშვილი („ოლიმპი“)-2, დონალდ ჯუისი („დინამო“)-1, მიხეილ კაკალაძე („სამტრედია“)-1, ლაშა კემუხტაშვილი („ტორპედო“)-1, პაატა ბაკარანძე („სამტრედია“)-1, გიგა კვერენჩხილაძე („სამტრედია“)-1, ნიკოლოზ საბანაძე („ტორპედო“)-1, ბესიკ დეკანოიძე („სპარტაკი“)-1, ვილი ისიანი („სიონი“)-1, ლევან წურწუმია („ბაია“)-1, მათე ვაწაძე („დინამო“)-1, ირაკლი ეხვაია („ბაია“)-1.

## თვის ნომინანტები

მწვრთნელები: გია გეგუჩაძე („ზესტაფონი“)-2, კახა კაჭარავა („დინამო“)-1, გია გიგატაძე („ტორპედო“)-1, ბესიკ შეროზია („კოლხეთი“)-1.

მეკარეები: გიორგი ლორია („დინამო“)-2, გიზო შენგელია („კოლხეთი“)-1, ომარ მიგინეიშვილი („ტორპედო“)-1;

მცველები: თენგიზ ჩიკვილაძე („ტორპედო“)-3, გულვერდ თომაშვილი („დინამო“)-2, ნიკა კვეკვესკირი (ბია“)-2, გიორგი რეხვიაშვილი („ოლიმპი“)-2, ალექსანდრე კვახაძე („ოლიმპი“)-1, ზაალ ელიავა („ზესტაფონი“)-1, გია კვარაცხელია („დინამო“)-1, დათა რიგვავა („ბაია“)-1, ლევან ხმალაძე („დინამო“)-1, მიხეილ მახვილაძე („კოლხეთი“)-1, ალექსანდრე ინწკირველი („კოლხეთი“)-1.

ნახევარმცველები: რევაზ გეწაძე („ოლიმპი“)-3, ბუბა დაუშვილი („ზესტაფონი“)-2, თორნიკე აფციაური („ზესტაფონი“)-2, ალექსანდრე კოშკაძე („დინამო“)-1, დათა სიჭინავა („კოლხეთი“)-1, ირაკლი კლიმიაშვილი („ვიტ ჯორჯია“)-1, ირაკლი ლეკვთაძე („დინამო“)-1, შოთა ჩომახიძე („სამტრედია“)-1, თეიმურაზ შონია („სპარტაკი“)-1, დავით კირკიტაძე („სამტრედია“)-1, დავით მუჯირი („დინამო“)-1, გიორგი ქავთარაძე („ოლიმპი“)-1.

თავდამსხმელები: ნიკოლოზ გელაშვილი („ზესტაფონი“)-2, ჯაბა ლიპარტია („ვიტ ჯორჯია“)-2, ირაკლი მოდებაძე („ოლიმპი“)-1, გიორგი მეგრელაძე („ბაია“)-1, ვახტანგ კვარაცხელია („ვიტ ჯორჯია“)-1, რატი წინამძღვრიშვილი („ზესტაფონი“)-1.

გვერდი მოამზადა გია **ტუხაშვილმა**

# ტურის ბოლო წამზე...

მოდი, ბოლოთი დავიწყოთ: ტურის გვიანი შეხვედრა „ბირმინგემსა" და ლიდერ „მანჩესტერ იუნაიტედს" შორის 90-ე წუთზე **ლი ბოიერის** საკამათო გოლის გამო ფრედ დასრულდა – 1:1. საკამათო რა იყო? სანამ ბოიერი შეაგდებდა ბურთი **ნიკოლა ჟიგიჩს** მკლავში მოხვდა. მეორე მხრივ კი რას ერჩით? ამბობდა ბირმინგემელთა თავკაცი **ალექს მაკლიში** „სენტ ენდრიუზე" ბარე ორი ლიდერი გაგვიწბილებია, ჰოდა, „მანჩესტერ იუნაიტედსაც" უჯობს გვიფრთხილდესო... მანჩესტერელთაგან გოლი **დიმიტარ ბერბატოვმა** შეაგდო. ამ ეპიზოდში ბერბატოვმა **დერონ გიბსონს** ბურთი ჭკვიანურად გაუთამაშა. ასე და ამგვარად, პრემიერლიგის ცხრილს ტოლი ქულებით ქალაქ მანჩესტერის ორი გუნდი ლიდერობს.

„მანჩესტერ სიტის" თავდამსხმელი **მარიო ბალოტელი** კი ის იტალიელი ყმაწვილია, მუდამ პრობლემებში რომ არის გახვეული. წარმოშობით აფრიკელს აპენინებზე რასისტები აწუხებენ, ინგლისში კი იტალია ენატრება, მაგრამ... საქმეში ეს ჯეელი მართლა ყოჩაღია – ბოლო დღეებში ბრიტანულ პრესა-ტელევიზიას წუწუნით ტვინი გაუხვრიტა სამშობლო მენატრება, აქაურობას ვერ ვეგუებიო, ოღონდ ამ წუწუნს მისთვის ხელი არ შეუშლია „ასტონ ვილას" კარში ერთბაშად სამი გოლი გაეტანა. ერთი სიტყვით, ყოჩაღ „მანჩესტერ სიტი" - **რობერტო მანჩინის** გუნდმა 4:0 მოიგო. ისტლენდელთა მწვრთნელმა ამ შეხვედრაში **კარლოს ტევესი** დაასვენა, მაგრამ გუნდს არგენტინელის არყოფნა არ უგრძვნია. ბალოტელის გოლებიც გაჰქონდა, თავდაჯერებულიც იყო და სანახაობრივიც. ერთი სიტყვით, „სიტი ოფ მანჩესტერ სთედიუმზე" პირველი ტაიმის დასასრულსვე ყველასთვის ყველაფერი უკვე გასაგები იყო. აი, რაც შეეხება „ვილას", ამ გუნდის წარუმატებლობები (რაც **ჟერარ ულიე** წვრთნით, ბირმინგემელებმა 13 თამაშიდან მხოლოდ 3 მოიგეს) შეიძლება დიდ ტრავმიანობას დაბრალდეს.

სახელების მიხედვით თვალში საცემი გახლდათ „ტოტენჰემ ჰოთსპურისა" და „ნიუკასლის" დაპირისპირება. ლონდონელებმა ბოლო 24 წუთი უმცირესობაში ითამაშეს – **იონ ქაბულმა,** პირველი ყვითელი ბარათი **ჯოი ბარტონთან** უხეშობისთვის მიიღო, მეორე კი **ისმაელ ჩიეკ ტიოტეს** მიმართულებით კისრის წაგრძელებისთვის. არა, ქაბულს ტიოტესთვის არ „ურქენია", მაგრამ, რაც გააკეთა მსაჯს ეყო.

ამ შეხვედრაში ანგარიში **აარონ ლენონმა** შეაგდო, მეორე კი **გარეთ ბეილმა** რაც მისთვის ამ სეზონში, ყველა შეჯიბრებაში ერთად, მეათე გახლდათ. ამ შეხვედრაში დისკვალიფიცირებული **ჯერმაინ დეფოს** ადგილზე რუსი **რომან პავლიუჩენკო** თამაშობდა.

„ფულჰემმა" გასავარდნთა ზონას დააღწია თავი, რისთვისაც **კრის ბეირდს** უნდა უმადლოდეს. 28 წლის ჩრდილოირლანდიელმა პირველ 10 წუთში ორი გოლი გაიტანა, რაც „სტოკის" დასამარცხებლად საკმარისი აღმოჩნდა. საინტერესოა, რომ ამ მცველს, რაც „ფულჰემშია", გოლი არ გაუტანია. „სტოკის" კარში მან ორივეჯერ საჯარიმოს გარედან შეაგდო და უელსელ მწვრთნელს **მარკ ჰიუზს** წნეხი ცოტა შეუმსუბუქა. ცნობისთვის: ლონდონელებმა სტუმრად 27-ე ცდიდან მოიგეს. ბოლოს წინა სეზონის პირველ შეხვედრაში გაემარჯვათ და ეგ იყო.

„ბლექპულმა" სანდერლენდში იმარჯვა და გახდა მეორე, ვინც 2010 წელს ასეთი რამ შეძლო. პირველი „მანჩესტერ იუნაიტედი" იყო. ორივე გოლი **დი ჯეი კემპბელმა** გაიტანა. სასეიროა, რომ კემპბელმა ამ ორი გოლით თავისი ყოფილი მწვრთნელი **სტივ ბრუსი** დაანაღვლიანა – 29 წლის თავდამსხმელმა პრემიერლიგის ფეხბურთი პირველად სწორედ ბრუსის ხელში დააჭაშნიკა. მაშინ ისინი „ბირმინგემში" იყვნენ ერთად.

და მაინც, „შავმა კატებმა" წაგებაში მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავი უნდა დაადანაშაულონ – მათ ბევრი საგოლე მომენტი გაუშვეს ხელიდან. სტუმრებს ერთხელ ძელიც დაეხმარა.

„ვესტ ბრომვიჩი" პრემიერლიგის კიდევ ერთი გუნდია, რომელმაც სამშაბათ საღამოს შინ წააგო. იგი „ბლექბერნმა" დაამარცხა. ამ შეხვედრის გამორჩეული ფიგურა გახლდათ **ნიკოლა კალინიჩი**, რომელმაც ორი გოლი შეაგდო, მერე კი მოედნიდან გააგდეს. მიზეზი: ავსტრიელი **პაულ შარნერის** წინააღმდეგ გადამეტებული უხეშობა. მსაჯმა 22 წლის ხორვატს ყოველგვარი ყვითლის გარეშე, პირდაპირ წითელი ბარათი ამოუღო. სხვათა შორის, „ჰაიდუკის" ყოფილ ფორვარდს ამ შეხვედრაში მესამე გოლის გატანაც შეეძლო.

„ვესტ ჰემი" ბევრს უიმედო აუტსაიდერი რომ ეგონა მთლად ეგრე არ ყოფილა საქმე. კვირას „კრეივენ კოტეჯზე" „ფულჰემს" მოუგო, გუშინ კი „ევერტონს" უმასპინძლა და 1:1 ეთამაშა, თუმცა... ეს ის შემთხვევაა, როდესაც შეიძლება ითქვას, რომ „ჩაქუჩებმა" ხელიდან შანსი გაუშვეს. რომ მოეგოთ, რადიკალურ ნაბიჯს გადადგამდნენ გადარჩენის გზაზე. „ჩაქუჩები" მაშინ დაწინაურდნენ, როდესაც **რადოსლავ კოვაჩის** „მაკრატელა" **ტონი ჰიბერტმა** საკუთარ კარში გადაგზავნა, მაგრამ შესვენებამდე 3 წუთით ადრე **სიმას კოულმენმა** გაქვითა. აი, „ვესტ ჰემის" შემადგენლობაში მეორე ტაიმში შესულმა **კარლტონ კოულმა** კი ბოლოს დიდებული შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან.



ბირმინგემი-მანჩესტერი

### მომდევნო ტური

1 იანვარი. **ვესტ ბრომვიჩი-მანჩესტერ იუნაიტედი, ლივერპული-ბოლტონი, მანჩესტერ სიტი-ბლექპული, სტოკი-ევერტონი, სანდერლენდი-ბლექბერნი, ტოტენჰემი-ფულჰემი, ვესტ ჰემი-ვულვერჰემპტონი, ბირმინგემი-არსენალი;** 2 იანვარი. **ჩელსი-ასტონ ვილა, უიგანი-ნიუკასლი.**

### მანჩესტერ სიტი-ასტონ ვილა 4:0

**მანჩესტერ სიტი** (4-3-3): ჰარტი – რიჩარდსი, ლესკოტი, კომპანი, საბალეტა – ი. ტურე (63. ჟო), დე იონგი (77. ბრიჯი), ვიეირა – ა. ჯონსონი, სილვა (58. მილნერი), ბალოტელი.

**ასტონ ვილა** (4-5-1): ფრიდელი – ლიჩაი, კოლინზი, კუელარი, უორნოკი – ოლბრაიტონი (57. დელფუენსო), ს. პეტროვი, რიო-კოკერი (81. პირესი), ბენანი (57. დელფი), დაუნინგი - აგბონლაჰორი.

**გოლები:** 1:0 ბალოტელი (8-პენ), 2:0 ლესკოტი (13), 3:0 ბალოტელი (27), 4:0 ბალოტელი (55-პენ)

**გაფრთხილება:** მილნერი - უორნოკი, ლიჩაი

**კუთხური:** 8-6; **ჯარიმა:** 14-14; **კარში დარტყმა:** 13-10 (6-4); **თამაშგარე:** 2-0; **ბურთის ფლობა:** 50%-40%

**მაყურებელი:** 46 716

### სტოკი-ფულჰემი 0:2

**სტოკი** (4-4-2): ბეგოვიჩი – უილკინსონი (79. უილსონი), ჰუთი, შოუკროსი, დ. კოლინზი – პენანტი, დილეპი, უაიტჰედი, ეზერინგტონი (69. თუნჩაი) – კ. ჯონსი, უოლტერსი (55. ფულერი).

**ფულჰემი** (4-4-2): შვარცერი – პენტსილი, ჰანგელანდი, ჰიუზი, ბეირდი – დაფი, ს. დევისი, მერფი, ეტუჰუ – დემპსი, ე. ჯონსონი.

**გოლები:** 0:1 ბეირდი (4), 0:2 ბეირდი (10)

**გაფრთხილება:** ჰუთი – ბეირდი, დემპსი

**კუთხური:** 9-2; **ჯარიმა:** 8-14; **კარში დარტყმა:** 17-5 (3-3); **თამაშგარე:** 2-3; **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 26 954

### სანდერლენდი-ბლექპული 0:2

**სანდერლენდი** (4-4-2): გორდონი – ალ მუჰამადი, ა. ფერდინანდი, ონუოჰა (32. ბრამბლი), ბერდსლი – ჰენდერსონი, მეილერი (58. რიჩარდსონი), კატერმოული, უილბეკი – ბენტი, ასამოა (66. ასამოა)

**ბლექპული** (4-4-2): კინგსონი – ერდლი, ივეტი, კეთკერტი, კრეინი – ტეილორ-ფლეტჩერი (81. ჩერნი), ვუგანი, სილვესტრი (81. საუთერნი), ვერნი – გრენდინი (20. ფილიპსი), კემპბელი

**გოლები:** 0:1 კემპბელი (50), 0:2 კემპბელი (90)

**გაფრთხილება:** მეილერი, ბრამბლი (ორივე სანდერლენდი)

**კუთხური:** 9-2; **ჯარიმა:** 7-5; **კარში დარტყმა:** 31-9 (11-4); **თამაშგარე:** 6-1; **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**მაყურებელი:** 42 892

### ტოტენჰემი-ნიუკასლი 2:0

**ტოტენჰემი** (4-4-2): გომეში – ჰატონი, ქაბული, დოუსონი, ასუ-ეკოტო – ლენონი, მოდრიჩი, პალასიოსი (46. ჯენასი), ბეილი – ვან დერ ვაარტი (72. კრაუჩი), პავლიუჩენკო (67. ბასონგი)

**ნიუკასლი** (4-5-1): კრული – სიმპსონი, კოლოჩინი, ტეილორი, პერჩი – რუტლიჯი, სმიტი, ტიოტე (79. ლოვენკრანდსი), ბარტონი, ხონასი (67. რეინჯერი) - ქეროლი

**გოლები:** 1:0 ლენონი (57), 2:0 ბეილი (81)

**გაფრთხილება:** პალასიოსი, ქაბული – ტიოტე, ხონასი, სმიტი, ქეროლი

**გაძევება:** ქაბული (ტოტენჰემი - 66)

**კუთხური:** 9-7; **ჯარიმა:** 9-16; **კარში დარტყმა:** 16-12 (8-4); **თამაშგარე:** 5-3; **ბურთის ფლობა:** 55%-45%

**მაყურებელი:** 35 927

### ვესტ ბრომვიჩი-ბლექბერნი 1:3

**ვესტ ბრომვიჩი** (4-5-1): კერსონი – ხარა (75. ბერნსი), ტამასი, შარნერი, შორი – ტჩოი, დორანსი, მულუმბუ, მორისონი (66. კოქსი), ტომასი - ოდემვინგე.

**ბლექბერნი** (4-5-1): რობინსონი (46. ბენი) – სალგადო (52. ჰოილეტი), ნილსენი, ჰენლი, ოლსონი – მ.ბ. დიუფი, დანი, ემერტონი, პედერსენი, ე.ჰ. დიუფი (82. ბენჯანი) - კალინიჩი.

**გოლები:** 0:1 კალინიჩი (3), 1:1 ტომასი (17), 1:2 კალინიჩი (54), 1:3 მ.ბ. დიუფი (62)

**გაფრთხილება:** ხარა – სალგადო, ე.ჰ.დიუფი, ბენი

**გაძევება:** ტამასი (88) - კალოინიჩი (64)

**კუთხური:** 8-5; **ჯარიმა:** 11-14; **კარში დარტყმა:** 24-7 (5-4); **თამაშგარე:** 4-0; **ბურთის ფლობა:** 63%-37%

**მაყურებელი:** 24 440

### ვესტ ჰემი-ევერტონი 1:1

**ვესტ ჰემი** (4-4-2): გრინი – ფობერი, აპსონი, ტომკინსი, ილუნგა (34. სპექტორი) – სირსი, პარკერი, კოვაჩი, ბოა მორტე – ობინა (85. ჰაინესი), პიქვიონი (56. კ. კოული).

**ევერტონი** (4-4-2): ჰოვარდი – ფ. ნევილი, დისტინი, ჰიბერტი, ბეინესი – კოულმენი, როდუელი (62. იაკუბუ), არტეტა (90. ბელიალეტდინოვი), პიენაარი (90. ბეკფორდი) – ფელაინი, ტ. კეჰილი.

**გოლები:** 1:0 ჰიბერტი (16 ს.კ.), 1:1 კოულმენი (42)

**გაფრთხილება:** კოვაჩი (ვესტ ჰემი)

**კუთხური:** 4-7; **ჯარიმა:** 12-19; **კარში დარტყმა:** 14-15 (0-3); **თამაშგარე:** 1-3; **ბურთის ფლობა:** 37%-63%

**მაყურებელი:** 33 442

### ბირმინგემი-მანჩესტერ იუნ. 1:1

**ბირმინგემი** (4-4-2): ფოსტერი – კარი, ს. დენი, რ. ჯონსონი, რიჯუელი – ლარსენი (70. ჰლები), ბოიერი, ფერგიუსონი, ბიუსეჟური (83. ჟიგიჩი) – გარდნერი, ჯერომი (85. ფილიპსი).

**მანჩესტერ იუნაიტედი** (4-3-3): ვან დერ სარი – რაფაელი, ვიდიჩი, რ. ფერდინანდი, ევრა – გიბსონი (90. ერნანდესი), ქერიკი, ანდერსონი (73. ფლეტჩერი) – რუნი, გიგზი, ბერბატოვი.

**გოლები:** 0:1 ბერბატოვი (58), 1:1 ბოიერი (90)

**გაფრთხილება:** გარდნერი, ბოიერი, დენი – ანდერსონი, ვიდიჩი, გიგზი

**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 11-11; **კარში დარტყმა:** 11-14 (2-4); **თამაშგარე:** 0-1; **ბურთის ფლობა:** 43%-57%

**მაყურებელი:** 28 242

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 18 | 10 | 8 | 0 | 39:17 | 38 |
| 2. სიტი | 20 | 11 | 5 | 4 | 32:16 | 38 |
| 3. არსენალი | 18 | 11 | 2 | 5 | 37:20 | 35 |
| 4. ტოტენჰემი | 19 | 9 | 6 | 4 | 29:23 | 33 |
| 5. ჩელსი | 18 | 9 | 4 | 5 | 32:15 | 31 |
| 6. ბოლტონი | 19 | 7 | 8 | 4 | 32:25 | 29 |
| 7. სანდერლენდი | 20 | 6 | 9 | 5 | 21:22 | 27 |
| 8. ბლექპული | 17 | 7 | 4 | 6 | 26:29 | 25 |
| 9. ბლექბერნი | 20 | 7 | 4 | 9 | 26:31 | 25 |
| 10. სტოკი | 19 | 7 | 3 | 9 | 23:24 | 24 |
| 11. ლივერპული | 17 | 6 | 4 | 7 | 21:22 | 22 |
| 12. ევერტონი | 19 | 4 | 10 | 5 | 21:22 | 22 |
| 13. ნიუკასლი | 19 | 6 | 4 | 9 | 28:31 | 22 |
| 14. ვესტ ბრომვიჩი | 19 | 6 | 4 | 9 | 25:34 | 22 |
| 15. ასტონ ვილა | 19 | 5 | 5 | 9 | 20:34 | 20 |
| 18. ბირმინგემი | 18 | 3 | 10 | 5 | 18:21 | 19 |
| 16. ფულჰემი | 19 | 3 | 10 | 6 | 19:23 | 19 |
| 17. უიგანი | 18 | 4 | 7 | 7 | 15:29 | 19 |
| 19. ვესტ ჰემი | 20 | 3 | 8 | 9 | 20:33 | 17 |
| 20. ვულვზი | 18 | 4 | 3 | 11 | 19:32 | 15 |

**ბომბარდირები:** 14 – ბერბატოვი (მანჩესტერ იუნაიტედი); 12 – ტევესი (მანჩესტერ სიტი); 11 - ქეროლი (ნიუკასლი); 9 – კეჰილი (ევერტონი), ელმანდერი (ბოლტონი); 8 - ვან დერ ვაარტი (ტოტენჰემი), ნასრი (არსენალი), ნოლანი (ნიუკასლი); 7 – ბენტი (სანდერლენდი), შამახი (არსენალი), დროგბა (ჩელსი), მალუდა (ჩელსი); 6 – დევისი (ბოლტონი), კალუ (ჩელსი), ოდემვინგე (ვესტ ბრომვიჩი).

## ჩემპიონშიპი

### XXIV ტური

**ქოვენთრი-ქუინზ პარკი** 0:2
**გოლები:** 0:1 ვესტვუდი (49ს.კ.), 0:2 სმიტი (61)

**ბრისტოლი-კრისტალ პალასი** 1:1
**გოლები:** 0:1 დენსი (2), 1:1 პიტმენი (90-პენ)

**ბარნლი-სკანთორპი** 0:2
**გოლები:** 0:1 ვულფორდი (14), 0:2 დეგნელი (84)

**ჰალი-რედინგი** 1:1
**გოლები:** 1:0 ჰარპერი (39), 1:1 ჩერჩი (82)

**ლიდსი-პორტსმუთი** 3:3
**გოლები:** 1:0 გრედელი (7), 2:0 ჰოუსონი (10), 2:1 ნაჯენტი (33), 3:1 ბ. ჯონსონი (62), 3:2 ო'ბრეინი (63 ს.კ.), 3:3 ო'ბრეინი (90 ს.კ.)

**მილუოლი-ლესტერი** 2:0
**გოლები:** 1:0 მორისონი (12), 2:0 პანჩიონი (25)

**ნორვიჩი-შეფილდი** 4:2
**გოლები:** 0:1 რიდი (17), 1:1 ნელსონი (20), 1:2 კრესუელი (29), 2:2 ჰულაჰანი (64-პენ), 3:2 ჰულაჰანი (84-პენ), 4:2 ჰულაჰანი (90)

**პრესტონი-მიდლსბრო** 1:3
**გოლები:** 1:0 ჯონსი (27), 1:1 ლიტა (30), 1:2 ლიტა (59), 1:3 უიტერი (61)

**სუონსი-ბარნსლი** 1:0
**გოლები:** 1:0 ისტერი (27)

**უოტფორდი-კარდიფი** 4:1
**გოლები:** 0:1 უიტინგემი (16), 1:1 გრემი (24), 2:1 სორდელი (57), 3:1 იუსტასი (64), 4:1 გრემი (84-პენ)

**დონკასტერი-იფსვიჩი** გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ქუინზ პარკი | 23 | 13 | 8 | 2 | 42:14 | 47 |
| 2. კარდიფი | 23 | 12 | 4 | 7 | 38:26 | 40 |
| 3. სუონსი | 24 | 12 | 4 | 8 | 29:23 | 40 |
| 4. ლიდსი | 24 | 11 | 7 | 6 | 44:40 | 40 |
| 5. ნორვიჩი | 23 | 11 | 6 | 6 | 39:32 | 39 |
| 6. რედინგი | 23 | 8 | 10 | 5 | 35:25 | 34 |
| 7. ქოვენთრი | 24 | 10 | 4 | 10 | 29:29 | 34 |
| 8. უოტფორდი | 22 | 9 | 6 | 7 | 42:34 | 33 |
| 9. ბარნლი | 22 | 8 | 8 | 6 | 34:29 | 32 |
| 10. მილუოლი | 23 | 8 | 8 | 7 | 28:23 | 32 |
| 11. ნოტინგემი | 20 | 7 | 9 | 4 | 24:17 | 30 |
| 12. დერბი | 22 | 9 | 3 | 10 | 35:29 | 30 |
| 13. პორტსმუთი | 22 | 8 | 6 | 8 | 32:31 | 30 |
| 14. დონკასტერი | 21 | 8 | 6 | 7 | 33:35 | 30 |
| 15. ჰალი | 23 | 7 | 9 | 7 | 23:26 | 30 |
| 16. ბარნსლი | 22 | 8 | 5 | 9 | 26:32 | 29 |
| 17. ლესტერი | 24 | 8 | 5 | 11 | 33:42 | 29 |
| 18. იფსვიჩი | 22 | 8 | 3 | 11 | 25:30 | 27 |
| 19. ბრისტოლი | 23 | 7 | 6 | 10 | 26:35 | 27 |
| 20. შეფილდი | 23 | 7 | 4 | 12 | 21:35 | 25 |
| 21. მიდლსბრო | 23 | 7 | 3 | 13 | 24:33 | 24 |
| 22. სკანთორპი | 21 | 7 | 2 | 12 | 25:35 | 23 |
| 23. კრ. პალასი | 23 | 6 | 4 | 13 | 25:41 | 22 |
| 24. პრესტონი | 22 | 5 | 4 | 13 | 26:42 | 19 |

**ბომბარდირები:** 13 – ბოთროიდი (კარდიფი); 12 – კომონსი (დერბი), გრემი (უოტფორდი); 11 - ბეკიო (ლიდსი), ტაარაბტი (ქუინზ პარკი); 9 - ჰოლტი (ნორვიჩი), იუელუმო (ბარნლი), მორისონი (მილუოლი), მაკგუგანი (ნოტინგემი), მეკი (ქუინზ პარკი), კინგი (ლესტერი); 8 – ჰემილი (ბარნსლი), ლონგი (რედინგი), სინკლერი (სუონსი), ჰულაჰანი (ნორვიჩი), გრეიდელი (ლიდსი).

## პირველი ლიგა

### XXII ტური

მილტონი-ბურნმუთი 2:0, პლიმუთი-ნოტს ქაუნთი 1:1, საუთჰემპტონი-ჰადერსფილდი 4:1, სუინდონი-პიტერბორო 1:1. დანარჩენი თამაშები გადაიდო.

## მეორე ლიგა

### XXII ტური

ბარნეტი-სტოკპორტი 1:3, ჩელტენჰემი-ბრედფორდი 4:0, ჯილინგემი-პორტ ვეილი 3:0, ოქსფორდი-მაკლსფილდი 2:1. დანარჩენი თამაშები გადაიდო.

## კონფერენცია

### XXIII ტური

უიმბლდონი-ისტბერნი 3:0, კემბრიჯი-მენსფილდი 1:5, ბათი-ფორესტ გრინი 2:4, ფლიტვუდი-საუთპორტი 2:0, გრიმსბი-რაშდენი კიდერმინსტერი-ნიუპორტი 2:3. დანარჩენი თამაშები გადაიდო.

ჩელსი

# გაშიშვლდება წლეულს ანჩელოტი?

**კარლო ანჩელოტი** დაბეჯითებით ამბობს, რომ იანვარში სატრანსფერო ბაზრისთვის საჭირო ფული ექნება - მან შესაძლოა ცენტრალური მცველი იყიდოს. არ არის გამორიცხული, ამ საქმისთვის **რომან აბრამოვიჩმა** 40 მილიონი ფუნტი მისცეს. საქმე ის არის, რომ ბრაზილიელი **ალექსის** დაშავებამ „ლურჯებს" მდგომარეობა გაურთულა. მოგეხსენებათ, მანამდე დასავლეთლონდონელებმა **რიკარდო კარვალიო** მადრიდის „რეალს" მიჰყიდეს და ამ ყველაფრის გამო უკანა ხაზი აშკარად შეუსუსტდათ.

*„თუკი გვეცოდინება, რომ ალექსი გამოჯანმრთელების გზაზეა, მაშინ ახალი ფეხბურთელის შეძენა არ დაგვჭირდება,* - ამბობს ანჩელოტი, რომელიც გამოსავლის ძიებაშია და დაცვის ცენტრში **პაულო ფერეირას** ათამაშებს. - *მანამდე კი სხვა გზა არ გვაქვს, უნდა დაველოდოთ და ვნახოთ, როგორ წავა ჩვენი ბრაზილიელი მცველის საქმე. ერთადერთი პოზიცია, რომლის გამაგრებაც დღეს გვჭირდება სწორედ დაცვის ცენტრია".*

საინტერესოა რამ გაახსენდათ ინგლისელ ჟურნალისტებს: შარშან ამ დროს ანჩელოტი იქადნებოდა, იანვარში მე თუ ფეხბურთელს ვიყიდი, გავშიშვლდები და ყველას წინაშე ვირბენო. მთელი ინგლისის გასახარად ანჩელოტი ჩაცმული დარჩა, მაგრამ გახდის იდეა მოსვენებას არ აძლევს: ახლა აცხადებს, თუ მცველის ყიდვა დამჭირდება აბრამოვიჩი ფულს უეჭველად მომცემს, თუ არა და გავშიშვლდები და ვირბენო.

*„კარგად მახსოვს, რა ნაძლევსაც ჩამოვდიოდი შარშან ამ დროს. ახლა ასე ვიტყვი: თუ დანაძლევება დამჭირდება, საპირისპიროზე დავდგები".*

ალექსს ფეხი ნოემბერში, „ნიუკასლთან" თამაშის დროს ეტკინა და დეკემბერში ოპერაცია გაიკეთა. იტალიელი მწვრთნელი, როგორც მოგახსენეთ, პრობლემის მოგვარების გზებს ეძებს და ვარაუდობს, რომ საუკეთესო გამოსავალი ინგლისელი მცველის შერჩევა იქნება: *„რასაკვირველია, ინგლისელის ყიდვა უმჯობესია, რადგან კულტურულ და ენობრივ ბარიერს აიცილებ თავიდან".*

ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ჯერზე „ბენფიკადან" **დავიდ ლუიშის** წამოყვანას არ უნდა ველოდოთ. თან, „ჩელსიში" გრძნობენ, რომ ეს ფეხბურთელი 30 მილიონი ფუნტი არ ღირს. არ არის გამორიცხული ანჩელოტიმ „ბოლტონიდან" **გერი კეჰილის** წაყვანა სცადოს, მაგრამ მწვრთნელი **ოუენ კოილი** 25 წლის მცველს, სავარაუდოდ, არ გაუშვებს.

თუმცა, ამბობენ, რომ დიდი მნიშვნელობა არ აქვს ვის იყიდის ანჩელოტი, რადგან მთავარი სხვა რამ არის – **ფრენკ ლემპარდი** გამოჯანმრთელდა. 32 წლის ცენტრალური ნახევარმცველის დაბრუნება ორი კაცის ყიდვას უდრის, ერთი მცველისა და ერთი შემტევისო.

*„როდესაც ის თავდასხმას ეხმარება გუნდი სულ სხვა მუხტს იძენს,* – ამბობს ანჩელოტი. – *მისი დაბრუნება დიდებულია. ძალიან ძნელია იპოვო ვინმე სხვა, რომელსაც მასავით სეზონში 20 გოლის გატანა შეუძლია. ჩვენთან ყველა ფეხბურთელი თავისი უნიკალური ნიჭით გამოირჩევა. მაგალითად, ჯონ ობი მიკელს, ისევე, როგორც რამირესს, გოლების გატანა არ ეხერხება, მაგრამ დაცვაშია ძლიერი, მიკაელ ესიენს კი საჯარიმოს გარედან შეუძლია კარში სახიფათოდ დარტყმა".*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



სტატისტიკის ანალიტიკა. სერია A

# სიმჭიდროვე ყველა კომპონენტში



იბრა ერთ-ერთი საუკეთესოა

სერიაA-ს მიმდინარე გათამაშება 6 იანვარს განახლდება, იქამდე კი გვაქვს დრო, განვლილი ბატალიები შევაჯამოთ. ანალიზის საწინააღმდეგო რა უნდა გვქონდეს, მით უმეტეს, იტალიაში ძალიან უყვართ ფეხბურთზე საუბარი, მაგრამ ვფიქრობთ, რომ არსებულ ვითარებას ყველაზე უკეთ სტატისტიკა გადმოსცემს. დიახ, სტატისტიკა არასდროს ტყუის და გვაქვს საშუალება განვლილი 17 ტური რიცხვებში ავსახოთ.

მაგალითად, ესპანეთის პრიმერადივიზიონში ყველაზე საინტერესო „ბარსელონა"-„რეალის" დაპირისპირებაა. თუ კონკრეტული ფეხბურთელების დუელზე ვისაუბრებთ, აქაც შეგვიძლია ორი მოთამაშის: **კრისტიანო რონალდოს** და **ლიონელ მესის** გამორჩევა. ასეთი ტენდენცია სერია A-ში არ შეინიშნება - სკუდეტოსთვის ერთბაშად რამდენიმე გუნდი იბრძვის და ჯერჯერობით, არც ფეხბურთელებისგან გამოიკვეთა ერთი, ან ორი ყველაზე გამორჩეული. შესანიშნავი მაჩვენებელი აქვს „მილანელ" **ზლატან იბრაჰიმოვიჩს**, რომელსაც 9 გოლი აქვს გატანილი და 7 საგოლე გადაცემა გაკეთებული, თუმცა მიუხედავად ამისა, არც ერთ ჩამონათვალში არ ლიდერობს. ბომბარდირთა შორის **ედისონ კავანის** და **ანტონიო დი ნატალეს** ჩამორჩება, მეპასეებს შორის კი **ანდრეა კოსუს** და **სტეფანო მაურის**. განვლილ ბატალიებში შესანიშნავად წარმოჩნდნენ **სამუელ ეტოო, მარეკ ჰამშიკი, მილოშ კრასიჩი** და კიდევ არაერთი ფეხბურთელი, მაგრამ რომელიმე ერთის გამორჩევა და მისი საუკეთესოდ დასახელება, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

ყველაზე მეტი გოლი „იუვენტუსს" აქვს გატანილი, რაც იმის მანიშნებელია, რომ **ლუიჯი დელ ნერის** უფრო დაცვაზე აქვს სამუშაო. უკანა ხაზიც რომ ისეთივე ეფექტური ყოფილიყო, როგორიც შეტევა, შობა-ახალ წელს „იუვე" ალბათ ლიდერის რანგში შეხვდებოდა. გაშვებული ბურთების მხრივ „მილანს" და „სამპდორიას" აქვთ საუკეთესო მაჩვენებელი. „სამპას" შემთხვევაში პირიქით უნდა ვთქვათ - გენუელებს შეტევის გაძლიერებაზე მართებთ ფიქრი. თუ ამ საქმეს თავი კარგად გაართვეს და დაცვაც მოწოდების სიმაღლეზე დარჩა, ეს გუნდი უთუოდ იბრძოლებს ევროსაგზურისთვის. ისე, მართლაც რომ საოცარია - გუნდს, რომელსაც მხოლოდ 13 გოლი აქვს გაშვებული და ამ მაჩვენებლით ლიდერთან ერთად საუკეთესოა, სატურნირო ცხრილში მხოლოდ მერვე ადგილი უკავია.

საინტერესოა, რომ ყველაზე მეტი გულშემატკივარი „ინტერის" საშინაო თამაშებზე დადის, მეორე კი ამ მხრივ „მილანია". არადა, „ნერაძურისთვის" პირველი ეტაპი არცთუ წარმატებული გამოდგა, მაშინ, როდესაც, „როსონერი" ლიდერია. საგულისხმოა, რომ ბოლო წლებში სწორედ „მილანის" საშინაო თამაშებზე დადიოდა ყველაზე მეტი გულშემატკივარი - მაშინ, როდესაც მუდმივად „ინტერი" იყო ლიდერი და ჩემპიონი. როგორც ჩანს, გასულ სეზონში „ნერაძურის" ტრიუმფმა ამ გუნდის საშინაო თამაშების აბონემენტების სარეკორდო რაოდენობით გაყიდვა გამოიწვია. სტატისტიკური მონაცემების მოკლე შეფასება კი ასეთია: აბსოლუტურად ყველა კომპონენტში გუნდები თუ ფეხბურთელები საკმაოდ მჭიდროდ არიან განლაგებულნი. დანარჩენზე სტატისტიკური მონაცემებიდან დეტალურად შეიტყობთ...

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

### გოლები

| გუნდი | გოლი | პენ. | საჯარ. | თავ. | ფეხბ. რიც. |
|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 32 | 2 | 1 | 5 | 9 |
| 2. მილანი | 29 | 2 | - | 4 | 9 |
| 3. პალერმო | 28 | - | 1 | 2 | 9 |
| 4. ნაპოლი | 25 | 1 | - | 4 | 5 |
| 5. ლაციო | 23 | 1 | 1 | 1 | 9 |
| 6. უდინეზე | 21 | 2 | 1 | 5 | 8 |
| 7. რომა | 21 | 3 | - | 3 | 10 |
| 8. ინტერი | 20 | 3 | - | 1 | 8 |
| 9. კალიარი | 19 | 1 | 1 | 6 | 7 |
| 10. კიევო | 18 | 1 | 1 | 4 | 9 |
| 11. სამპდორია | 17 | 4 | 1 | 1 | 5 |
| 12. ბოლონია | 16 | - | - | 4 | 5 |
| 13. ლეჩე | 16 | 1 | - | 3 | 8 |
| 14. ფიორენტინა | 15 | 2 | 1 | 2 | 9 |
| 15. პარმა | 14 | 1 | 1 | 4 | 7 |
| 16. კატანია | 13 | 2 | - | 4 | 9 |
| 17. ჯენოა | 13 | 1 | - | 4 | 8 |
| 18. ბრეშა | 12 | 3 | 2 | - | 7 |
| 19. ჩეზენა | 11 | 1 | - | 2 | 5 |
| 20. ბარი | 11 | 3 | - | 1 | 8 |
| საკ. კარში | 9 | - | - | - | - |
| სულ | 438 | 45 | 11 | 72 | - |

### ბომბარდირები

| ფეხბურთელი | გუნდი | გოლი | პენ. | საჯ. | თავ. | პასი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დი ნატალე | უდინეზე | 10 | 2 | 1 | - | 2 |
| 2. კავანი | ნაპოლი | 10 | - | - | 1 | 3 |
| 3. ეტოო | ინტერი | 9 | 3 | - | - | 2 |
| 4. დი ვაიო | ბოლონია | 9 | - | - | 1 | 2 |
| 5. იბრაჰიმოვიჩი | მილანი | 9 | 2 | - | 2 | 7 |
| 6. კვალიარელა | იუვენტუსი | 9 | - | - | 3 | 2 |
| 7. მატრი | კალიარი | 8 | 1 | - | 2 | - |
| 8. ილიჩიჩი | პალერმო | 7 | - | - | - | 1 |
| 9. ბორიელო | რომა | 7 | 1 | - | - | 1 |
| 10. პასტორე | პალერმო | 7 | - | - | 1 | 1 |
| 11. ჰამშიკი | ნაპოლი | 7 | 1 | - | 1 | 2 |
| 12. პელისიერი | კიევო | 6 | 1 | - | 1 | 3 |
| 13. კრესპო | პარმა | 6 | 1 | - | 1 | - |
| 14. რობინიო | მილანი | 6 | - | - | - | - |
| 15. პატო | მილანი | 6 | - | - | 1 | - |
| 16. პაცინი | სამპდორია | 6 | 2 | - | - | - |
| 17. პინილია | პალერმო | 5 | - | - | 1 | 2 |
| 18. ფლოკარი | ლაციო | 5 | - | - | 1 | - |
| 19. ჟილარდინო | ფიორენტინა | 5 | - | - | - | 1 |
| 20. კარაჩოლო | ბრეშა | 5 | 3 | - | - | 1 |

### მეპასეები

| ფეხბურთელი | გუნდი | პასი |
|---|---|---|
| 1. კოსუ | კალიარი | 8 |
| 2. მაური | ლაციო | 7 |
| 3. იბრაჰიმოვიჩი | მილანი | 7 |
| 4. ლავეცი | ნაპოლი | 6 |
| 5. კრასიჩი | იუვენტუსი | 5 |
| 6. ზეედორფი | მილანი | 5 |
| 7. ველოზო | ჯენოა | 4 |
| 8. ბალცარეტი | პალერმო | 4 |
| 9. ნოჩერინო | პალერმო | 4 |
| 10. ერნანესი | ლაციო | 4 |
| 11. გარგანო | ნაპოლი | 3 |
| 12. ანჯელო | პარმა | 3 |
| 13. ლაძარი | კალიარი | 3 |
| 14. რონალდინიო | მილანი | 3 |
| 15. მარილუნგო | სამპდორია | 3 |
| 16. ოლივერა | ლეჩე | 3 |
| 17. პელისიერი | კიევო | 3 |
| 18. კავანი | ნაპოლი | 3 |
| 19. სნეიდერი | ინტერი | 3 |
| 20. იაკვინტა | იუვენტუსი | 3 |

### გოლები საშუალოდ

| გატანა | |
|---|---|
| 1. იუვენტუსი | 1.93 |
| 2. მილანი | 1.73 |
| 3. პალერმო | 1.67 |
| 4. ნაპოლი | 1.60 |
| 5. რომა | 1.33 |
| 6. ლაციო | 1.33 |
| 7. ინტერი | 1.33 |
| 8. სამპდორია | 1.20 |
| 9. უდინეზე | 1.13 |
| 10. კიევო | 1.07 |
| 11. კალიარი | 1.07 |
| 12. ბოლონია | 1.00 |
| 13. ფიორენტინა | 1.00 |
| 14. ჯენოა | 0.87 |
| 15. პარმა | 0.87 |
| 16. ლეჩე | 0.87 |
| 17. კატანია | 0.87 |
| 18. ბრეშა | 0.73 |
| 19. ჩეზენა | 0.67 |
| 20. ბარი | 0.67 |

| გაშვება | |
|---|---|
| 1. მილანი | 0.80 |
| 2. სამპდორია | 0.80 |
| 3. ლაციო | 0.86 |
| 4. კიევო | 0.93 |
| 5. ჯენოა | 0.93 |
| 6. ინტერი | 0.93 |
| 7. კალიარი | 1.00 |
| 8. კატანია | 1.00 |
| 9. იუვენტუსი | 1.00 |
| 10. ფიორენტინა | 1.00 |
| 11. პარმა | 1.13 |
| 12. უდინეზე | 1.13 |
| 13. ნაპოლი | 1.13 |
| 14. პალერმო | 1.33 |
| 15. რომა | 1.33 |
| 16. ბრეშა | 1.33 |
| 17. ჩეზენა | 1.33 |
| 18. ბოლონია | 1.36 |
| 19. ბარი | 1.60 |
| 20. ლეჩე | 2.07 |

### უდისციპლინოები (გუნდები)

| გუნდი | გაძ. | გაფრ. | ქულა |
|---|---|---|---|
| 1. რომა | 5 | 33 | 48 |
| 2. ლეჩე | 4 | 35 | 47 |
| 3. ფიორენტინა | 4 | 31 | 43 |
| 4. ნაპოლი | 3 | 33 | 42 |
| 5. ჩეზენა | 3 | 31 | 40 |
| 6. ბარი | 3 | 29 | 38 |
| 7. კიევო | 1 | 35 | 38 |
| 8. ბოლონია | 1 | 32 | 35 |
| 9. პარმა | 2 | 28 | 34 |
| 10. ჯენოა | 1 | 31 | 34 |
| 11. ბრეშა | 1 | 31 | 34 |
| 12. კალიარი | - | 33 | 33 |
| 13. უდინეზე | 1 | 28 | 31 |
| 14. კატანია | 2 | 23 | 29 |
| 15. მილანი | 1 | 25 | 28 |
| 16. იუვენტუსი | - | 28 | 28 |
| 17. სამპდორია | - | 26 | 26 |
| 18. ლაციო | 1 | 22 | 25 |
| 19. პალერმო | - | 23 | 23 |
| 20. ინტერი | - | 19 | 19 |
| სულ | 22 | 576 | 675 |

### უდისციპლინოები (ფეხბურთელები)

| ფეხბურთელი | გუნდი | გაძ. | გაფრ. | ქულა |
|---|---|---|---|---|
| 1. ნ. ბურდისო | რომა | 2 | 3 | 9 |
| 2. ოლივერა | ლეჩე | 1 | 5 | 8 |
| 3. მაქსი ლოპესი | კატანია | 1 | 5 | 8 |
| 4. კოლუჩი | ჩეზენა | 1 | 5 | 8 |
| 5. ფერნანდესი | კიევო | 1 | 5 | 8 |
| 6. დონატი | ბარი | 1 | 4 | 7 |
| 7. პერესი | ბოლონია | - | 7 | 7 |
| 8. კანავარო | ნაპოლი | 1 | 3 | 6 |
| 9. ჯემაილი | პარმა | 1 | 3 | 6 |
| 10. მუდინგაი | ბოლონია | 1 | 3 | 6 |

### ფეხბურთელთა ეროვნება

| | |
|---|---|
| იტალია | 306 |
| არგენტინა | 43 |
| ბრაზილია | 42 |
| ურუგვაი | 18 |
| საფრანგეთი | 15 |
| შვეიცარია | 15 |
| სერბეთი | 9 |
| განა | 8 |
| რუმინეთი | 7 |
| ესპანეთი | 7 |
| კოლუმბია | 7 |
| სლოვენია | 7 |
| ჩილე | 6 |
| ნიგერია | 5 |
| უნგრეთი | 4 |
| პორტუგალია | 4 |
| საბერძნეთი | 4 |
| ალჟირი | 4 |
| ჩეხეთი | 4 |
| ჩერნოგორია | 3 |
| სლოვაკეთი | 3 |
| ბელგია | 3 |
| პოლონეთი | 3 |
| შვედეთი | 2 |
| დანია | 2 |
| მალი | 2 |
| ავსტრია | 2 |
| ჰონდურასი | 2 |
| მაროკო | 2 |
| იაპონია | 2 |
| სენეგალი | 2 |
| ნორვეგია | 2 |
| ალბანეთი | 2 |
| ბელარუსი | 2 |
| საბერძნეთი | 2 |
| ჰოლანდია | 2 |
| პარაგვაი | 2 |
| მაკედონია | 1 |
| ხორვატია | 1 |
| ბულგარეთი | 1 |
| კენია | 1 |
| სიერა ლეონე | 1 |
| კოსტა რიკა | 1 |
| კოტ დივუარი | 1 |
| ვენესუელა | 1 |
| საქართველო | 1 |
| ბოსნია ჰერცოგოვინა | 1 |
| ანგოლა | 1 |
| კამერუნი | 1 |
| აშშ | 1 |
| ავსტრალია | 1 |
| პერუ | 1 |
| ფინეთი | 1 |
| გერმანია | 1 |

### ტაქტიკური სქემები

| | |
|---|---|
| 4-3-1-2 | 92 |
| 4-3-3 | 52 |
| 4-4-2 | 51 |
| 4-2-3-1 | 39 |
| 4-3-2-1 | 31 |
| 3-4-2-1 | 23 |
| 4-1-4-1 | 16 |
| 3-4-1-2 | 11 |
| 3-4-3 | 8 |
| 3-5-2 | 5 |
| 4-4-1-1 | 5 |
| 4-1-3-2 | 1 |

### დასწრება სტადიონებზე

| გუნდი | დასწრება |
|---|---|
| 1. ინტერი | 63 783 |
| 2. მილანი | 47 700 |
| 3. ნაპოლი | 40 234 |
| 4. ლაციო | 31 665 |
| 5. რომა | 30 938 |
| 6. პალერმო | 26 302 |
| 7. ჯენოა | 24 010 |
| 8. იუვენტუსი | 23 540 |
| 9. სამპდორია | 22 273 |
| 10. ფიორენტინა | 22 254 |
| 11. ბარი | 22 221 |
| 12. ბოლონია | 19 089 |
| 13. ჩეზენა | 15 404 |
| 14. უდინეზე | 15 135 |
| 15. პარმა | 14 698 |
| 16. კატანია | 12 648 |
| 17. კალიარი | 12 625 |
| 18. კიევო | 11 761 |
| 19. ბრეშა | 8 734 |
| 20. ლეჩე | 7 907 |
| სულ საშუალოდ | 23 646 |

### ფეხბურთელთა რაოდენობა. ასაკი

| გუნდი | ფეხბ. | ლეგიონერი | საშ. ასაკი |
|---|---|---|---|
| 1. ფიორენტინა | 27 | 13 | 26.3 |
| 2. ინტერი | 26 | 22 | 27.3 |
| 3. ბარი | 26 | 9 | 25.7 |
| 4. რომა | 26 | 16 | 28.4 |
| 5. მილანი | 25 | 13 | 28.6 |
| 6. ბრეშა | 25 | 12 | 27.9 |
| 7. იუვენტუსი | 25 | 8 | 26.6 |
| 8. სამპდორია | 24 | 6 | 24.9 |
| 9. კატანია | 24 | 13 | 26.3 |
| 10. ბოლონია | 24 | 10 | 25.2 |
| 11. ლეჩე | 24 | 11 | 26.1 |
| 12. ლაციო | 23 | 14 | 27.3 |
| 13. ჯენოა | 22 | 10 | 26.4 |
| 14. კიევო | 22 | 10 | 28.3 |
| 15. ნაპოლი | 22 | 10 | 26.8 |
| 16. პარმა | 21 | 7 | 26.7 |
| 17. ჩეზენა | 21 | 12 | 27.0 |
| 18. უდინეზე | 20 | 12 | 25.1 |
| 19. პალერმო | 19 | 8 | 24.6 |
| 20. კალიარი | 19 | 3 | 25.3 |
| სულ | 465 | 219 | |
| საშუალოდ | 23 | | 26.5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი

# პეპი, ვითარცა კრუიფი

## რათა ექვსი, მაშ რამდენი?

2011 წლის პირველივე დღეებში „ბარსელონა“ გულშემატკივრებს კარგი ამბით გაახარებს - კლუბის თავკაცი **ხოსეპ გვარდიოლა** ძალიან ახლოსაა გუნდის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების დასრულებასთან და მალე ახალ კონტრაქტზე მოაწერს ხელს. პეპს ახლა ეს სეზონილა აკავშირებს „ბლაუგრანასთან“, **სანდრო როსელი** კი მოწადინებულია წარმატებული სპეციალისტი, რაც შეიძლება, დიდი ხნით დატოვოს „კამპ ნოუზე“. კლუბის პრეზიდენტი, გვარდიოლა და მისი აგენტი **ხოსე მარია ორობიტგი** გასულ კვირაში შეიკრიბნენ, სადაც როსელმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა თავისი პოზიცია, რომ კლუბში ხანგრძლივი სტაბილურობის მიღწევა სურს. მხარეებმა თითქმის მიაღწიეს საბოლოო შეთანხმებას, რომლის დეტალებიც მალე დაზუსტდება და იანვრის დასაწყისში კლუბი ოფიციალურად გამოაცხადებს კონტრაქტის გაგრძელების შესახებ.

ეს ინფორმაცია მადრიდულმა „დიარიო ას-მა“ და ბარსელონურმა „ელ მუნდო დეპორტივომ“ გაახმაურეს. 39 წლის გვარდიოლა მოწადინებულია კარიერა მშობლიურ კლუბში გააგრძელოს, მიუხედავად იმ ხმებისა, რომ მას „მანჩესტერ იუნაიტედში“ სერ **ალექს ფერგიუსონის** ღირსეულ მემკვიდრედ მიიჩნევდნენ. „ელ მუნდო დეპორტივო“ მიიჩნევს, რომ ყველაფერი შეთანხმებულია და კონტრაქტის შესახებ, შეიძლება, ახალი წლის პირველივე დღეებში გამოაცხადონ. „დიარიო ასი“ ამტკიცებს, რომ მხარეებს ერთადერთი საკითხი დარჩათ შესათანხმებელი - სანდრო როსელი გვარდიოლას 6-წლიან კონტრაქტს სთავაზობს, მაგრამ მწვრთნელი ამას უარობს. გვარდიოლა პრეზიდენტს საინტერესო სახის კონტრაქტს სთავაზობს - ხელშეკრულება განახლდეს ყოველი სეზონის შემდეგ ავტომატურად, ყოველგვარი ახალი მოლაპარაკების გარეშე, თუკი ორივე მხარე თანახმა იქნება. სხვათა შორის, ასეთი სახის ხელშეკრულება სულაც არ არის სიახლე კატალონიურ გრანდში - ზუსტად ასეთი სახის კონტრაქტი აკავშირებდა „მფრინავ ჰოლანდიელ“ **იოჰან კრუიფს** „ბარსელონასთან“ და მიუხედავად ამისა, მან „კამპ ნოუზე“ 1988 წლიდან 1996 წლამდე გაძლო ანუ - 8 წარმატებული სეზონი.

გასულ კვირაში როსელმა საჯაროდ განაცხადა, რომ ეიმედება გვარდიოლასი და მიაჩნია, რომ პეპს აქვს შანსი იმდენი ხანი გაძლოს კლუბის თავკაცად, რამდენიც სერ ალექს ფერგიუსონმა „მანჩესტერში“ (აგერ 24 წელზე მეტია ფერგიუსონი „წითელ ეშმაკუნებს“ წვრთნის). სერ ალექსისა და „მანჩესტერის“ ხსენება ბევრს ენიშნა - ინგლისური წყაროები ხომ გვარდიოლას ბედს „ოლდ ტრაფორდს“ უკავშირებდნენ. ამით კი როსელმა კიდევ ერთხელ მიანიშნა, რომ წარმატებულ ახალგაზრდა სპეციალისტს არაფრის დიდებით არ დაუთმობს „მანჩესტერ იუნაიტედს“: *„პეპი „ბარსაა“, ის ამ კლუბში და ამ კლუბით ცხოვრობს. ამითაც გამოირჩევა სხვა მწვრთნელებისგან, რომლებიც შეიძლება მოვიდნენ და წავიდნენ, პეპი კი რჩება. მას შეუძლია გახდეს „ბარსას“ ფერგიუსონი და გააგრძელოს კონტრაქტი კლუბთან რამდენჯერაც მოისურვებს“*, - განაცხადა მაშინ როსელმა.


გვარდიოლა ბარსასთან დღედღეზე ახალ კონტრაქტს გააფორმებს

გვარდიოლა 1991-2001 წლებში თამაშობდა „ბარსელონაში“, 2006 წელს ფეხბურთელის კარიერა დაასრულა და მწვრთნელობა დაიწყო, 2008 წელს მთავარი მწვრთნელი გახდა, პოსტზე ჰოლანდიელი **ფრანკ რაიკაარდი** შეცვალა. გვარდიოლამ კლუბს ორჯერ ლა ლიგა მოაგებინა, ერთხელ „სამეფო თასი“, ორჯერ ესპანეთის სუპერთასი, ჩემპიონთა ლიგა, ევროპის სუპერთასი, საკლუბო ჩემპიონატი.

გაფიცვა

# პრიმერას წლის პრემიერტური ჩაიშლება?

წლის პირველივე ტურს, რომელიც 2-3 იანვარს უნდა გაიმართოს, ჩაშლა ემუქრება, მიზეზი კი ორია - ესპანეთში, როგორც ევროპის დიდ ნაწილში, ყინვებია და კვირისთვის (2 იანვარს) ამინდის პროგნოზის მიხედვით ამინდის გაუარესებას უნდა ველოდოთ და არა გამოდარებას. ამიტომაც, ესპანეთის ფეხბურთელთა ასოციაცია (AFE) მოითხოვს მატჩების გადადებას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი გაფიცვით იმუქრება. ამ ორგანიზაციამ დრო იხელთა და სხვა მოთხოვნებიც დააყენა, უფრო ზუსტად, ძველი მოთხოვნები გაიხსენა - კლუბებმა და ფედერაციამ ფეხბურთელთა დავალიანების გაცემის გარანტიები გასცენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ტური ყველა ლიგაში ჩაიშლება. შეგახსენებთ, რომ სეგუნდადივიზიონის ძალიან ბევრი გუნდი ფინანსურ კრიზისშია და ფეხბურთელებს დაგვიანებით, ან სულაც ვერ უხდის ჯამაგირს. 2 იანვარს პრიმერადივიზიონის ხუთი მატჩი უნდა გაიმართოს. ჩაშლა ემუქრება შემდეგ შეხვედრებს: „ბილბაო“-„დეპორტივო“, „ბარსელონა“-„ლევანტე“, „სპორტინგი“-„მალაგა“, „სევილია“-„ოსასუნა“ და „ვალენსია“-„ესპანიოლი“. გაფიცულები 2 იანვრის ყველა მატჩს დღის საათებში გამართვას ითხოვენ, თუმცა ტელევიზიებს ეს არ აწყობთ.


იკერ კასილიასი და დავიდ ვილია აფე-ს აქტიური წევრები არიან

„ოსასუნას“ თავკაცმა **ხოსე ანტონიო კამაჩომ** ბრძანა, რომ დროა, ესპანურ ფეხბურთში მოთამაშეებმა და მწვრთნელებმა თავიანთი უფლებების დაცვა და ერთად დგომა ისწავლონო. თუკი მოლაპარაკებები ჩიხში შევა, ფეხბურთელები მოედანზე არ გავლენ სათამაშოდ. AFE -ს წევრი ბევრი ცნობილი ფეხბურთელია. მათ შორის, „რეალის“ კაპიტანი **იკერ კასილიასი** და „ბარსელონას“ თავდამსხმელი **დავიდ ვილია**.

ესპანეთის ფეხბურთელთა ასოციაციის და პროფესიული ლიგის წარმომადგენლების (LFP) გადამწყვეტი შეხვედრა დღეს უნდა გაიმართოს. შესაძლოა, ჩემპიონატის მე-17 ტური მთლიანად გადაიდოს, ამიტომ ლა ლიგა დროულად (22 მაისს) აღარ დასრულდეს.

**რეალი 2010/11 ციფრებში**

| ფეხბურთელი | ას | პოზ | წთ | თ | გ | სტ | გც | შც | სთ | ყვ | წ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იკერ კასილიასი | 29 | გ | 1440 | 16 | 0 | 16 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 |
| 25. იერჟი დუდეკი | 37 | გ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 11 | 0 | 0 |
| 13. ადანი | 23 | გ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 0 |
| 2. რიკარდო კარვალიო | 32 | მ | 1343 | 15 | 2 | 15 | 0 | 1 | 1 | 7 | 1 |
| 12. მარსელო | 22 | მ | 1300 | 15 | 0 | 15 | 0 | 2 | 0 | 5 | 0 |
| 3. პეპე | 27 | მ | 1246 | 14 | 14 | 6 | 0 | 1 | 0 | 1 | 1 |
| 4. სერხიო რამოსი | 24 | მ | 1080 | 12 | 1 | 12 | 0 | 0 | 0 | 4 | 1 |
| 17. ალვარო არბელოა | 27 | მ | 674 | 11 | 0 | 7 | 4 | 1 | 9 | 3 | 0 |
| 18. რაულ ალბიოლი | 25 | მ | 115 | 4 | 0 | 1 | 3 | 0 | 8 | 0 | 0 |
| 15. მატეოსი | 23 | მ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| 19. ესეკიელ გარაი | 24 | მ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 |
| 14. ჩაბი ალონსო | 29 | ნ | 1350 | 15 | 0 | 15 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 |
| 22. ანხელ დი მარია | 22 | ნ | 1181 | 16 | 5 | 15 | 1 | 10 | 1 | 2 | 0 |
| 23. მესუთ ოზილი | 22 | ნ | 1161 | 16 | 4 | 15 | 1 | 14 | 1 | 1 | 0 |
| 24. სამი ხედირა | 23 | ნ | 1086 | 15 | 0 | 13 | 2 | 4 | 2 | 5 | 0 |
| 10. ლასანა დიარა | 25 | ნ | 579 | 10 | 0 | 5 | 5 | 0 | 9 | 1 | 0 |
| 21. პედრო ლეონი | 24 | ნ | 116 | 5 | 0 | 0 | 5 | 0 | 15 | 1 | 0 |
| 11. ესტებან გრანერო | 23 | ნ | 98 | 7 | 0 | 0 | 7 | 0 | 13 | 2 | 0 |
| 16. სერხიო კანალესი | 19 | ნ | 94 | 3 | 0 | 1 | 2 | 1 | 5 | 2 | 0 |
| 6. მაჰამადუ დიარა | 29 | ნ | 19 | 3 | 0 | 0 | 3 | 0 | 9 | 0 | 0 |
| 26. ხუან კარლოსი | 20 | ნ | 12 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 |
| 27. ხუანფრანი | 23 | ნ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 |
| 5. ფერნანდო გაგო | 24 | ნ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 8. კაკა | 28 | ნ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 7. კრიშტიანო რონალდო | 25 | თ | 1440 | 16 | 17 | 16 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 |
| 20. გონსალო იგუაინი | 23 | თ | 988 | 12 | 7 | 12 | 0 | 9 | 1 | 1 | 0 |
| 9. ქარიმ ბენზემა | 23 | თ | 517 | 15 | 1 | 4 | 11 | 3 | 12 | 0 | 0 |
| 29. ალვარო მორატა | 18 | თ | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |

შენიშვნა: ას - ასაკი; პოზ - პოზიცია; წთ - წუთი; თ - თამაში; გ - გოლი; სტ - სტარტი; გც - გამოცვალეს; შც - შეცვლაზე; სთ - სათადარიგო; ყვ - ყვითელი ბარათი; წ - წითელი ბარათი.

ამბები

## ოპერაციამ სეზონი დაასრულა

ბილბაოს „ატლეტიკის“ მცველმა **იონ აურტენეჩემ** მხრის ოპერაცია გაიკეთა და მისთვის სეზონი დასრულებულია. მართალია, ექიმთა თქმით, ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, მაგრამ ტრავმა იმდენად რთული იყო, რომ ფეხბურთელს 6 თვემდე დრო ესაჭიროება სრული რეაბილიტაციისათვის. ასე რომ, ამ სეზონში მისი თამაში გამორიცხულია. აურტენეჩე 18 წლის მარცხენა მცველია, მას მომავალში ესპანეთის ნაკრებში მოხვედრას უწინასწარმეტყველებენ. ამ სეზონში იონმა 10-ჯერ მოირგო „ბილბაოს“ ზოლიანი მაისური, მაგრამ ბოლოს ვარჯიშზე ძალიან მძიმე ტრავმა მიიღო, ოპერაციის გარეშე ტრავმის მორჩენის შანსი ძალიან მცირე იყო. მოკლედ, **ხოაკინ კაპაროსს** აურტენეჩეს იმედი მომავალ სეზონში თუ ექნება. „ატლეტიკი“ წელიწადს **ფერნანდო ლორენტეს** გარეშე დაიწყებს, თუმცა გუნდის ლიდერის ტრავმა გაცილებით მსუბუქია - ლორენტე მხოლოდ წლის საწყის ორ შეხვედრას გამოტოვებს.

## გარაის შალკე გამოექავეთა

მადრიდის „რეალის“ არგენტინელი მცველი **ესეკიელ გარაი**, ალბათ, დიდ ხანს არ დარჩება კლუბში - „მარკა“ ამტკიცებს, რომ მისი გადაბირება ბუნდესლიგის „შალკეს“ სურს. არგენტინელმა სეზონისწინა ვარჯიშზე მუხლი ამოიგდო, რის გამოც მან თითქმის მთელი ახლანდელი სეზონი გამოტოვა. მან დაკარგა ადგილი სასტარტო შემადგენლობაში, სადაც მყარად ჩაჯდა **რიკარდო კარვალიო**. ახლა **მოურინიოს** გუნდის დაცვის ცენტრს პორტუგალიური დუეტი - კარვალიო-**პეპე** ამაგრებს. გარაი კი მე-4 ცენტრალურ მცველად ითვლება **რაულ ალბიოლის** შემდეგ. გარაის საბაზრო ფასი 10 მილიონი ევროა.

## დრენტე აჯანყდა

მადრიდის „რეალის“ ჰოლანდიელმა ლეგიონერმა **როისტონ დრენტემ** განაცხადა, რომ „ერკულესის“ ვარჯიშზე მანამდე არ გამოცხადდება, სანამ კლუბი კუთვნილ ხელფასს არ გადაუხდის. სწორედ ამ მიზეზით გააცდინა მან მცირე შვებულების შემდეგ პირველი ვარჯიში ალიკანტეში. კლუბის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ წარმოდგენა არ აქვთ, სად არის დრენტე. *„ტყუილია, ჩემი უვარჯიშებლობის მიზეზი ყველამ კარგად იცის. ყველა საქმის კურსში ჩავაყენე. მოაგვარებენ პრობლემას, მეც განვაახლებ ვარჯიშს“*, - აცხადებს დრენტე, რომელიც „ერკულესში“ იჯარის წესით თამაშობს და ალიკანტეურ კლუბში ერთ-ერთი საუკეთესოა.

## ალონსო წასვლაზე დაფიქრდა

„ესპანიოლის“ შემტევი **ივან ალონსო** არ გამორიცხავს, რომ იანვრის სატრანსფერო სეზონში კლუბს გამოიცვლის. ურუგვაელი „ბლანკ ი ბლაუს“ წევრი 2009 წელს გახდა და შარშანდელი სეზონის ბოლომდე სასტარტო შემადგენლობის წევრი იყო. დაიწყო ახალი სეზონი და მისი ადგილი **პაბლო ოსვალდომ** დაიკავა, რომელიც ბრწყინვალედ ათამაშდა, ალონსო კი უმთავრესად, შეცვლაზე შედიოდა. *„არაფერს გამოვრიცხავ. ამ წუთისათვის ჩემი ტრანსფერის ალბათობა ჰიპოთეტურია, მაგრამ ჩემი ახლანდელი მდგომარეობა კლუბში არ მაკმაყოფილებს. „ესპანიოლიდან“ თუ წავალ, ალბათ, სხვა ქვეყანაში გავაგრძელებ კარიერას. „ესპანიოლში“ თაობათა ცვლაა, თუმცა, არ მიმაჩნია, რომ კონკურენციას ვერ გავუძლებ“* - განაცხადა 31 წლის თავდამსხმელმა.

## მონრეალი საოპერაციოა

პამპლონის „ოსასუნას“ ფულბეკმა **ნაჩო მონრეალმა** მუხლი დაიზიანა და ახლა მას 4-დან 6 კვირამდე იძულებითი დასვენება მოუწევს. ესპანეთის ნაკრების ახალწვეულმა ტრავმა ორშაბათის ვარჯიშზე მიიღო. „ოსასუნას“ მარცხენა მცველი მუხლზე ოპერაციას დღეს გადაიტანს და მხოლოდ ამის შემდეგ გაირკვევა იძულებითი უქმობის ზუსტი დრო. მოკლედ, გუნდის თავკაცი **ხოსე ანტონიო კამაჩო** ცუდ დღეშია - ამას წინათ მან ტრავმის გამო ფორვარდი **ხავიერ კამუნიასი** დაკარგა, ირანელი ლეგიონერები **ჯავად ნეკუნამი** და **მასუდ შოჯაეი** აზიის თასზე საასპარეზოდ წავიდნენ და იანვარში ლა ლიგაში ვერ ითამაშებენ.

## ატლეტიკოდან ატლეტიკში

**რაულ გარსიამ** შესაძლოა, მადრიდის „ატლეტიკოს“ მაისურა ბილბაოს „ატლეტიკისაზე“ გაცვალოს. ბასკურმა კლუბმა უკვე მიმართა მადრიდულს აღნიშნული წინადადებით. გარსია მადრიდელებმა 2007 წელს იყიდეს 13 მილიონ ევროდ „ოსასუნასგან“, თუმცა ბოლო დროს ის იშვიათად ხვდება სასტარტო შემადგენლობაში, ახლა კი „ვისენტე კალდერონზე“ ბრაზილიელი **ელიასიც** მივიდა... ბასკს კონტრაქტი დედაქალაქის კლუბთან 2012 წელს ეწურება. სხვათა შორის, „ბილბაოს“ „სარაგოსას“ ნიჭიერი შუახაზელი **ანდერ ერერაც** სურს.

## ნუ დამღალეთ!

„სევილიას“ ბრაზილიელ ფორვარდ **ლუიშ ფაბიანოს** შესაძლო წასვლაზე ხშირად საუბრობენ, თუმცა დრო გადის და ის მაინც „სანჩეს პისხუანზე“ რჩება. ალბათ, იანვარშიც ასე მოხდება - მიუხედავად სხვადასხვა სპეკულაციისა, ლუიშ ფაბიანომ „დიარიო ასს“ განუცხადა, რომ რჩება: *„სევილიასთან“ კონტრაქტი მაკავშირებს და როგორც პროფესიონალი, პატივს ვცემ ამ ვალდებულებას. ეს უკანასკნელად ვპასუხობ ამ კითხვაზე, უკვე დავიღალე ამ ჭორებისგან“.*

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა



გერმანია. წლის მწვრთნელი

# ლიოვის სტანდარტი

## 2010 მისი პირადი გამარჯვების წელი იყო



სცენა მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალური მატჩიდან: იოახიმ ლიოვი არგენტინის ნაკრების კარში გატანილ მესამე გოლს ზეიმობს

**იოახიმ ლიოვმა** გერმანულ ფეხბურთს ბრწყინვალება დაუბრუნაო - არც მეტი, არც ნაკლები, სწორედ ამას წერენ ჩვენი გერმანელი კოლეგები 2010 წლის მიწურულს. ზოგადად, გერმანელებს უკიდურესობაში გადავარდნა სჩვევიათ, მაგრამ ამ შემთხვევაში ასით თუ არა, ოთხმოცდაათი პროცენტით მაინც არიან მართლები: ფაქტია, იოგიმ გერმანიის ნაკრები და შესაბამისად, გერმანული ფეხბურთი მისთვის სათანადო სიმაღლეზე დააბრუნა. იოგიმ შექმნა მასშტაბი, რომელსაც გერმანულ ფეხბურთში გვერდს კიდევ დიდხანს ვერავინ აუვლის.

24 დეკემბერს კათოლიკური შობის წინადღეს **იოახიმ ლიოვი** თავის კაბინეტში იჯდა და ფრანგული გაზეთის, „ეკიპის" მთავარ რედაქტორსა და მიმომხილველებს ელოდა - ფრანგებს იოგი წლის საუკეთესო მწვრთნელის წოდებით უნდა დაეჯილდოებინათ და მასთან ინტერვიუზე იყვნენ შეთანხმებულები. მათ იოგის საჩუქრებიც ჩამოუტანეს: ულამაზესი თასი, რომელზეც ლიოვი ზუსტად იმ პოზაშია გამოხატული, როგორც ფოტოზე და ძვირფასი „როლექსი". პირველად მოხდა ისე, რომ გერმანელი სპეციალისტი საფრანგეთში Manager sportif de lannre-დ, ანუ, წლის საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს.

*„იოახიმ ლიოვის გუნდმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველაზე თვალსასეირო ფეხბურთი ითამაშა. გერმანიის ნაკრებმა უდიდესი საფეხბურთო ზეიმი, მუნდიალი მოწყენილობისგან იხსნა,"* - ასეთია „ეკიპის" ოფიციალური განმარტება. ფრანგი ჟურნალისტები ამბობენ, გერმანიის ნაკრები დღესდღეობით საფრანგეთშიც ძალიან პოპულარულია, ბუნდესგუნდმა ფეხბურთში რევოლუცია მოახდინაო. კაცი, რომელსაც ამ რევოლუციის მთავარ გმირად აღიარებენ, ამ დღეებში ზეიმებზე გამოჩენას ერიდება და თითქმის ყველა სატელევიზიო გადაცემას სტუმრობაზე უარი უთხრა. ლიოვს მიაჩნია, რომ ზედმეტი პომპეზურობა საჭირო არ არის - რაც უნდა იყოს, გერმანიამ მსოფლიოს ჩემპიონატზე მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავა.

ფრანგი ჟურნალისტების შემდეგ იოგიმ გერმანიის საფეხბურთო კავშირის ოფისში კიდევ არაერთ სტუმარს უმასპინძლა. ექვსი საათის განმავლობაში ინტერვიუებს არიგებდა და თანაც, უმეტესად არა საკუთარ თავზე, არამედ გუნდზე საუბრობდა და ჩვეულ სტილში, ძალიან ხშირად ხმარობდა სიტყვას „ჩვენ".

ფოტო, რომელიც სტატიას აქვს დართული, იოგისთვის 2010 წლის და გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, მისი კარიერის საუკეთესო მომენტშია გადაღებული. ეს არის სცენა, როცა ბუნდესმწვრთნელი მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში, არგენტინასთან მატჩის დროს „ალბისელესტეს" კარში გატანილ მესამე გოლს ზეიმობს.

*„ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია იმ მომენტების ამსახველი ფოტოები, რომლებიც მეხსიერებაში სამუდამოდ ჩამებეჭდა. ეს კი საუკეთესოა ამ მომენტებიდან. უდიდესი ბედნიერების განცდას, რაც არნე ფრიდრიხის გოლის დროს დამეუფლა, ვერასდროს დავივიწყებ,"* - ამბობს ლიოვი.

### მივხვდით, რომ ჩვენი საფეხბურთო კულტურა უნდა შეგვეცვალა

გერმანელი ექსპერტები რევოლუციაზე საუბრობენ, მოულოდნელზე, გასაკვირზე. ლიოვის ხელში გერმანული ფეხბურთი მნიშვნელოვნად შეიცვალა, ეს ფაქტია. ეს ამბავი ყველასათვის გასაკვირი რომ იყო, ესეც ცხადია. ეს არის აშკარა რევოლუცია, რომელიც იოგიმ გერმანულ ფეხბურთს 6 წლის განმავლობაში აჩუქა. შესაძლოა, ვინმემ თქვას, რომ ოთხი წელი უნდა გვეთქვა, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ იოგი 2004-დან 2006 წლამდე ბუნდესმწვრთნელ **იურგენ კლინსმანის** ასისტენტი იყო და ცნობილი ამბავია, რომ გერმანიის ნაკრების ტაქტიკა-სტრატეგიას კლინსის დროსაც ის განაგებდა. თუმცა იოგის სიტყვა „რევოლუციის" ხმარებას, ევოლუციაზე საუბარი ურჩევნია. *„მივხვდით, რომ გერმანული საფეხბურთო კულტურა უნდა შეგვეცვალა, თავიდან ბევრ წინააღმდეგობას წავაწყდით, მაგრამ დღეს უკვე ყველა აღიარებს, რომ ეს გზა მართებული იყო"*, - ამაყად აცხადებს იოგი.

მისმა გუნდმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველაზე იშვიათად დაარღვია თამაშის წესები; მისმა გუნდმა ყველა სხვა გუნდზე მეტი ორთაბრძოლა მოიგო; მისი გუნდი ბურთის მოპოვების შემდეგ ყველაზე სწრაფად გადადიოდა შეტევაზე; 2005 წელს გერმანიის ნაკრებს ბურთის მიღებიდან შეტევაზე გადასვლისთვის საშუალოდ 2.8 წამი სჭირდებოდა, ევროპის 2008 წლის ჩემპიონატზე 1.8 წამი, სამხრეთ აფრიკაში გამართულ მუნდიალზე კი მხოლოდ 1.1 წამი; ინგლისთან (4:1) და არგენტინასთან (4:0) ბრწყინვალე მატჩებში ეს მაჩვენებელი სულაც სასწაულებრივ 0.9 წამამდე დაეცა; გერმანიის ნაკრების ფეხბურთელები მსოფლიოს ჩემპიონატზე ესპანეთისა და ურუგვაის ნაკრების ფეხბურთელებთან ერთად, საშუალოდ ერთ თამაშში ყველაზე მეტს, 12.7 კილომეტრს დარბოდნენ.

ეს ციფრებია, სტატისტიკა, რომელიც ყველაფერზე ნათლად მეტყველებს. ლიოვი ამბობს, რომ ამ ციფრებში რევოლუციური არაფერია, რომ ეს მხოლოდ ევოლუციაა, ანუ, განვითარება, პროგრესი. ამ ყველაფერს იოგი რევოლუციას მხოლოდ იმ შემთხვევაში უწოდებდა, გერმანია მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონი რომ გამხდარიყო. ზემოთ მოყვანილი სტატისტიკა კი მხოლოდ იმის დასტურია, რომ მწვრთნელს ყოველთვის შეუძლია გუნდის თამაშზე გავლენის მოხდენა; რომ მწვრთნელს ყოველთვის შეუძლია თითოეული ფეხბურთელის გაუმჯობესება; რომ მწვრთნელის ხარისხი ფეხბურთში ძალიან მნიშვნელოვანია.

### ლიოვმა ყველა პრობლემა მოაგვარა

ამ ხნის მანძილზე, განსაკუთრებით კი 2010 წლის მუნდიალის წინ, იოგი ძალიან ბევრ პრობლემას წააწყდა, მაგრამ ყველა პრობლემა მოაგვარა: კაპიტან **მიხაელ ბალაკის**, მანამდე პირველ ნომრად მიჩნეული **რენე ადლერის**, ბალაკის პოტენციურ შემცვლელ **სიმონ როლფესისა** და **ჰაიკო ვესტერმანის** ტრავმები; ახალი კონტრაქტის გაუფორმებლობის გამო დაკარგული ნდობა - მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი შეკრება ბუნდესგუნდისთვის მხოლოდ არასასიამოვნო ამბების კასკადისგან შედგებოდა.

ის ფაქტი, რომ ლიოვმა მუნდიალის მეოთხედფინალში **დიეგო მარადონას** და მის არგენტინას ძალიან სამარცხვინო ნაგება აგემა, გერმანული ფეხბურთისთვის არა მარტო ყველაზე დიადი გამარჯვება იყო მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატის ფინალის შემდეგ, არამედ ეს იყო პირადად მწვრთნელ ლიოვის ტრიუმფი - იოგიმ „ფეხბურთის ღმერთი" გააშიშვლა, თვითონ კი ბრწყინვალე სპეციალისტად წარმოჩნდა.

*„დღეს უფრო ნათლად ვხედავ გზას, თუ როგორ უნდა მივიყვანო გერმანიის ნაკრები იქამდე, სადაც მისი ადგილია, ვიდრე 4-5 წლის წინ, რადგან ამ ხნის მანძილზე საჭირო პროგრესი განვიცადეთ,"* - ეს არის სიტყვები, რომელსაც ლიოვი 2010 წელს ყველაზე ხშირად იმეორებდა.

ახლავე შეიძლება იმის თქმა, რომ როცა იოგი ბუნდესგუნდიდან წასვლას მოისურვებს (იქნება ეს 2012-ში, 2014-ში თუ როცა იქნება), გერმანიის საფეხბურთო კავშირი ნაკრების მთავარ მწვრთნელს ადრინდელთან შედარებით უკვე სულ სხვა მიდგომით დანიშნავს. მწვრთნელს, რომელიც იოგის შეცვლის, თავისი შესაძლებლობები დანიშვნამდე დიდი ხნით ადრე უნდა ჰქონდეს დამტკიცებული. თვითონ იოგის შემთხვევაში ასე არ იყო - ის თავის დროზე ჯერ უიმედო უმუშევრობის შემდეგ კლინსმანის ასისტენტი გახდა, 2006 წლის მუნდიალის შემდეგ, გამოუცდელი ასისტენტი სულაც მთავარ მწვრთნელად დანიშნეს. მაშინ მთელმა გერმანიამ ასეთი კითხვა დასვა: „ვინ, ლიოვი?" დღეს შტუტგარტელი იოახიმი გერმანიაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და ყველასათვის პატივსაცემი პიროვნებაა.

გერმანელები უფრო შორსაც მიდიან და შესაძლოა, გადაჭარბებულად მოგეჩვენოთ, მაგრამ ფაქტია, ამბობენ, **ჰერბერგერის** შემდეგ გერმანიის ნაკრებს ასეთი კომპეტენტური მთავარი მწვრთნელი არ ჰყოლიაო. მის არც ერთ წინამორბედს არ დაუმკვიდრებია ბუნდესნაკრებში ასე აშკარად თავისი სტილი, არ შეუტანია ბუნდესგუნდის თამაშში ამდენი ინოვაცია და არ აღმოუჩენია თუ გაუუმჯობესებია იმდენი ახალი ვარსკვლავი (**შვაინშტაიგერი, ლამი, ნოიერი, იოზილი, ხედირა, მიულერი**), რამდენიც ლიოვმა გაავარსკვლავა.

შესაბამისად, თითქმის გამორიცხულია, რომ გერმანიის ნაკრებში ამიერიდან ოდესმე ისე დაინიშნოს მწვრთნელი, როგორც ეს თავის დროზე **ფრანც ბეკენბაუერის, რუდი ფიოლერის** და ბოლოს კლინსმანის შემთხვევაში მოხდა. ლიოვის მაგალითზე გერმანიის საფეხბურთო კავშირში უკვე აღმოცენდა სტანდარტი, რომლის მიხედვითაც გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელს თავისი შესაძლებლობები დანიშვნამდე უნდა ჰქონდეს დამტკიცებული. უნდა ჰქონდეს ნაჩვენები, რომ მხოლოდ ძირითადი შემადგენლობის შერჩევა კი არა, გუნდის პროგრესირებაც შეუძლია.

ტექნიკა, ტაქტიკა, ფიზმომზადება, ფსიქოლოგია, თამაშის, ფეხბურთელების და მოწინააღმდეგე გუნდების დაკვირვება, მოთამაშეების კვება, კომუნიკაციები - იოახიმ ლიოვი ყველა ასპექტში წარმატებული სპეციალისტია. ფრანგები კი, გერმანიის ნაკრების დამრიგებელი წლის საუკეთესო მწვრთნელად რომ აღიარეს, ნამდვილად არ ცდებიან და მათგან ასეთი რამ არცაა გასაკვირი, რადგან ლიოვი საფრანგეთის ნაკრების ყოფილი თავკაცის, საყოველთაოდ ხელმოცარული **რაიმონ დომენეკის** ანტიპოდია. იმ ექვსი წლის განმავლობაში, როცა დომენეკი საფრანგეთის ნაკრებს წვრთნიდა, ლიოვმა გერმანიის ნაკრებს უდიდესი პროგრესი განაცდევინა, დომენეკმა კი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი გუნდი მოკლა. დომენეკმა სამხრეთ აფრიკაში ინტრიგებით ჩახლართული და ეგოიზმით აღსავსე ფეხბურთელებით დაკომპლექტებული, კონფლიქტებისკენ მიდრეკილი და სპორტული თვალსაზრისით წარუმატებლობისთვის განწირული გუნდი ჩაიყვანა. ფრანგებს რცხვენოდათ თავიანთი ნაკრების. საფრანგეთი და დომენეკი გერმანიისა და ლიოვის აბსოლუტურად საპირისპირონი იყვნენ.

„ეკიპის" რედაქტორებმა იოახიმ ლიოვთან ტაქტიკის, გუნდის მომზადებისა და ზოგადად ფეხბურთის შესახებ დიდი სიამოვნებით ისაუბრეს და ინტერვიუს შემდეგ აღნიშნეს, რომ დომენეკთან ინტერვიუებით ამის ნახევარი სიამოვნებაც კი არასდროს მიუღიათ.

სხვათა შორის, ათი წლის წინათ გერმანიაშიც დაახლოებით ასეთივე ვითარება იყო. 1998 წელს ბუნდესგუნდის თავკაცი **ბერტი ფოგთსი** იყო და მსოფლიოს ჩემპიონატზე სამარცხვინო გუნდი ჰყავდა, ორი წლის შემდეგ გერმანელები თვითგვემას ეწეოდნენ იმის გამო, რომ **ერიხ რიბეკმა** იმედები ოდნავადაც ვერ გაამართლა და საფეხბურთო გერმანია მაშინ მიხვდა, რომ ბევრი რამის შეცვლა იყო საჭირო...

---

ამბები



### კლოპი ძალიან დიდხანს

დორტმუნდის „ბორუსიას" მთავარმა მწვრთნელმა **იურგენ კლოპმა** BVB-ისთან ახალი კონტრაქტი ახლახან გააფორმა და თავისი ბედი დორტმუნდულ კლუბს 2014 წლამდე დაუკავშირა, მაგრამ ბუნდესლიგის პირველი წრის გამარჯვებულის მენეჯერი **ჰანს-იოახიმ ვატცკე** აცხადებს, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ იურგენი ჩვენთან კიდევ ძალიან დიდხანს დარჩესო.

*„ორწელიწად-ნახევარია, რაც კლოპი „ბორუსიას" წვრთნის და ამ ხნის მანძილზე ჩვენი გუნდი მხოლოდ პროგრესს განიცდიდა. დარწმუნებული ვარ, რომ იურგენი „დორტმუნდს" არა 2014 წლამდე, არამედ კიდევ დიდხანს უთავკაცებს,"* - განაცხადა ვატცკემ „კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

### სისე ფრაიბურგში დარჩება



„ფრაიბურგის" სენეგალელმა გოლეადორმა **პაპის დემბა სისემ** ბოლო მოუღო მის გარშემო ატეხილ დისკუსიებსა და სპეკულაციებს იმის შესახებ, თითქოს ის ბრაისგაუული კლუბის დატოვებას აპირებდეს. *„ბოლო დროს ხშირად წერენ, რომ იანვარში ან სეზონის ბოლოს „ფრაიბურგს" დავტოვებ და რომელიმე ტოპ-კლუბში გადავალ. პირდაპირ ვიტყვი, არსად წასვლას არ ვაპირებ. „ფრაიბურგთან" კონტრაქტი 2014 წლამდე მაკავშირებს და ჯერჯერობით გარემოს გამოცვლაზე არ ვფიქრობ,"* - აცხადებს სისე „კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

შეგახსენებთ, რომ 25 წლის სენეგალელმა თავდამსხმელმა გერმანიის მიმდინარე ჩემპიონატის პირველ წრეში 13 გოლის გატანა შეძლო და ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია. სისე „ფრაიბურგში" ზუსტად ერთი წლის წინ, ფრანგული „მეციდან" გადავიდა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ბიბლიოთეკა

მილანი



რონალდინიო გუშინდელ ვარჯიშზე

# რონალდინიომ ვარჯიში მიატოვა

**რონალდინიომ** "მილანის" ვარჯიში დემონსტრაციულად დატოვა. "სქაი იტალიას" ცნობით, ბრაზილიელმა ასეთი ნაბიჯი იმიტომ გადადგა, რომ თავისი აგენტი ძმის, **რობერტო დე ასიშისა** და "მილანის" ვიცე-პრეზიდენტ **ადრიანო გალიანის** შეხვედრის ჩაშლამ გული დასწყვიტა. ამ შეხვედრაზე კი მხარეებს რონალდინიოს მილანური კონტრაქტის გაწყვეტის დეტალებზე უნდა ემსჯელათ. შეხვედრა კი უამინდობის გამო ვერ შედგა.

რონალდინიოს "მილანიდან" დაუყოვნებლივ წასვლა და სამშობლოში დაბრუნება სურს, სადაც "გრემიო" ელის. ამ კლუბთან მან ყველაფერი უკვე შეათანხმა და ახლა ერთი სული აქვს, როდის გათავისუფლდება "მილანისგან".

იტალიელები კი მის გაშვებას, როგორც ჩანს, არ აპირებენ. "მილანის" გენერალური დირექტორის, **უმბერტო განდინის** განცხადებით, რონალდინიოზე უარის თქმა კლუბის გეგმებში არ შედის. დღეისთვის ვერც 30 წლის რონალდინიოს "მილანში" დარჩენას გამოვრიცხავთ და ვერც მის წასვლას. ზემოთ ნახსენები შეხვედრა კი აუცილებლად გაიმართება და ყველაფერს ნათელი სწორედ მაშინ მოეფინება.

შეგახსენებთ, რონალდინიო ბოლო დროს სულ უფრო და უფრო ნაკლებ დროს ატარებს მოედანზე. სერია A-ს ბოლო ტურებში მას მხოლოდ შეცვლაზე თამაშით უწევდა დაკმაყოფილება. იტალიის მიმდინარე ჩემპიონატში მის ანგარიშზე 11 მატჩი (აქედან მხოლოდ 5 სრული) მატჩი და 3 გოლია, ჩემპიონთა ლიგაზე კი მისი მონაგარი 5 შეხვედრასა და 1 გოლს შეადგენს.

ამბები

## ბუფონი ვარჯიშს შეუდგა

**ჯანლუიჯი ბუფონმა** მსოფლიოს ჩემპიონატზე მიღებული ტრავმა ბოლომდე მოირჩინა და ვარჯიში დაიწყო. შეგახსენებთ, ივნისში მან ზურგის ოპერაცია გადაიტანა, რის შემდეგაც მოედანზე ერთხელაც არ გასულა. 32 წლის ბუფონმა განაცხადა, რომ თავს შესანიშნავად გრძნობს და ერთი სული აქვს, როდის იხილავს გულშემატკუივარი "იუვენტუსის" მაისურით. გუშინ მან "ბებერი ქალბატონის" მეკარეებთან, **მარკო სტორარისა** და **ალექს მანინგერთან** ერთად სრული დატვირთვით ივარჯიშა.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ ვარჯიში **ამაურიმაც** განაახლა, რომელსაც ტრავმის გამო "იუვენტუსის" ბოლო მატჩები გაუცდა.

## 10 მილიონი ჯილარდინოში

"იუვენტუსს" შემტევი პოტენციალის გაძლიერება განუზრახავს და საამისოდ 10 მილიონი ევრო გამოყო. ტურინელთა მთავარი სამიზნე "ფიორენტინას" თავდამსხმელი **ალბერტო ჯილარდინოა.** გარდა იმისა, რომ "იუვე" ფლორენციელებს სოლიდურ თანხას სთავაზობს, ფეხბურთელის მოხიბვლას ფინანსურად ხელსაყრელი კონტრაქტითაც ცდილობს – თუ "იუვენტუსში" გადავა, ჯილარდინო წელიწადში 3 მილიონ ევროს მიიღებს, მაშინ როცა "ფიორენტინაში" მისი წლიური ანაზრაურება 2,3 მილიონს შეადგენს.

## პისარო არ იყიდება

"რომამ" გამოაცხადა, რომ **დავიდ პისაროსთან** განშორებას არ აპირებს. გავრცელებული ცნობების თანახმად, 31 წლის ჩილელი ნახევარმცველის შეძენა "სამპდორიას" სურდა.

*"პისარო ჩვენი კლუბისთვის მნიშვნელოვან ფიგურად რჩება. მის გაყიდვას არ ვაპირებთ და იმედია, ამ თემაზე სპეკულაციები შეწყდება"*, - ნათქვამია განცხადებაში.

შეგახსენებთ, პისარო დედაქალაქელებს 2006 წელს "ინტერიდან" შეუერთდა, მისი იტალიური კარიერა კი "უდინეზეში" დაიწყო.

## ფიფა პორტუგალიას დაემუქრა

ფიფა პორტუგალიის ნაკრებებსა და კლუბებს საერთაშორისო ტურნირებში ასპარეზობას აუკრძალავს იმ შემთხვევაში, თუ ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია გადაწყვეტილებას არ შეცვლის და საპრეზიდენტო არჩევნებს 5 თებერვალს ჩაატარებს. მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანო მიიჩნევს, რომ ეს არჩევნები არალეგიტიმურია და მისი შედეგების ცნობას არ აპირებს.

შესაბამისად, თუ პორტუგალიური ფეხბურთის თავკაცები თავისას არ დაიშლიან, მათი ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირს გამოეთიშება, კლუბები კი ევროტურნირებს.

## მაკედა წასვლას აპირებს

**ფედერიკო მაკედას** "მანჩესტერიდან" დროებით წასვლა და იჯარით სხვაგან ასპარეზობა სურს, რათა რეგულარული სათამაშო პრაქტიკა ჰქონდეს. "იუნაიტედი" ახალგაზრდა იტალიელი ფორვარდის სურვილს გაგებით ეკიდება და მზადაა, მას კლუბის მოძებნაშიც დაეხმაროს. ამასთან, "მანიუ" ხაზგასმით აცხადებს, რომ 19 წლის მაკედას გაყიდვას არ აპირებს. იგი ადგილსამყოფლის შეცვლას იანვრის სატრანსფერო ფანჯრისას აპირებს. მაკედას ერთ-ერთი ყველაზე რეალური მსურველი რომის "ლაციოა".

## ჟუანს იტალიაში ურჩევნია

**ჟუანმა** კატეგორიულად უარყო გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს სამშობლოში დაბრუნებას და კარიერის "ფლამენგოში" გაგრძელებას აპირებდეს. საფეხბურთო კარიერა ბრაზილიელმა ცენტრალურმა მცველმა სწორედ ამ კლუბში დაიწყო, შემდეგ ლევერკუზენის "ბაიერში" გადავიდა, "რომას" ღირსებას კი 2007 წლიდან იცავს. იტალიელებთან კონტრაქტი 31 წლის ჟუანს 2013 წლის ზაფხულში ეწურება და ამ ვადის გასვლამდე კლუბის შეცვლას არ აპირებს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**

-ს საახალწლო სიურპრიზი პატარა ფეხბურთელებს!
25 დეკემბრის „ლელოს" ნომერთან ერთად, ერთი კვირის განმავლობაში!




ოცნებობ, გახდე ფეხბურთის ვარსკვლავი? მაშინ ეს წიგნი და DVD დისკი შენთვისაა!





სპეციალური ფასი
10 ლარი
მხოლოდ 25-დან 31 დეკემბრამდე

„ამ წიგნში გაეცნობით მრავალ სავარჯიშოს, რომლებიც საფეხბურთო ოსტატობის დახვეწაში დაგეხმარებათ."
შოთა და არჩილ არველაძეები

გამომცემლობა
პალიტრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგიონები. წლის რჩეულნი

# ქუთაისში საუკეთესო ნანა ძაგნიძეა

ქუთაისში დიდი ხნის წინათ ჩამოყალიბებულ ტრადიციას არ უღალატეს და ქალაქის მერიაში ქუთაისის 2010 წლის საუკეთესო სპორტსმენები, მწვრთნელები და გუნდები დაასახელეს. წლის ნომინანტების გამოვლენაში ჟურნალისტებთან ერთად ქალაქის ვიცე-მერი **დავით გორდელაძე,** მერიის სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი **თემურ ცამციშვილი,** ამავე სამსახურის წევრები **გია ჩიხლაძე, ზაზა სებუა, ნუგზარ ძაგნიძე,** ქუთაისის საკრებულოს წევრები **ლევან კირკიტაძე, რაულ ხარშილავა** და ქალაქის სპორტული მუზეუმის დირექტორი **ზურაბ ჯავახაძე** მონაწილეობდნენ. ქუთაისის 2010 წლის საუკეთესო სპორტსმენად დასახელდა საერთაშორისო დიდოსტატი ჭადრაკში **ნანა ძაგნიძე,** რომელსაც სხვა კანდიდატებთან შედარებით მიმდინარე წელს სოლიდური შედეგები ჰქონდა (მსოფლიოს გრან-პრი 1 ადგილი, ევროპის გუნდური ჩემპიონატი (ხორვატია) II ადგილი, მსოფლიოს სუპერთასის გათამაშება (სომხეთი) 1 ადგილი, მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა III ადგილი, მსოფლიო სუპერთასი (რუსეთი) 3 ადგილი, დუბაის საერთაშორისო ტურნირი 1 ადგილი). საუკეთესო ათეულის ასარჩევად კანდიდატთა სია საკმაოდ დიდი იყო. საბოლოოდ ათეული ასე გამოიყურება:

**ლაშა გოგიტაძე** (ბ/რომაული ჭიდაობა)
**რაულ ცირეკიძე** (ძალოსნობა)
**მიხეილ ბახტიძე** (კრივი)
**სალომე სირაძე** (მძლეოსნობა)
**ირაკლი ჩხიკვაძე** (რაგბი)
**გიორგი ლომთაძე** (ძალოსნობა)
**ზურაბ საკანდელიძე** (კარატე)
**სანდრო ბაზაძე** (ფარიკაობა)
**ირაკლი ცირეკიძე** (ძიუდო)
**გენადი ჩირგაძე** (სამბო).

შეგირდების შედეგების მიხედვით დასახელდა 10 საუკეთესო მწვრთნელი:

**გია ცირეკიძე** (ძალოსნობა)
**ხვიჩა გოგიტაძე** (ბ/რ ჭიდაობა)
**მერაბ მერაბიშვილი** (ძიუდო)
**ანატოლი ცქიფურიშვილი** (კრივი)
**ბესიკ ხამაშურიძე** (რაგბი)
**გივი სარდანაძე** (სამბო)
**ვაჟა უნგიაძე** (კარატე)
**მალხაზ ლომთაძე** (ძალოსნობა)
**მერაბ ბაზაძე** (ფარიკაობა)
**ვასილ მახარაძე** (მძლეოსნობა).

ქუთაისში წყალბურთის აღორძინების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის სპეციალური პრიზი გადაეცემა წყალბურთის მწვრთნელ **გიორგი ქუთათელაძეს,** რომელიც თავის დროზე ცნობილ ქართველ წყალბურთელს **რევაზ ჩომახიძეს** ავარჯიშებდა. ყველაზე რთული წლის საუკეთესო გუნდების დასახელება გამოდგა. წინა წლებში სამ საუკეთესო გუნდს ავლენდნენ, წლეულს კი 5 გუნდი დასახელდა: სარაგბო კლუბი **„აია"** (მე-4 ადგილი საქართველოს ჩემპიონატში), **ბალახის ჰოკეისტთა ქალთა გუნდი** (საქართველოს ჩემპიონი), ბალახის ჰოკეის კაცთა გუნდი (საქართველოს ჩემპიონი), ქალთა საკალათბურთო გუნდი (საქართველოს ჩემპიონატზე მე-3 ადგილი), **ვაჟ ხელბურთელთა გუნდი** (2-ე ადგილი საქართველოს ჩემპიონატში).

სიაში ვერ მოხვდნენ წლეულს უმაღლეს ლიგაში დაბრუნებული ქუთაისის „ტორპედო" და ვაჟთა საკალათბურთო გუნდი „ქუთაისი", რომლებსაც ქუთაისში ყველაზე მეტი გულშემატკივარი ჰყავთ...

საუკეთესო ათეულში დასახელებულ სპორტსმენებს, მწვრთნელებს და გუნდებს ქუთაისის მერიისგან პრიზები და ფულადი პრემიები გადაეცემათ. მათი დაჯილდოება 30 დეკემბერს ქუთაისის მერიაში შედგება.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

# გორის რჩეული გიორგი გოგშელიძეა

გორში წლის ლაურეატების გამოსავლენ გამოკითხვაში შარშანდელივით სპორტის თითქმის ყველა სპეციალისტი, სასპორტო სკოლებისა და კლუბების ხელმძღვანელები და მწვრთნელები მონაწილეობდნენ. წლეულს ყველაზე შთამბეჭდავი წარმატებებით, როგორც გორში, ისე საერთოდ საქართველოში ძიუდოსა და თავისუფალი სტილის წარმადგენელები გამოირჩევიან. სხვათა შორის, პირველად **გიორგი გოგშელიძე** და მისი მწვრთნელი **ნუგზარ სხირელი** ბოლო წლებში აღიარებული ფავორიტები არიან გორის სპორტულ ცხოვრებაში. ჭიდაობის სპეციალიზებული სპორტული სკოლიდან (დირექტორი **ანზორ თენაძე**) კი უმრავლესობაა წარმოდგენილი საუკეთესო სპორტსმენთა და მწვრთნელთა ნომინაციებში.

**სპორტსმენთა საუკეთესო ათეული**

**გიორგი გოგშელიძე** (თავ. ჭიდაობა)
**ლადო ხინჩეგაშვილი** (თავ. ჭიდაობა)
**ოთარ კაიდარაშვილი** (ძიუდო)
**ოთარ თუშიშვილი** (თავ. ჭიდაობა)
**ნუგზარ ტატალაშვილი** (ძიუდო)
**თენგიზ ჩოჩიშვილი** (თავ. ჭიდაობა)
**ბექა ლობჯანიძე** (კრივი)
**პაატა ლვინიაშვილი** (ქართ. ჭიდაობა)
**გივი ქარქუზაშვილი** (ფეხბურთი)
**დავით კარბელაშვილი** (სამბო)

**საუკეთესო მწვრთნელთა ათეული**

**ნუგზარ სხირელი** (თავ. ჭიდაობა)
**ანზორ თენაძე** (ძიუდო)
**ირბეგ ჯიოშვილი** (თავ. ჭიდაობა)
**გივი ზაუტაშვილი** (ქართული ჭიდაობა)
**მერაბ მუზიაშვილი** (თავ. ჭიდაობა)
**გელა პავლიაშვილი** (შოტო-კან კარატე-დო)
**ნიკო ბიბილაშვილი** (ძიუდო)
**ქართლოს პავლიაშვილი** (სამბო)
**ოთარ დოლიძე** (ჭადრაკი)
**რეზო ხაჭაპურიძე** (ფეხბურთი)

**საუკეთესო ათი გუნდი**

**თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა გუნდი**
**ძიუდოისტთა გუნდი**
**ქართული ჭიდაობის გუნდი**
**რაგბის კლუბი „ლომები"**
**საფეხბურთო კლუბი „გორი"**
**შოტო-კან კარატე-დოს გუნდი**
**მოკრივეთა გუნდი**
**მოჭადრაკეთა გუნდი**
**ხელბურთელ ჭაბუკთა გუნდი**
**კალათბურთელ ბავშვთა გუნდი**

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

ჩოგბურთი

# საჩოგბურთო სეზონს ავსტრალიასა და ჩინეთში ვიწყებთ

2 იანვრიდან ახალი საჩოგბურთო სეზონი იწყება და თავიდანვე ორი ჩვენებური ჩაერთვება მომქანცველ მარათონში: საქართველოს პირველი ჩოგანი **ანა ტატიშვილი** (134) და **ოქსანა კალაშნიკოვა** (192). ტატიშვილი 2011 წელს კარიერის საუკეთესო ნიშნულიდან იწყებს და ის მოწინავე ასეულს იანვარშივე შეუტევს. ყველაფერი კი ავსტრალიის ქალაქ ბრისბენში დაიწყება, სადაც WTA-ს სერიის 220-ათასიანი ტურნირი იმართება. ჩვენი თანამემამულე რეიტინგით ვერ შეწვდა ძირითად ბადეს და ახლა იქ თამაში ბრძოლით უნდა მოიპოვოს - ანა საკვალიფიკაციო ბადეშია.

სამშობლოდან შორს იწყებს ახალ სეზონს ოქსანა კალაშნიკოვაც - ის ITF-ს სერიის 50-ათასიან ტურნირში ითამაშებს ჩინეთის ქალაქ ქუანჟოუში. თანამემამულისგან განსხვავებით, ოქსანა ძირითად ბადეშია და განთესილთა შორისაც იქნება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

შეხვედრა სპორტის სამინისტროში



მარცხნიდან: გია გალდავა, ლევან გურალია, რომან მელია, გენადი გურალია, დავით ნამგალაური

# ...მაინც დავრჩები ქართველი

სპორტის გულშემატკივრებს ალბათ ახსოვთ ფოთელი წყალმოთხილამურე **გენადი გურალია,** რომელსაც გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან მრავალ შეჯიბრებაში უსახელებია თავი. განსაკუთრებით მან ბოლო წლებში იყოჩალა. შემთხვევითი არ იყო, რომ 2008 წელს წყალსათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ იგი ევროპის საუკეთესო სპორტსმენ მამაკაცად აღიარა. ქართველი ათლეტისთვის განსაკუთრებით წარმატებული წლევანდელი სეზონი აღმოჩნდა: იტალიის ქალაქ სეგრატეში 35 წელს გადაცილებულ სპორტსმენთა მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე 6 მედალი მოიხვეჭა. მსოფლიოზე მრავალჭიდსა და ფიგურულ სრიალში ოქროები ხვდა, სლალომში ვერცხლით დაკმაყოფილდა — მეტოქემ ნახევარი ტივტივათი აჯობა. ევროპაზეც მსგავს წარმატებას მიაღწია — მრავალჭიდსა და ფიგურულ სრიალში პირველი იყო, ტრამპლინიდან ხტომაში — მეორე.

— საქართველოში შექმნილი სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გამო იძულებული გავხდი, უცხოეთში წავსულიყავი სამუშაოდ, — მითხრა გუშინ გენადი გურალიამ სპორტის სამინისტროში, სადაც მას, მის ვაჟს ლევანს, წყალსათხილამურო სპორტის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტ **რომან მელიას** მინისტრის მოადგილე **დავით ნამგალაურმა** და სპორტის დეპარტამენტის უფროსმა **გია გალდავამ** შეხვედრა მოუწყვეს. — რვა წელიწადი საბერძნეთის ნაკრებს ვავარჯიშებდი. ჩემი ხელმძღვანელობით ელადელებმა მნიშვნელოვან შეჯიბრებებზე 30-მდე მედალი მოიპოვეს. ოთხი წელიწადია, იტალიის ქალაქ სან ჯერვასიოში, ბრეშას რაიონში, ვცხოვრობ. იქაური კლუბის წევრებს ვწვრთნი. მაღალი შედეგებიც გვაქვს. უფროსები არ მიშლიან მნიშვნელოვან ტურნირებში ძალების მოსინჯვას, რადგან იქ მოპოვებული წარმატებები კლუბისთვის რეკლამაა. ამიტომ ვცდილობ ყოველთვის ფორმაში ვიყო. ჩემთან ერთად ვარჯიშობს ჩემი ვაჟი ლევანი, რომელიც 15 წლისაა. წლეულს, ასაკთან წინმსწრებად სტუდენტი გახდა. შარშან მან იტალიის წყალსათხილამურო ფედერაციის მიერ ორგანიზებულ „მიკი მაუსის თასის" გათამაშებაზე 6 მედალი მოიპოვა, წლეულს კი ქვეყნის ჩემპიონატზე ფიგურულ სრიალში მე-3 ადგილი დაიკავა. ჯერ ახალგაზრდაა და გამოცდილება აკლია, თორემ უკეთესი შედეგების ჩვენებაც შეუძლია.

— **ფოთის ბაზაზე რას იტყვით?**

— შემთხვევითი არ იყო, რომ იქ 1991 წელს ევროპის ჩემპიონატი გაიმართა. შესანიშნავია ტბის მდებარეობა, კლიმატური პირობები. ახლა ფოთში დილა-საღამოს ისევე შეიძლება ვარჯიში, როგორც ზაფხულობით, ვთქვათ, შვედეთსა და ინგლისში. ამიტომაც იყო, რომ ყოფილი საბჭოეთის სპორტსმენები შემოდგომიდან გვიან გაზაფხულამდე ჩვენს ზღვისპირეთში იყრიდნენ თავს. უწყვეტად ვარჯიშობდნენ და კარგი შედეგებიც ჰქონდათ. ევროპელები, მაგალითად, ზამთრობით ამერიკაში მიდიან საწვრთნელ შეკრებაზე. ჩვენ რომ სათანადო ინსფრასტრუქტურა გვქონდეს, ბევრი სტუმარიც გვეყოლებოდა, რაც ქვეყნისთვის შემოსავლის წყაროც იქნებოდა, ეკონომიკურად - მომგებიანია. მალთაყვის ბაზის კოსმეტიკური შელამაზება საქმეს ვერ უშველის. ცხოვრება წინ წავიდა, უცხოელებს ფული აქვთ და რაც შეიძლება მეტ კომფორტს ითხოვენ. მაგალითად, სან ჯერვესიოს ბაზაზე, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში, მთელი წლის განმავლობაში ათასზე მეტი ადამიანი ვარჯიშობს, როგორც სპორტსმენი, ისე მოყვარული. ევროპელებისთვის შაბათ-კვირას წყლის თხილამურებით სრიალი განტვირთვის უებარი საშუალებაა. ამიტომაც აშენებენ ახალ-ახალ ბაზებს, ერთი-მეორეზე უკეთესებს. სპორტსმენთა მოსამზადებლადაც თანხას არ იშურებენ. მაგალითად, ბერძნების წლიური ბიუჯეტი 400 ათას ევროს შეადგენდა, იტალიელებისა ორ მილიონ ევროს აჭარბებს. საქართველოს წყალსათხილამურო ფედერაციას კი წელიწადში 20 ათასი ლარი აქვს გამოყოფილი, რაც ერთ მნიშვნელოვან შეჯიბრებაზე გასამგზავრებლად თუ იკმარებს. იმედია, საქართველოში წყალსათხილამურო სპორტს მეტი ყურადღება მიექცევა. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი იყო ჩვენი შეხვედრა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელებთან. მოხარული ვიქნები, ამ სახეობის ასაღორძინებლად სერიოზული ნაბიჯები თუ გადაიდგმება.

**რომან მელია:** „საქართველოს პრეზიდენტს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანაში ტურიზმის განვითარება პრიორიტეტული უნდა გახდეს. ეს კი თავისთავად გულისხმობს წყლის სახეობების განვითარებას. მით უმეტეს, რომ საქართველოში ამ მხრივ ამოუწურავი რესურსი გვაქვს. როგორც თოვლიანი ტრასები მომრავლდა საქართველოში, ასევე მასობრივი უნდა გავხადოთ წყლის თხილამურები. რიგსონების გამოყენებით ეკოლოგიურად სუფთა ბაზების მოწყობა შეიძლება ბათუმის ცენტრში, კერძოდ, მოსწავლეთა პარკში, ასევე, ბაზალეთზე, რუსთავში, ლისისა და კუს ტბებზე. უკატარლოდ, რიგსონების დახმარებით უკვე მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებიც იმართება. ბაზების მოსაწყობად გაღებული თანხა საქართველოს ერთი-ორად დაუბრუნდება. აღარაფერს ვამბობ სპორტსმენთა მომზადებაზე. ამ საქმეში კი გენადი გურალიას, რომელიც 12 წელიწადია, უცხოეთში ცხოვრობს, მაგრამ შეჯიბრებებზე მუდამ საქართველოს სახელით გამოდის, ფასდაუდებელი სამსახურის გაწევა შეუძლია.

**დავით ნამგალაური:** „მართლაც, სეზონი ისე არ გავა, გურალიამ, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე საქართველოს სახელით სხვადასხვა სინჯის რამდენიმე მედალი არ მოიპოვოს. წყალთხილამურობა ლამაზი სპორტია და დიდი სურვილი გვაქვს, იგი ავაღორძინოთ. ჩვენი თაობისთვის პრიორიტეტულია ზღვისპირა ზოლის, საერთოდ, ტურიზმის განვითარება. ფოთში წყალსათხილამურო სპორტის ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად პირველ ნაბიჯებს 2011 წელს გადავდგამთ, მომდევნო წელს კი აქ საერთაშორისო ტურნირის გამართვაზეც ვიზრუნებთ. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ წყალთხილამურობაში მეტი ახალგაზრდა ჩავაბათ, მით უმეტეს, რომ ამ სპორტის სახეობის მოყვარულები საქართველოში მრავლად არიან.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

ჭადრაკი

# ფესტივალი სამი ტურნირით

ფრანგულ ბეტიუნში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალი სამ ღია ტურნირს აერთიანებს. A კატეგორიის შეჯიბრებაში სხვადასხვა ქვეყნის 114 წარმომადგენელი მონაწილეობს, მათ შორის 8 დიდოსტატია. გამარჯვებული შვეიცარიული სისტემით 9 ტურის შემდეგ გამოვლინდება. მთავარი პრიზისთვის თბილისელი დიდოსტატი **თორნიკე სანიკიძე** და საერთაშორისო ოსტატი **მალხაზ სულაშვილიც** იბრძვიან. საქართველოს 2009 ჩემპიონმა სანიკიძემ არასახარბიელო სტარტი აიღო - 3 ტურის შემდეგ 1,5 ქულა ჰქონდა. გუშინ **პიერ-ანტონ დეშინი** დაამარცხა და მონაგარი 2,5 ქულამდე გაზარდა. უკეთ თამაშობს სულაშვილი. მე-4 ტურში **იან ფრანკო ჟოლის** ძლევის შემდეგ მას 3,5 ქულა მოუგროვდა. უდანაკარგოდ **როი საფთარში** მეწინავეობს. 7 მოჭადრაკეს 3,5-3,5 ქულა აქვს.

დღეს მე-5 ტურში ინტერესს იწვევს როი საფთარში (4)-ალბერტო დავიდის (3,5), ანტონ ვირიგი (3,5)-ტიგრან გარამიანის (3,5), რაი ტიშბიერეკი (3,5)-მალხაზ სულაშვილის (3,5), ანტონ ბელიში (3,5)-ხავიერ ბერნალის (3,5) შეხვედრები. სანიკიძის (2,5) მეტოქე კიმ ქუანგ ლი (2,5) იქნება.

ბეტიუნში ცალკე იმართება ქალთა ტურნირი ორ წრედ ოთხი დიდოსტატის მონაწილეობით. პირველ ტურში **ბელა ხოტენაშვილმა** ფრანგ **სოფი მიიე** სძლია, პოლონელმა **მონიკა სოჩკომ** გერმანელ **ელიზაბეტ პეტცი** დაამარცხა. მე-2 ტურში: პეტცი-ხოტენაშვილი 1:0, სოჩკო-მიიე 1:0.

მესამე ტურში ჩვენებური თეთრი ფიგურებით სოჩკოს შეხვდება.



ავტორის ფოტო

ბელა ხოტენაშვილი

# გზის ნახევარი გავლილია

თეიმურაზ ლომაიას მემორიალზე გუშინ 8-16 წლის მოჭადრაკეებმა მე-5 ტურის პარტიები გაითამაშეს. 8-წლიან გოგონებში **ელენე ჩხაიძემ** ერთპიროვნული ლიდერი ლალი გარსიაშვილი დაამარცხა და 4 ქულით მეწინავეთა შორის მოექცა, ისევე, როგორც ძლეული გარსიაშვილი, **თამარ ლაგაზაური** და **ანასტასია სიდამონიძე.** მათ ნახევარ-ნახევარი ქულით **ამი თეთრაშვილი** და **ქეთი დავითური** ჩამორჩებიან. ვაჟებში წარმატებით ითამაშეს **დიმიტრი ჯიბუტმა** და **ედგარ ვარდანიანმა,** რომლებმაც **შოთა ხოდაშნელსა** და **ლაზარე ლომსაძეს** აჯობეს და 5-5 ქულით პოზიციები განიმტკიცეს.

**10-წლიან** გოგონებში უდანაკარგოდ მიიწევს წინ **ნანა ჯიბუტი.** ქულით ნაკლები აქვს **მარიამ შავშიშვილს.** ხუთმა მოჭადრაკემ 3-3 ქულას მოუყარა თავი. ვაჟებში აქაც ორი ლიდერია - **თამაზ კიკნაველიძე** და **ნიკოლოზ პეტრიაშვილი,** რომელთა აქტივშიც 5-5 ქულაა. **გურამ ჭელიძე** ლიდერებს 0,5 ქულით ჩამორჩება.

**12-წლიანებში** 5 ქულით **ნინო ხომერიკი** დაწინაურდა. იგი უახლოეს მდევრებს - **თამარ ბარნაბიშვილს, მაია მუმლაძეს** და **დალი ნანეიშვილს** 1,5-1,5 ქულით უსწრებს.

**16-წლიანებში** ყველაზე დაძაბული მდგომარეობაა. 5 ტურის შემდეგ 4,5-4,5 ქულით ერთბაშად ოთხი მოჭადრაკე ლიდერობს. ესენი არიან: **შალვა ნადირაშვილი, ნიკა ვოლკოვი, ირაკლი კელეპტრიშვილი** და **ალექსანდრე ებრალიძე. რევაზ ჭკუასელს** 4 ქულა აქვს.

დღეს მე-6 ტურის პარტიები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

## მათნაძე ყაიმს დასჯერდა

სარაგოსაში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე გუშინ მე-6 ტურში **ანა მათნაძე** დიდოსტატ **ოლეგ კორნეევს** (რუსეთი) დაუზავდა. ლიდერთა ჯგუფიდან ასევე ქულები გაიყვეს **ფერნანდო ლოპესმა** (ესპანეთი)-**დიეგო ადლამ** (არგენტინა), **ალბერტო ჩუესამ** (ესპანეთი)-**მიგელ ანტოლიმ** (ესპანეთი), **ჟოზეფ ომსმა** (ესპანეთი)-**სერხიო ესტრემერამ** (ესპანეთი). სამაგიეროდ , ოთხი პარტია შედეგიანი აღმოჩნდა. **სოფიკო გურამიშვილი** კუბელ **ფიდელ ხიმენეს კორალესთან** დამარცხდა. **არტურ კოგანი** (ისრაელი)-**დრაგან პაუნოვიჩი** (სერბეთი) 1:0, **რობერტო კიფუენტესი** (ესპანეთი)-**ზენონ ფრანკო** (პარაგვაი) 1:0, **დანიელ ფორკენი** (ესპანეთი)-**ალექსანდრ დელჩევი** (ბულგარეთი) 1:0.

კოგანსა და კიფუენტესს 5,5-5,5 ქულა აქვთ, მათნაძეს-5, გურამიშვილს-4 ქულა.

## სამოსნეებში მესამეზე



გიორგი ყაჭეიშვილი

ლას ვეგასში მოჭადრაკეთა ჩრდილოამერიკულ ღია საერთაშორისო ტურნირში 133 მონაწილეს შორის 15 დიდოსტატია. პირველობისთვის ბრძოლაში თბილისელი **გიორგი ყაჭეიშვილიც** ჩაება. მან ზედიზედ დაამარცხა **უგო ვილანუევა, რიკარდო დე გუსმანი** და **ელიოტ იოსეფ ლიუ**. ასევე 3-3 ქულა აქვთ **ვარუშან აკობიანს, ჯირი სტოჩეკს, ჯოშუა ედ ფრიდელს, ირინა კრუშს, ალექსანდრა კოსტენიუკს** და **მაკენზი მოლნერს**. ყაჭეიშვილს კოეფიციენტით მესამე ადგილი უკავია.

**ვაჟა დანელია**

## ლიდერობას არ თმობს

სინგაპურში აზიის მოჭადრაკეთა ღია პირველობაზე ქართველმა დიდოსტატმა **ზურაბ აზმაიფარაშვილმა** გუშინ შავი ფიგურებით ფილიპინელ **რიჩარდ ბიტუნს** სძლია და 6 ტურის შემდეგ 5 ქულით კვლავ ერთპიროვნულად ლიდერობს. ჩვენებურს ნახევარი ქულით ჩამორჩება ფილიპინელი **ოლივერ ბარბოსა**, რომელმაც თანამემამულე **ედგარ ოლეი** დაამარცხა.

დაზავდნენ: **სუსანტო მეგარანტო** (ინდონეზია)-**ჰაი დიენ დაო** (ვიეტნამი), **პაულ გომესი** (ფილიპინები)-**ვან ნგუენი** (ვიეტნამი), **სენგ გაო** (ვიეტნამი)-**ნელსონ მარიანო** (ფილიპინები), **ტიმოთი ჩანი** (სინგაპური)-**ჰოა ნგუენი** (ვიეტნამი).

4-4 ქულით ნგუენი, იარი, დაო და მეგარანტო მესამე-მეექვსე ადგილებს იყოფენ. მე-7 ტურში აზმაიფარაშვილი თეთრებით ბარბოსას დაუპირისპირდება.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო



ზურაბ აზმაიფარაშვილი

ოლიმპიზმი

## სპორტის, ხელოვნებისა და ლიტერატურის საერთაშორისო კონკურსი

ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ოლიმპიური კულტურისა და განათლების კომისიამ 2010 წლის 5 ნოემბერს რომში გამართულ სხდომაზე გადაწყვიტა ევროპის მასშტაბით ჩაატაროს სპორტისა და ხელოვნების კონკურსი.

კონკურსს საქართველოსთვის ორმაგი დატვირთვა აქვს, რადგან მისი ძირითადი პათოსი ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალია, რომელსაც 2015 წელს, ტრაპზონისა (2011წ) და უტრეხტის (2013წ) შემდეგ თბილისი უმასპინძლებს. სწორედ ეს გარემოება უნდა გახდეს განმსაზღვრელი ქართველი და განსაკუთრებით თბილისელი მოსწავლეებისთვის, რომ კარგად შეისწავლონ ოლიმპიზმი, აქტიურად ჩაერთონ ოლიმპიურ ცხოვრებაში და გაიზიარონ მისი სულისკვეთება, პრინციპები და იდეალები.

### კონკურსის თემატიკა

*„ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი".*

### კონკურსის მონაწილეები

*კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ 12 წლამდე მოზარდებს.*

### კონკურსის კატეგორიები

*ნახატი, ფერწერა, მოთხრობა, ლექსი, კომპოზიცია.*

*გრაფიკული ნამუშევრის ზომები უნდა იყოს 420 X 297 მმ. (A3 ფორმატის ფურცელი).*

*შესრულების ტექნიკა (ფერადი ფანქრები, ფლომასტერი, წყლისა და ზეთი საღებავები და ა.შ.)*

*მოთხრობა, ლექსი და კომპოზიცია არ უნდა აღემატებოდეს თაბახის ორ გვერდს.*

### კონკურსის ჩატარების პირობები

კონკურსი ტარდება ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ორგანიზებით. სეოკ-ი ქვეყნის მასშტაბით შეარჩევს 3 საუკეთესო ნამუშევარს და რომში ევროპის ოლიმპიური კომიტეტის შტაბბინაში გაგზავნის არა უგვიანეს 2011 წლის 30 აპრილისა.

თითოეული ეოკ-იდან შერჩეული 3-3 ნამუშევარი გამოფენილი იქნება ოლიმპიურ სოფელში ტრაპზონში 2011 წლის ივლისში ევროპის ზაფხულის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე.

**შენიშვნა:** *წარმოდგენილ ნამუშევარზე აღნიშნული უნდა იყოს ავტორის სახელი, გვარი, ასაკი, სკოლის მისამართი, ქვეყანა.*

*თითოეულ ნამუშევარზე უფლებები გააჩნია ევროპის ოლიმპიურ კომიტეტს.*

*მონაწილეებმა ნამუშევრები უნდა წარმოადგინონ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ოფისში 2011 წლის 1 აპრილამდე.*

**მისამართი: თბილისი, დოლიძის №2, ტელ: 36-57-20, 36-57-22**

ძიუდო

# ძიუდო ამჯერადაც დაწყნარდა

რომორც ყველაფერს საქართველოში, იაპონიაში შეკრებაზე მყოფ ვაჟ ძიუდოისტთა ნაკრებში მომხდარ ამბავსაც უამრავი მითქმა-მოთქმა მოჰყვა, თუმცა სეირის მომლოდინეთ იმედები გაუცრუვდათ - დღეს უკვე გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ნაკრების თავკაც **სოსო ლიპარტელიანსა** და კონსულტანტად მოწვეულ ავსტრიელ ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონ **პეტერ ზაიზენბახერს** შორის ყველა გაუგებრობა აღმოიფხვრა და ფუნქციებიც მკაცრად გაიმიჯნა, ეს ყველაფერი კი ოფიციალურად იანვრის შუა რიცხვებში დადასტურდება, როცა ზაიზენბახერი თბილისში ჩამოვა და ქართული მხარე კონტრაქტსაც გაუფორმებს.

უთანხმოება ფუნქციათა გაუმიჯნაობამ და ზაიზენბახერის მიერ გაზრდილმა ფიზიკურმა დატვირთვებმა გამოიწვია. სიმართლე გითხრათ, პირადად ჩემთვის ეს არც იყო მოულოდნელი - აქამდეც მრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ მათი მოვალეობები მკვეთრად გაყოფილი არ იყო და პარალელური მმართველობა აშკარა იყო. მართალია, ზაიზენბახერი რჩევებს რეკომენდაციების სახით იძლეოდა და არა - დირექტივის, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, თითქოს ის განსაზღვრავდა ნაკრების სავარჯიშო გრაფიკს, მის ნიუანსებს. ყოველ შემთხვევაში, ამ პროცესში ლიპარტელიანი იმდენად მკაფიოდ არ ჩანდა. იაპონიაში უთანხმოებაც ძირითადად ამ თემაზე წარმოიშვა, თუმცა როგორც ლიპარტელიანმა გვითხრა, ეს არ ყოფილა ისეთ მძაფრ ფორმებში, როგორც საქართველოში დახატეს. *„სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, ჩვენ შორის ნამდვილად არ ყოფილა ისეთი უთანხმოება, როგორც აქ ამბობენ. პირიქით - ურთიერთგაგებით და შეთანხმებულად ვმუშაობდით. იქ იაპონელთა პროგრამას მივყვებოდი, თუმცა ზაიზენბახერსაც ისეთივე გეგმა ჰქონდა - როგორც ისინი ვარჯიშობდნენ დღეში სამჯერ, ჩვენც ისევე ვემზადებოდით. შემიძლია ვთქვა, რომ უკვე გაირკვა სამომავლო მუშაობის ფორმატიც - ზაიზენბახერი მიხედავს სამედიცინო საკითხებს, ექიმთა ჯგუფს და ფიზმომზადებას. ის იანვარში ჩამოვა თბილისში და პროგრამასაც დადებს ცალკეულ მოჭიდავეებზე, ვინ როგორი დატვირთვით, როგორი გრაფიკით უნდა ივარჯიშოს"*, - გვითხრა ლიპარტელიანმა.



სოსო ლიპარტელიანი



პეტერ ზაიზენბახერი

უფლებები გაიმიჯნა, მაგრამ ერთად არიან

იაპონიაში ზაიზენბახერისადმი უკმაყოფილება სპორტსმენებმაც გამოხატეს გაზრდილი დატვირთვების გამო - ვერ უძლებდნენ ამას. ცხადია, ვარჯიშის წინააღმდეგი არავინაა და სპორტსმენებიც ამჯობინებენ, მეტი ივარჯიშონ და მეტ წარმატებას მიაღწიონ, მაგრამ მათ ერჩივნათ, დატვირთვები ნელ-ნელა გაზრდილიყო, განთქმული გერმანულ-ავსტრიული დისციპლინის წარმომადგენელი ზაიზენბახერი კი ყველაფერს წესისამებრ ითხოვს. შესაძლოა, აქ მენტალიტეტის მომენტიცაა, რის წინაშეც თავის დროზე „მფრინავი ჰოლანდიელი", საფეხბურთო მწვრთნელი **იოჰან ბოსკამპი** დადგა! ცხადია, მიუჩვევლებს გაუჭირდებოდათ ერთბაშად ასეთი დატვირთვების ატანა. მაგრამ არც სხვა გზაა - დღეს იმდენად გაიზარდა ფიზიკური კონდიციები, ფეხი თუ არ აუწყვე, ჩამორჩები და არც წარმატებები გექნება. ეს ბუნებრივი გადარჩევის პროცესია - ვინც გაუძლებს ანუ ძლიერი აღმოჩნდება, გადარჩება, სუსტი კი სპორტული თვალსაზრისით დაიღუპება ანუ ვერ მიაღწევს შედეგებს და სპორტიდან უსახელოდ წავა.

სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ სოსო ლიპარტელიანი სრულად ეთანხმებოდა ზაიზენბახერის სავარჯიშო გეგმას და ამაზე პრეტენზია არ ჰქონდა. პირიქით - თვითონაც ჯერ ახალგაზრდულში, მერე კი ეროვნულ ნაკრებშიც მუშაობა სწორედ ფიზიკური დატვირთვების გაზრდით დაიწყო. ის ახლაც მიესალმება მოთხოვნების გამკაცრებას და სამომავლოდაც ასეთივე მიდგომით აპირებს მუშაობის გაგრძელებას, თუმცა ტოკიოში მოხდა კიდევ ერთი ფაქტი, რაც ზაიზენბახერს მომავალში მაგალითად გამოადგება. მოგეხსენებათ, იქ ჩვენები კანოს ტურნირში მონაწილეობდნენ, მის დაწყებამდეც და დასრულების შემდეგაც კი ერთობლივი ვარჯიშები ჰქონდათ. სწორედ ამ შეკრებებზე **ვალერი ლიპარტელიანს** (90) მუხლი ასტკივდა, რის გამოც სირბილი უჭირდა და კროსებისგან გათავისუფლება ითხოვა, თუმცა ლეიბზე სავარჯიშოდ მზად იყო. ზაიზენბახერმა სპორტსმენს არ დაუჯერა და მოითხოვა, თუ არ ირბენს, მაშინ არც მისი ნავარჯიშები მინდაო. მან მიიჩნია, რომ ტიპურ ქართულ შემთხვევასთან ჰქონდა საქმე ანუ ფალავანი ტრავმას იმიზეზებდა, თუმცა თბილისში დაბრუნების შემდეგ ლიპარტელიანმა გამოკვლევა ჩაიტარა, რამაც არა მარტო მუხლზე, არამედ მყესებზეც და წვივზეც დაადასტურა გადაღლილობით გამოწვეული გადახრები. ექიმების დასკვნით, ამ პირობებში მისთვის რბენა მართლაც არაა მიზანშეწონილი.

იმედია, ზაიზენბახერი მომავალში გაითვალისწინებს ამ მაგალითს, ჩვენთვის კი მთავარი სხვა რამეა - ნაკრების ხელმძღვანელობაში უთანხმოება აღმოიფხვრა. ამას ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი **გიორგი ალექსიძე** და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **გია ნაცვლიშვილიც** ადასტურებენ, რომელიც ზაიზენბახერის მოწვევის მთავარი ინიციატორი იყო. მეტიც - ნაცვლიშვილმა ამჯერადაც ფრიად საინტერესო დეტალებზე ისაუბრა და გაზულუქებულ სპორტსმენთა თემასაც შეეხო, თუმცა არც ის დაუმალავს, რომ იაპონიაში ავსტრიელმა ცოტათი გადააჭარბა თავის ფუნქციებს. *„ზაიზენბახერი ძალიან კარგი მწვრთნელია, მაგრამ ჯერჯერობით ცოტა მენტალურ პრობლემას წააწყდა - ავსტრიული და ქართული ფსიქოლოგიის შეთავსება გაუჭირდა. მისი მოთხოვნები აბსოლუტურად სწორად მიმაჩნია. ვერაფრით დავეთანხმები მოსაზრებას, რომ თითქოს ქართველს არ შეუძლია იმდენ ხანს ჭიდაობა, როგორც - ავსტრიელს, იაპონელს და სხვას. ეს ჩემთვის გაუგებარია. განა რა ისეთი ტალანტები ვართ, რომ 25-წუთიანი ვარჯიშით ვაჯობოთ იმათ, ვინც მთელი საათი დგას ლეიბზე და ემზადება? ცოტა ცხვირაწეულებიც ვართ და აჯობებს, ამპარტავნები ნუ ვიქნებით. ამბიცია ძალიან კარგია და აუცილებლად უნდა ჰქონდეს სპორტსმენს, მაგრამ ეს ამპარტავნებაში არ უნდა გადავიდეს. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდეს ლაპარაკი ჩვენს გამორჩეულ ტალანტზეც და იმაზეც, რომ ადრე ვიღაც თურმე ლამის მხართეძოზე იწვა მაშინ, როცა სხვები ვარჯიშობდნენ, და მაინც ხდებოდა ოლიმპიური ან მსოფლიოს ჩემპიონი. დღეს ჭიდაობა იმდენად წინ წავიდა, იმდენად გაიზარდა კონკურენცია, რომ მხოლოდ ტალანტით ვერ მოიგებ. ახლა ყველას აქვს საშუალება, ჩაიყვანოს გამოცდილი სპეციალისტები და უშრომლად არაფერი გამოვა. თან ჭიდაობაც იმდენად შეიცვალა, აქტიურობის გარეშე ვერაფერს გახდები - აქეთ გააფრთხილებინებენ შენს თავს და ისე მოგიგებენ. ზაიზენბახერიც ამბობს, რომ მთელმა მსოფლიომ იცის, ჩვენები პირველი ორი წუთი ჭიდაობენ მხოლოდ და ყველა იმ მითითებას აძლევს თავის შეგირდებს, როგორმე ეს ორი წუთი გაუძელითო. ზაიზენბახერი იმასაც ამბობს, შეუძლებელია, ძიუდოისტი ჩოქბჯენში არ ჭიდაობდესო. არადა, ჩვენები მართლა არ ჭიდაობენ - ეგრევე ფეხზე წამოდგებიან. ზაიზენბახერს უკვირს, ჩოქბჯენში ის ხომ მაინც უნდა იცოდე, დრო როგორ გაიყვანოო.*

*ცხადია, ლიპარტელიანი ნაკრების მთავარი მწვრთნელია და ასე გაგრძელდება მომავალშიც, ზაიზენბახერი კი კონსულტანტი იქნება, ის იანვარში ჩამოვა და კონტრაქტსაც გავუფორმებთ. იაპონიიდან დაბრუნების შემდეგ მასაც და ლიპარტელიანსაც შევხვდით მეც და სპორტის მინისტრი ვლადიმერ ვარძელაშვილი და შევთანხმდით ყველაფერზე. ზაიზენბახერი გააკეთებს ინდივიდუალურ გეგმას, ოღონდ არა მხოლოდ ვარჯიშებზე, არამედ - კვებაზეც, მედიკამენტებზეც და ყველაფერზე, ლიპარტელიანი კი მწვრთნელებთან ერთად შეასრულებს მას. ზაიზენბახერს სპორტსმენებთან უშუალო შეხება არ ექნება. ის თბილისში თან ჩამოიტანს მოსამზადებელ ინდივიდუალურ გეგმას დაახლოებით 40-მდე სპორტსმენზე, რომელთა შორის ახალგაზრდებიც იქნებიან და არა მხოლოდ უფროსები. თუმცა ამ გეგმას სპეციალისტებთან ერთადაც განვიხილავთ - ერთპიროვნულად არც მისი გადაწყვეტილება გავა. ვინც გაუძლებს ამ დატვირთვებს, ის დარჩება სპორტში, მაგრამ ახლანდელივით თუ გაგრძელდა, საერთოდ უკან-უკან წავალთ. მე მირჩევნია, ლონდონში მედალი არ ავილო, ვიდრე - საქმე საერთოდ გაფუჭდეს. მირჩევნია, გამოჩნდნენ ახალგაზრდები, თორემ ახლანდელ ლიდერებს ცოტა არ იყოს და შანტაჟში გადაუდით ეს ყველაფერი - იციან, მაგათი შეცვლა არაა ისე იოლი და რასაც უნდათ, იმას აკეთებენ. ჩვენც და სამინისტროსაც დასჯის მხოლოდ ფინანსური მექანიზმი გაგვაჩნია და ახალი წლიდან გამოვიყენებთ კიდეც მას, სხვა არაფერი შეგვიძლია - ციხე და კამერა ჩვენ არ გვაქვს და თოფს ვერ ვესვრით ვერავის. ბოლოს და ბოლოს, ის ფინანსები გაჭირვებული ხალხის ფულია, რომელსაც არასოდეს გამოუთქვამს პრეტენზია სპორტსმენთა ხელფას-პრემიების გამო. სპორტის ბიუჯეტი ხვალ 100 მილიონი რომ გახდეს, ხმას არ ამოიღებს არავინ. ქვეყანაში ამდენი დევნილია, პენსიონერებისთვის შეიძლება დაფინანსების გაზრდა, მაგრამ არავინაა სპორტის წინააღმდეგი, ამ დროს კი მათგან ასეთი მოქცევა იმ ხალხის და ქვეყნის აბუჩად აგდებაა. თან ისეთს რას ვთხოვთ, რაც არ ევალებათ? ნუთუ არ უნდათ, კიდევ ერთხელ განიცადონ გამარჯვების სიხარული, თორემ ფინანსურ მხარეზე არაფერს ვამბობთ. მე მგონი, მათი საქციელით ყველა შეურაცხყოფილები ვართ"* - გვითხრა ნაცვლიშვილმა.

შესავალში მოსეირეები ვახსენეთ და დასამალი არაა, ზაიზენბახერის ჩამოყვანა ძალიან ბევრ ქართველ სპეციალისტს გულზე ეკლად დაესო - ეს შეურაცხყოფად მიიღეს, როგორ თუ უცხოელი გვამჯობინესო. არადა, მისმა ჩამოსვლამ, მისმა იდეებმა თვალნათლივ დაგვანახა, რამდენად ჩამოვრჩებით ევროპას. განსაკუთრებით - ფიზმომზადებაში. წინა წლების პოლიტიკური ვითარების გამო, საქართველო წლების განმავლობაში სრულ იზოლაციაში მოექცა, რომელსაც ძალიან უჭირდა ფიზიკური კონტაქტები ევროპასთან. თანამედროვე ტენდენციებსაც ყველაზე მეტად მაშინ ჩამოვრჩით. ახლა მიმოსვლა არაა პრობლემა, მაგრამ ისევ ქართული ხასიათი გამოდის წინ - ჩვენს მწვრთნელებს ინტერნეტში შესვლა, საკუთარ თავზე მუშაობა და რაღაცის სწავლა დიდად არ უყვართ. სეოკ-ი და სპორტის სამინისტრო მომავალში კვლავაც აპირებენ უცხოელი მწვრთნელების ჩამოყვანას, რასაც მივესალმებით - ეს აუცილებელია ქართული სპორტისთვის.

**ირაკლი თავაძე**

# კალათბურთი

## სუპერლიგა. X ტური ციფრებში

### სტატისტიკური ლიდერები

**ქულა**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | ქ. | ქ.საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. ბექა ჩიკვილაძე | სტუ | 9 | 199 | 22.11 |
| 2. ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 8 | 166 | 20.75 |
| 3. მიხეილ ფანჩულიძე | თსუ | 9 | 182 | 20.22 |
| 4. ლაშა კეშელავა | ბათუმი | 9 | 171 | 19 |
| 5. კოტე ტულუში | არმია | 9 | 156 | 17.33 |
| 6. ზუზა კვიმსაძე | ქუთაისი | 9 | 156 | 17.33 |
| 7. რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 9 | 151 | 16.78 |
| 8. ზვიად ბაბიაშვილი | არმია | 9 | 150 | 16.67 |
| 9. ივანე მაისურაძე | ბათუმი | 8 | 133 | 16.63 |
| 10. ჟულივეტ ტუჯანი | ენერჯი | 9 | 140 | 15.56 |
| 11. ზუზა ზერიშვილი | ქუთაისი | 9 | 138 | 15.33 |
| 12. ბექა წივწივაძე | ენერჯი | 9 | 137 | 15.22 |
| 13. რევაზ ჩაჩანიძე | აგრარული | 9 | 137 | 15.22 |
| 14. ლევან ცეკვავა | ენერჯი | 9 | 136 | 15.11 |

**პასი**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | პ. | პ.საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. გიორგი გაფრინდაშვილი | თსუ | 9 | 62 | 6.89 |
| 2. გიორგი ტეტელაშვილი | აგრარული | 9 | 51 | 5.67 |
| 3. კოტე ტულუში | არმია | 9 | 49 | 5.44 |
| 4. ტარიელ თავართქილაძე | სამედიცინო | 9 | 44 | 4.89 |
| 5. ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 8 | 38 | 4.75 |
| 6. ბექა წივწივაძე | ენერჯი | 9 | 41 | 4.56 |
| 7. რევაზ დიდია | ქუთაისი | 8 | 35 | 4.38 |
| 8. ირაკლი მიქელაძე | ბათუმი | 9 | 39 | 4.33 |
| 9. ზვიად ანთაძე | სტუ | 9 | 36 | 4 |
| 10. ზუზა კვიმსაძე | ქუთაისი | 9 | 35 | 3.89 |

**ჩაჭრა**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | ჩ. | ჩ.საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. ირაკლი გულისაბედაშვილი | სამედიცინო | 9 | 31 | 3.44 |
| 2. ზვიად ანთაძე | სტუ | 9 | 26 | 2.89 |
| 3. ვასილ ბერუაშვილი | სტუ | 9 | 25 | 2.78 |
| 4. ლევან ცეკვავა | ენერჯი | 9 | 25 | 2.78 |
| 5. მიხეილ ფანჩულიძე | თსუ | 9 | 25 | 2.78 |
| 6. ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 8 | 21 | 2.63 |
| 7. ზუზა ზერიშვილი | ქუთაისი | 9 | 22 | 2.44 |

**დაფარება**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | დ. | დ.საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. სამუელ ლამუ | ენერჯი | 9 | 16 | 1.78 |
| 2. რიჩარდ დამუსი | სოხუმი | 9 | 15 | 1.67 |
| 3. ბექა ბექაური | სამედიცინო | 9 | 14 | 1.56 |
| 4. დავით იმნაძე | შსს | 9 | 14 | 1.56 |
| 5. კარლ დამუსი | სოხუმი | 9 | 12 | 1.33 |

**შეცდომა**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | შ. | შ.საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 8 | 46 | 5.75 |
| 2. ბექა ჩიკვილაძე | სტუ | 9 | 37 | 4.11 |
| 3. ლაშა ეძგვერაძე | დინამო | 9 | 37 | 4.11 |
| 4. ირაკლი სორდია | სოხუმი | 9 | 35 | 3.89 |
| 5. გიორგი გაფრინდაშვილი | თსუ | 9 | 34 | 3.78 |
| 6. ირაკლი მიქელაძე | ბათუმი | 9 | 32 | 3.56 |
| 7. რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 9 | 32 | 3.56 |
| 8. ბესიკ ლეჟავა | შსს | 8 | 27 | 3.38 |

**მოხსნა**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | მეტ. | საკ. | ჯამი | მ.საშ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლაშა კეშელავა | ბათუმი | 9 | 24 | 85 | 109 | 12.11 |
| 2. რიჩარდ დამუსი | სოხუმი | 9 | 41 | 62 | 103 | 11.44 |
| 3. რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 9 | 42 | 51 | 93 | 10.33 |
| 4. დავით იმნაძე | შსს | 9 | 34 | 57 | 91 | 10.11 |
| 5. კარლ დამუსი | სოხუმი | 9 | 37 | 48 | 85 | 9.44 |
| 6. დავით უგრეხელიძე | არმია | 8 | 37 | 37 | 74 | 9.25 |
| 7. კოტე ტულუში | არმია | 9 | 15 | 68 | 83 | 9.22 |
| 8. ჟულივეტ ტუჯანი | ენერჯი | 9 | 24 | 56 | 80 | 8.89 |
| 9. ზვიად ანთაძე | სტუ | 9 | 27 | 51 | 78 | 8.67 |
| 10. ბექა ბექაური | სამედიცინო | 9 | 32 | 45 | 77 | 8.56 |

### რეკორდები

**ქულა**

37 - ბექა ჩიკვილაძე (სტუ).
2-ქულა: 8/10. 3-ქულა: 5/10. საჯარიმო: 6/10.
18.12.10 სამედიცინო-სტუ

**მოხსნა**

19 - დავით ბარბაქაძე (შსს).
მეტოქის ფარზე: 11. საკუთარზე: 8.
30.11.10 სტუ-შსს

19 - რიჩარდ დამუსი (სოხუმი).
მეტოქის ფარზე: 6. საკუთარზე: 13.
27.11.10 დინამო-სოხუმი

**პასი**

13 - გიორგი გაფრინდაშვილი (თსუ).
01.11.10 სტუ-თსუ

**ჩაჭრა**

7 - გიორგი გაფრინდაშვილი (თსუ).
01.11.10 სტუ-თსუ

7 - ირაკლი გულისაბედაშვილი (სამედ.)
09.11.10 ენერჯი-სამედიცინო

7 - ლევან ცეკვავა (ენერჯი)
04.12.10 დინამო-ენერჯი

**დაფარება**

5 - ანატოლი ბოისა (არმია).
13.11.10 სტუ-არმია

5 - ვასილ ბერუაშვილი (სტუ).
26.11.10 ბათუმი-სტუ




MVP ზვიად ბაბიაშვილი და ლაშა კეშელავა

ინტერვიუ ზვიად ბაბიაშვილთან

# თუ ასე გაგრძელდა, გაცილებით დიდი დარბაზი დაგვჭირდება

**მეათე** ტურის ცენტრალურ მატჩზე („არმია"-შსს) გუშინ ვრცლად მოგითხრეთ, დღეს მთლიანად ტურს შევაჯამებთ და საუკეთესოს, ზვიად ბაბიაშვილს შეგახვედრებთ. მან შსს-ს ძლევაში 26-ქულიანი წვლილი შეიტანა, რაც მსგავს დაძაბულ შეხვედრაში იოლი მისაღწევი სულაც არ არის.

არ უნდა გამოგვრჩეს ქუთაისში ბათუმელთა ვაჟკაცობის ამბავი - ზღვისპირელებმა ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტს სტუმრად 98:87 მოუგეს. ეს წარმატება უმთავრესად ლაშა კეშელავას დამსახურებაა - 32 ქულა და 17 მოხსნა მიითვალა.

ძნელია, ასეთი მატჩის მომგები, ესოდენ ეფექტური სტატისტიკის კალათბურთელი ტურის საუკეთესოდ არ დაასახელო... ამიტომ, MVP-დ ამჯერადაც ორი კალათბურთელი ავირჩიეთ - ბაბიაშვილი და კეშელავა.

დღეს ზვიადთან ინტერვიუს შემოგთავაზებთ.



ზვიად ბაბიაშვილი

- შსს მომზადებისა და თავდადების ხარჯზე დავამარცხეთ. გამარჯვება ყველას ძალიან გვინდოდა და სათანადოდაც ვემზადებოდით, რადგან წინ გვქონდა მეორე ტურის მაგალითი, როცა „ქუთაისთან" შინ დავმარცხდით. წინასწარ ვიცოდით, რომ შსს-სთანაც ურთულესი ბრძოლა გველოდა და, როგორც შემდეგ გამოჩნდა, ამ შეხვედრის მოსაგებად ყველანაირად მზად ვიყავით.

**- გამოცდილ კალათბურთელებს ახალგაზრდებიც კარგად დაგეხმარნენ...**

- გუნდი სათანადოდ იყო მობილიზებული. გვქონდა რამდენიმე ტაქტიკური ვარიანტი, რამაც საბოლოოდ გაამართლა. ძალიან დაგვეხმარა ახალგაზრდა გივიკო ბაქრაძე, მნიშვნელოვან მომენტში სამქულიანით შეგვეშველა და ფარქვეშაც არაერთხელ შევიდა. მატჩს მობილიზებული შეხვდა დავით საყვარელიძე და კარგად დაგვანახა რა შეუძლია. თუმცა მხოლოდ ორი კაცი სერიოზულ მატჩს ვერ მოიგებს, წარმატებას გუნდმა მიაღწია - მწვრთნელებით დაწყებული, ექიმით დამთავრებული.

**- შსს-სთან 26 ქულა კარგი შედეგია...**

- სტატისტიკას ყურადღებას არ ვაქცევ. ეს ჩემთვის მეოცეხარისხოვანია. პირველ რიგშია საბოლოო შედეგი, მეორეა - ამ შედეგისთვის მზადება. ...და სასიამოვნოა, როცა ხედავ, რომ შრომა წყალში არ იყრება.

**- ცხრილში პირველ ადგილზე აინაცვლეთ. რას ნიშნავს ეს „არმიისთვის"?**

- რეგულარულ ჩემპიონატში კარგი თამაში, პლეი ოფში წარმატებული გამოსვლის საფუძველია. საწყის ეტაპზე მოდუნება არ შეიძლება, მერე ძალიანაც რომ მოინდომო, პლეი ოფში წარმატებული თამაში გაგიჭირდება. ამიტომაც ვაქცევთ რეგულარულ პირველობას დიდ ყურადღებას და ყოველ მატჩზე მაქსიმალურად მობილიზებულები გავდივართ. ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც კარგია, რომ შაბათს უშუალო კონკურენტი დავამარცხეთ, მაგრამ არ გვავიწყდება, რომ მეორე წრეში უფრო რთული ბრძოლები გველის. მეტოქეები ნელ-ნელა ფორმაში შევლენ...

**- „არმია" როგორ კონდიციებშია?**

- ამ მიმართულებით მწვრთნელები სათანადოდ მუშაობენ და კალათბურთელებიც მივყვებით. მატჩებიდანაც ჩანს, რომ კარგ ფორმაში ვართ, თუმცა მეორე წრეში ბევრი რამ კიდევ უნდა დავხვეწოთ და პლეი ოფებამდე უკეთესად უნდა ავთამაშდეთ.

**- ხშირად ვამბობთ, ბოლო წლებში საუკეთესო ჩემპიონატი გვაქვსო. დიდი ხანია საქართველოს პირველობაზე თამაშობ და საინტერესოა, ამ საკითხზე რა აზრის ხარ.**

- 10 წლის წინათაც კარგი პირველობა გვქონდა. მაშინ, ფავორიტი „ბასკო" იყო, ჩემპიონატის მონაწილე გუნდებში კალათბურთელები თანაბრად იყვნენ განაწილებულნი და წამყვან გუნდებს ორი-სამი ლეგიონერი ჰყავდათ. იმ პერიოდისა და დღევანდელი სუპერლიგის შედარება რთული იმიტომაცაა, რომ მე-20 ჩემპიონატში ჯერ პირველი წრეც არ დასრულებულა. თუმცა, წლეულსაც ბევრი თანაბარი გუნდია და წინასწარ არავინ იცის, ესა თუ ის მატჩი რა შედეგით დასრულდება. მაგალითისთვის ბოლო ტური გამოდგება - პარასკევს „ქუთაისმა" შინ „ბათუმთან" წააგო... როცა პირველობაზე შეხვედრათა უმეტესობა ასეთი დაძაბულია, კალათბურთელების კონცენტრაციაც მატულობს, მონდომებაც, ზოგადად დონეც აიწევს, რასაც ქომაგის ინტერესი მოსდევს.

**- შაბათს „არმია"-შსს-ს მატჩს მაყურებელთა რეკორდული რაოდენობა (12 ათასი) დაესწრო...**

- აქამდე დარბაზი საქართველოს ეროვნული გუნდის მატჩებზე ივსებოდა, თუმცა ნაკრებში თამაში იშვიათად მიწევდა. ამდენი გულშემატკივრის წინაშე პირველად შაბათს ვითამაშე. ეს ნებისმიერი კალათბურთელისთვის დიდი სტიმულია. საქართველოს ჩემპიონატის მატჩებზე დარბაზი 90-იან წლებშიც ივსებოდა, რადგან ჩვენს ქვეყანაში კალათბურთი ძალიან უყვართ. ბოლო წლებში ერთგვარი ჩავარდნა იყო - ჩემპიონატს ქომაგი მოაკლდა, რაც, ალბათ, პირველობის შესუსტებით იყო გამოწვეული. საბედნიეროდ, წლეულს შემობრუნება იგრძნობა. რაც უფრო მნიშვნელოვანია: კალათბურთზე პირველად მოსული მაყურებელი მეტად ინტერესდება და კითხულობს - შემდეგი თამაში როდის არისო. თუ ასე გაგრძელდა, ახლო მომავალში სპორტის სასახლეზე გაცილებით დიდი მასშტაბების დარბაზის აშენება მოგვიწევს.

ქართველი NBA-ში

# დაბრუნება მილუოკიში

2004-05 წლების სეზონში **ზაზა ფაჩულია** „მილუოკი ბაქსში" საშუალოდ 18:53 წუთს თამაშობდა, 6.2 ქულასა და 5.1 მოხსნას აგროვებდა. ქართველის კარგი გარჯა მხედველობიდან არ გამოჰპარვიათ „ატლანტას" ხელმძღვანელებს და 2005 წელს იგი „ჰოქსში" გადაიყვანეს. 2005-07 წლებში ზაზამ დაამტკიცა, რომ ღირებული ცენტრია, თუმცა...

გუშინ, ყოფილ კლუბ „მილუოკისთან" მწვრთნელმა ოდენ 5 წუთი ათამაშა. ქართველი მოედანზე მეორე პერიოდში გამოვიდა და კარგადაც გაისარჯა, მაგრამ დიდი შესვენების შემდეგ მწვრთნელ **ლარი დრიუს** ფაჩულიასთვის თავის გამოჩენის შანსი არ მიუცია. „ატლანტამ" კი მეორე პერიოდში მიღწეული უპირატესობა იოლად შეინარჩუნა და სეზონში მე-20 გამარჯვება (33 მატჩში) ჩაიწერა. ამ მაჩვენებლით ჯორჯიელები აღმოსავლეთის კონფერენციაში „ორლანდოსთან" მეოთხე-მეხუთე ადგილებს ინაწილებენ.

„ჰოქსი" მორიგ მატჩს 29 დეკემბერს „გოლდენ სტეიტის" წინააღმდეგ ჩაატარებს, 31-ში კი „ოკლაჰომას" დაუპირისპირდება.

**მილუოკი-ატლანტა 80:95**

ზაზა ფაჩულია: 5:08 წუთი, 2 ქულა (1-დან 0 ორქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო), 2 მოხსნა, 1 პასი, 1 ფოლი, 1 შეცდომა

**II პერიოდი**

| | |
|---|---|
| 11:46 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 10:51 | საჯარიმოები: 2/2 (33:20) |
| 10:34 | ფოლი: 1 |
| 10:33 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 09:16 | პასი: 1 (უილიამსი 2ქ, 40:26) |
| 07:53 | შეცდომა: 1 |
| 07:42 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 |
| 06:52 | კოლინზმა ზაზა შეცვალა |

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

სუპერლიგა. XI ტური

# არმია წრის ჩემპიონია

28.12.10. რუსთავი

| | |
|---|---|
| ენერჯი | 60 |
| არმია | 68 |

**20:14, 13:18, 15:19, 12:17**

ენერჯი: მაჭავარიანი (5მ, 5ფ), ცეკვავა (24ქ, 5მ, 3პ, 3ჩ, 5ფ), წივწივაძე (6ქ, 3პ), აბაიშვილი, დვალიშვილი (2ქ, 6მ), ტუჯანი (13ქ, 6მ, 2დ), ლამუ (5ქ, 5მ), სანაძე (10ქ, 3პ, 3ჩ).

არმია: ტულუში (18ქ, 7მ, 6პ), ბოისა (7ქ), პირველაშვილი (2ქ), ბაბიაშვილი (18ქ, 11მ), ათანელიშვილი (4მ), ბაქრაძე (7ქ), მინაშვილი, მ. ბერიშვილი (3ქ), უგრეხელიძე (7ქ, 4მ), საყვარელიძე (4ქ, 7მ), ათუაშვილი (2ქ).

მსაჯები: მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე
კომისარი: მ. რატიშვილი

**პირველი** წრის კალენდარი ისე იყო შედგენილი, რომ „არმიამ" საწყისი ტური გამოტოვა, მეორეში კი „ქუთაისთან" შინ დამარცხდა. მას მერე არმიელებმა ზედიზედ 9 მატჩი მოიგეს და პირველი წრე სატურნირო ცხრილის სათავეში დაასრულეს.

გუშინ **ლევან მოსეშვილის** შეგირდებს მეორეადგილოსანი „ენერჯი" დაუპირისპირდა, რომელიც ტანმაღალი **აკაკი დვალიშვილით** გაძლიერდა (კანარის კუნძულების აკადემიაში თამაშობდა).

ორივე გუნდმა დაცვას დიდი ყურადღება დაუთმო, რის გამოც შედეგიანი იერიშების რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა. საბოლოოდ „არმიამ" 68:60 მოიგო.

სტუმართაგან მხოლოდ **ბაბიაშვილმა** და **ტულუშმა** გადალახეს 10-პუნქტიანი ზღურბლი, 18-18 ქულა ჩააგდეს. თვალშისაცემი იყო მატჩის ოქმში მოხსნებში დაფიქსირებული სხვაობა: „არმიამ" „ენერჯის" ამ კომპონენტში 55:38 აჯობა. თუმცა ეს დანაკლისი რუსთაველებმა შეცდომების სიმცირით დააბალანსეს. მათ 15 შეცდომა დაუშვეს, „არმიამ" - 21. რუსთაველებმა ჩაჭრებში 14:8 იმარჯვეს.

# სამედიცინო ბათუმს დაეწია

28.12.10. ბათუმი

| | |
|---|---|
| ბათუმი | 53 |
| სამედიცინო | 71 |

**10:24, 13:19, 16:8, 14:20**

ბათუმი: ვ. მაისურაძე (12ქ, 12მ), თენიეშვილი (4ქ, 9მ), მიქელაძე (6ქ, 8პ, 5მ, 3ჩ), ნინუა (5ქ, 4პ), ჩხატარაშვილი (4ქ), კეშელავა (14ქ, 7მ), ელიაშვილი, ელიაძე (8ქ, 9მ).

სამედიცინო: გულისაბედაშვილი (3ჩ), თავართქილაძე (16ქ, 4მ, 4პ), ბექაური (5ქ, 5მ, 5ფ), ნინიაშვილი (12ქ, 9მ, 3პ), კეიდია (14ქ, 16მ, 3დ), ჭოჭუა (24ქ, 6მ), ფაიქრიძე.

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, მ. ანდღულაძე
კომისარი: თ. ქიქოძე

**წინა** ტურში „ქუთაისის" მძლეველმა „ბათუმმა" შინ ვერაფერი გააწყო „სამედიცინოსთან", რომელსაც **ჭოჭუა, თავართქილაძე, ნინიაშვილი** და **კეიდია** გაუძლვნენ.

საყურადღებოა, რომ ბათუმელებმა ოდენ 9 ორქულიანი ჩააგდეს („სამედიცინომ" - 21)...

ამ მოგებით თბილისელებმა „ბათუმს" სატურნირო ცხრილში ერთი საფეხურით გაასწრეს.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. არმია | 10 | 9 | 1 | 916/712 | 19 |
| 2. ენერჯი | 10 | 7 | 3 | 748/705 | 17 |
| 3. თსუ | 9 | 7 | 2 | 814/720 | 16 |
| 4. შსს | 9 | 6 | 3 | 814/695 | 15 |
| 5. ქუთაისი | 9 | 6 | 3 | 769/683 | 15 |
| 6. სოხუმი | 9 | 6 | 3 | 725/703 | 15 |
| 7. სამედიცინო | 10 | 3 | 7 | 741/759 | 13 |
| 8. ბათუმი | 10 | 3 | 7 | 760/833 | 13 |
| 9. სტუ | 9 | 2 | 7 | 746/824 | 11 |
| 10. აგრარული | 9 | 2 | 7 | 630/761 | 11 |
| 11. დინამო | 10 | 1 | 9 | 677/945 | 11 |



ტრანსფერი

# ვილკინსონის სანაკრებო კარიერა დასრულდა?




ჯონი ვილკინსონი (მარცხნივ) და მურად ბურჯელალი

ინგლისის ნაკრების მგეზავმა **ჯონი ვილკინსონმა** გუშინ საფრანგეთის ელიტურ, პირველ დივიზიონში მოასპარეზე „ტულონთან" ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი, რომლის მიხედვითაც მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მექულე, გუნდში 2013 წლის სეზონის ბოლომდე დარჩება.

31 წლის ვილკინსონი „ტულონში" 2009 წლის ზაფხულში ჩაირიცხა და **ფილიპ სენ-ანდრეს** რაზმს მალე შეეწყო. დღესდღეობით „ვილკო" ჩემპიონატში საუკეთესო მექულეა (169).

*„თავისი მაგიური ფეხის გამო ის „ტულონისთვის" შეუცვლელი მორაგბეა. შესანიშნავად მართავს თამაშს, ერთნაირად ძლიერია შეტევის ორგანიზებასა და დაცვაში თამაშისას. ვფიქრობ, მასთან ერთად „ტულონს" ნებისმიერი სიმაღლის დაპყრობა შეუძლია"* - თქვა „ტულონის" პრეზიდენტმა **მურად ბურჯელალმა**.

აღსანიშნავია, რომ ვილკინსონი ფრანგულმა ყოველდღიურმა გაზეთმა „მიდი ოლიმპიკმა" სეზონის სიმბოლურ ნაკრებში დაასახელა. კლუბში წარმატებული თამაშის საპირწონედ, ჯონის ცუდად მისდის საქმეები ეროვნულ ნაკრებში.

„პომების" თავკაცმა **მარტინ ჯონსონმა**, რომელთან ერთადაც 2003 წელს მსოფლიო თასი მოიპოვა, „ვილკო" სათადარიგოთა შორის გაამწესა. ჯონსონმა ნაკრების მთავარ მგეზავად ლესტერელი **ტობი ფლუდი** აირჩია.

ცხადია, თუ ტრავმამ არ შეუშალა ხელი, ვილკინსონი 2011 წლის მსოფლიო თასზე აუცილებლად ითამაშებს, მაგრამ ამის შემდეგ მის სანაკრებო კარიერას საკმაოდ სერიოზული საფრთხე ემუქრება. ინგლისის რაგბის კავშირმა გადაწყვიტა 2011 წლის მსოფლიო თასის შემდეგ, ინგლისის ნაკრებში ის მორაგბეები მიიწვიოს, ვინც ამ ქვეყნის კლუბებში ასპარეზობს.

ეს გადაწყვეტილება მიზნად ისახავს, 2015 წლის მსოფლიო თასისთვის, რომელსაც ინგლისი უმასპინძლებს, „პომების" სათანადოდ მომზადებას. ინგლისელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი „ვებ ელისის" თასი სამშობლოდან არავის გაატანონ.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ, ვინაიდან ინგლისური რაგბის მამები გამონაკლისის დაშვებას არავისთვის აპირებენ, ვილკინსონი ეროვნულ გუნდს უნდა გამოეთხოვოს.

თუმცა თავად ვილკინსონი ინგლისის რაგბის კავშირის ამ გადაწყვეტილებით გაკვირვებულია:

*„გაუგებარია, იმისგან, რომ „ტულონში" თამაში მინდა, პრობლემას რატომ ქმნიან. ნაკრებში ასპარეზობა ნებისმიერი მორაგბის ოცნებაა და არც მე ვარ გამონაკლისი. თანაც, კლუბის ხელმძღვანელებს არასდროს უთქვამთ, ნაკრებში სათამაშოდ არ წახვიდეო, არც მომავალში მეტყვიან და ყოველთვის მზად ვარ, ინგლისის ნაკრების კვართი მოვირგო"* - თქვა ვილკინსონმა.

„ტულონის" მულტიმილიონერმა პრეზიდენტმა მურად ბურჯელალმა ამას წინათ დაიქადნა, ყველაფერს ვილონებ, „ვილკო" გუნდში რომ დარჩესო და შეასრულა კიდეც. ახლა რიგში კიდევ რამდენიმე მსოფლიო დონის ვარსკვლავია. მათ შორისაა საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე, საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი **მამუკა გორგოძე**. ვნახოთ, შეძლებს თუ არა ბურჯელალი „გულივერას" გადაბირებას.

რაგბი და კრივი

# სონი ბილი რინგზე დაბრუნებას არ ნანობს

ახალი ზელანდიის ნაკრების გარემარბ **სონი ბილ ვილიამსს** მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, პროფესიულ რინგს დაუბრუნდეს. არა, ცხადია, ის რაგბიდან წასვლას არ აპირებს და ზე რაგბის 2011 წლის გათამაშებაში „კრუსეიდერზის" შემადგენლობაშიც აუცილებლად ითამაშებს. სონი ბილის ამბიცია აქვს, „ოლ ბლექსთან" ერთად შემოდგომაზე მსოფლიო თასიც მოიგოს.

შეგახსენებთ, რომ სონი ბილ ვილიამსს აქამდე პროფესიულ რინგზე ორი ბრძოლა გაუმართავს და ორივეში გამარჯვება იზეიმა. მას ძალიან უნდა მესამედაც სცადოს ძალა და 29 იანვარს რინგზე **სკოტ ლუისს** დაუპირისპირდება. ცხადია, ვილიმასის გეგმებით ახალი ზელანდიის რაგბის კავშირი აღფრთოვანებული არაა, მაგრამ „ოლ ბლექსის" ამომავალი ვარსკვლავი იხტიბარს მაინც არ იტეხს.

„მინდა, ყველას გასაგონად ვთქვა, „ოლ ბლექსის" შემადგენლობაში თამაშს არ ვუარობ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ახალი ზელანდიის რაგბის კავშირთან კონტრაქტი მაქვს გაფორმებული. ძალიან მინდა ზე რაგბის გათამაშებაშიც წარმატებული სეზონი მქონდეს.

გარწმუნებთ, ყოველივე ამაში კრივი ხელს არ შემიშლის. ცხადია, რინგზე ასვლა და კრივობა დიდ რისკთანაა დაკავშირებული, მაგრამ ცხოვრებაში წარმატება რისკის გაწევის გარეშე არ მოდის. კრივმა ძალიან გამიტაცა, მან ხასიათი გამომიმუშავა და ვგრძნობ, რომ სპორტის ამ სახეობაშიც ბევრის მიღწევა შემიძლია.




სონი ბილ ვილიამსი

ამჟამად მუხლჩაუხრელად ვშრომობ, ვვარჯიშობ. ნელ-ნელა ვუახლოვდები ფორმის პიკს და შეგრძნებას, რით განსხვავდებიან დიდი სპორტსმენები ჩვეულებრივებისგან. დარწმუნებული ვარ, კრივი სარგებლობას მომიტანს. აქამდე მოჰქონდა და არ მინდა ამ სტრატეგიას ვუღალატო" - თქვა სონი ბილ ვილიამსმა „ჰერალდ ტრიბუნთან" საუბრისას.

29 დეკემბერი მსოფლიო რაგბის ისტორიაში




ბენ თუნი

### 2008 წელი

„ქონოთმა" მაგნერს ლიგის გათამაშებაში „ჰეინეკენის თასის" მფლობელი ირლანდიური „მანსტერი" დაამარცხა 12:6 და სატურნირო ცხრილში დაწინაურდა. ოთხი საჯარიმო „ადამიანი ხმალად" შერაცხილმა **იან კიტლიმ** გაიტანა. ქონოთელებს მეტოქისთვის 1986 წლის შემდეგ არ მოეგოთ. აღსანიშნავია, რომ **მაიკლ ბრედლის** ბიჭებმა, ერთი თვით ადრე, კიდევ ერთი მრისხანე მეტოქე, „ლენსტერი" დაამარცხეს.

### 1976 წელი

ამ დღეს დაიბადა ავსტრალიის ნაკრების ყოფილი გარემარბი **ბენ თუნი**. მას შესანიშნავი კარიერა ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ბენს დაშავებული მუხლი ქრონიკულად აწუხებდა, ეროვნულ ნაკრებში 46 კეპი მოიხვეჭა. მისი დებიუტი „ვოლაბების" შემადგენლობაში 1996 წელს უელსთან მატჩში შედგა. ბოლო თამაში კი 2002 წელს არგენტინის ნაკრებთან შეხვედრა გამოდგა.

ბენ თუნი 1999 წელს მსოფლიო თასზე გამარჯვების ერთ-ერთი შემოქმედი იყო. მან ფინალში საფრანგეთის ნაკრებს ლელო გაუტანა.

### 1910 წელი

ინგლისურმა „ლესტერ ტაიგერზმა" „ბარბაროსებთან" ყოველწლიურ საშობაო დაპირისპირებაში პირველი გამარჯვება მოიპოვა.

### 1926 წელი

„მაორებმა" 1888 წელს განცდილი მარცხის გამო რევანში აიღეს. მათ „კარდიფ ბლუზს" „არმს პარკზე" 5:3 მოუგეს.

### 1936 წელი

„ბარბაროსებმა", რომელიც თითქმის მსოფლიოს ნაკრები იყო, „ლესტერ ტაიგერზს" 20:5 მოუგო.

### 1937 წელი

ერთი წლის შემდეგ „ბარბაროსებმა" ლესტერ ტაიგერზი" კიდევ უფრო გამანადგურებელი ანგარიშით 34:0 დაამარცხეს. „ბარბაროსებში" გამორჩეულნი იყვნენ ყოფილი ლესტერელები, **ბერნარდ გედნი** და **დირკ ოტი**. ამ უკანასკნელმა ვიზავი **ჯეკ ტეილორი**, რომელიც შემდგომში საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი გახდა, აშკარად დაჯაბნა.

### 1960 წელი

იორკშირმა, რომელიც საგრაფოს ჩემპიონი გახდა, მიდლენდის ნაკრებში 11 მოთამაშე მიავლინა. მიდლენდელებმა სამხრეთ აფრიკის ნაკრებთან 5:16 წააგეს. მატჩი ბირმინგემში გაიმართა.

### 1964 წელი

ედინბურგის აკადემიისა და ლონდონის ნაკრების შეხვედრა დიდთოვლობის გამო ჩაიშალა. რადგან სტადიონზე საკმაოდ ბევრმა მაყურებელმა მოიყარა თავი, გუნდებმა მათ გასართობად ფეხბურთი ითამაშეს.

ამბები

## ჯორჯ სმითი ამომავალი მზის ქვეყანაში



**დავით ქუბრიაშვილის** „ტულონისა" და ავსტრალიის ნაკრების მესამეხაზელი **ჯორჯ სმითი**, შესაძლოა, სეზონის დასრულების შემდეგ იაპონიაში გადაბარგდეს. სმითი „ტულონში" წლეულს ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის პერიოდში ჩაირიცხა და კონტრაქტი მომავალი წლის მაისის ბოლოს უმთავრდება.

სმითს საკმაოდ მაცდური წინადადებით მიმართა იაპონიის ჩემპიონატის 2008 წლის გამარჯვებულმა „სანიო ვაილდ კნაითსმა". იაპონელებმა ავსტრალიელს სამწლიანი კონტრაქტი შესთავაზეს. სმითს ჯამაგირი წელიწადში 800 ათასი ევრო იქნება.

## ელსომმა ევროპას მოაშურა

სიდნეის „ვორათაზისა" და ავსტრალიის ნაკრების მესამეხაზელი **როკი ელსომი** ევროპაში გადმობარგებას აპირებს. „ვოლაბების" ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშის მომავალი გუნდი, სავარაუდოდ, ფრანგული რაგბის გრანდი „ტულუზი" იქნება.

სიდნეური გუნდის ხელმძღვანელებმა სასწრაფოდ მისი შემცვლელის ძებნა დაიწყეს და რაგბი ლიგაში მიაგნეს. უკვე გადაწყვეტილია, რომ „ვორათაზის" ღირსებას, ზე რაგბის გათამაშებაში, „ბულდოგზის" ახალგაზრდა მოთამაშე **ლოპეტი ტიმანი** დაიცავს.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

კალათბურთი



აივერსონი და თანაგუნდელები

# აივერსონმა ბეშიქთაში გაქურდა

## თურქულ კლუბში მხოლოდ ალენს უხდიან ხელფასს

სერიოზული პრობლემების წინაშე დგას **ალენ აივერსონის** „ბეშიქთაში". როგორც ირკვევა, ამ კლუბის კალათბურთელები ოთხი თვეა ხელფასის გარეშე თამაშობენ.

ამის გამო მოთამაშეებმა ვარჯიშებზე ბოიკოტი გამოაცხადეს იქამდე, სანამ თანხის ნაწილი არ იქნება დაფარული. საინტერესოა, რომ კალათბურთელები „ბურსასთან" კალენდარული მატჩის თამაშს აპირებენ, სამი დღის წინ კი თურქეთის ჩემპიონატში „ქარსიაქა" დაამარცხეს. სწორედ ამის შემდეგ გამოცხადდა გაფიცვა.

აღსანიშნავია, რომ „ბეშიქთაშში" ბევრი ცნობილი კალათბურთელი თამაშობს: ამერიკელი **მეირ ჩეტლმენი**, ავსტრალიელი **ენდრიუ ოგილვი**, პოლონელი **მიხალ იგნერსკი** და, რა თქმა უნდა, ალენ აივერსონი. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ აივერსონი დროულად და სრულად იღებს მისთვის განკუთვნილ ჯამაგირს. შეგახსენებთ, რომ NBA-ის ყოფილი ვარსკვლავის წლიური ხელფასი დაახლოებით 2 მილიონ დოლარს შეადგენს.

### ამბები

#### ბარნიანი სამ მატჩს გამოტოვებს

„ტორონტო რეპტორზის" იტალიელ ცენტრ **ანდრეა ბარნიანის** ისევ აწუხებს ფეხის ტრავმა. აპენინელმა დაწვრილებითი სამედიცინო შემოწმება უნდა ჩაიტაროს, რის გამოც თავის გუნდს უახლოეს სამ თამაშში ვერ დაეხმარება.

ბარნიანის რამდენიმე დღის წინ ასევე ჰქონდა ფეხთან დაკავშირებით პრობლემები. მაშინ მან ფეხი გადაიბრუნა, მაგრამ მალე მოირჩინა დაზიანება.

სავარაუდოდ, იტალიელი რეგულარულ ჩემპიონატს იანვარში „ბოსტონ სელტიქსთან" მატჩში დაუბრუნდება.

#### ჯორდანმა მწვრთნელი იპოვა

**ლარი ბრაუნის** გათავისუფლების შემდეგ, „შარლოტი ბობკეტსის" მეპატრონე **მაიკლ ჯორდანი** კვლავაც ახალი მწვრთნელის ძიებაშია. მართალია, ხელმძღვანელობამ გუნდი **პოლ სილასს** ჩააბარა, მაგრამ ცხადია, რომ ის მთავარი მწვრთნელის მოვალეობის დროებითი შემსრულებელია და ახალ სეზონში კლუბში უფრო გამოცდილი მწვრთნელი გამოჩნდება.

სწორედ ამიტომაც ჯორდანის მზერა **ნეიტ მაკმილანისკენ** არის მიპყრობილი, რომელიც ამჟამად „პორტლენდს" ავარჯიშებს, თუმცა მის კონტრაქტს ამ სეზონის შემდეგ ეწურება ვადა.

ჯერჯერობით მომავალ გარიგებაზე დაწვრილებით ლაპარაკი შეუძლებელია, მაგრამ ეს ყველაზე რეალური ვარიანტია, რადგან „ბობკეტსის" პრეზიდენტი **ფრედ ვიტფილდიც** მაკმილანის კანდიდატურას ემხრობა.

#### შაკი 35 ათასით დასაჯეს

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ მსაჯების საჯარო კრიტიკის გამო 35 ათასი დოლარით დააჯარიმა „ბოსტონ სელტიქსის" ვეტერანი ცენტრი **შაკილ ო'ნილი**. ამის შესახებ ჟურნალისტებს NBA-ის ვიცე-პრეზიდენტმა **სტიუ ჯექსონმა** შეატყობინა.

შეგახსენებთ, რომ „ორლანდოსთან" მატჩში შაკილმა ექვსი პერსონალურის გამო ნაადრევად დატოვა მოედანი. მატჩის შემდეგ ო'ნილმა მთავარი მსაჯი **ბობ დილეინი** ალოგიკური გადაწყვეტილებების მიღებაში დაადანაშაულა.

#### ჰიუსტონი იაოს მოშორებას ცდილობს

„ჰიუსტონ როკეტსის" ხელმძღვანელობა თავისი ტრავმირებული ცენტრის **იაო მინის** გაცვლის ვარიანტებს განიხილავს. როგორც იცით, ჩინელი ტრავმის გამო სეზონის დარჩენილ ნაწილს გამოტოვებს, ხოლო მისი კონტრაქტის დიდ ნაწილს - 8 მილიონ დოლარს დაზღვევა ანაზღაურებს. იაოს კლუბთან ხელშეკრულება ამ სეზონის ბოლოს უმთავრდება.

FoxSports-ის ინფორმაციით, იაო მინის კონტრაქტით უკვე ხუთი-ექვსი კლუბი დაინტერესდა, მაგრამ ყველა მოლაპარაკება ჯერ საწყის სტადიაშია.

ამასთან, „როკეტსი" არ გამორიცხავს ჩინელთან ხელშეკრულების გაგრძელებას. ეს ექიმების საბოლოო დიაგნოზზე იქნება დამოკიდებული.

#### შარლოტს რიჩარდსონი მოუნდა

„შარლოტ ბობკეტსს" „ორლანდოდან" მცველ **ჯეისონ რიჩარდსონის** გადაბირება სურს. ამისთვის ის „მეჯიქს" ტრეიდს სთავაზობს. კერძოდ, „ბობკეტსის" ხელმძღვანელობა რიჩარდსონში ფორვარდ **ბორის დიაოს** დათმობს.

რიჩარდსონი სულ ახლახან გადავიდა „ფინიქსიდან" „ორლანდოში". მის 14-მილიონიან კონტრაქტს მომავალი წლის ზაფხულში გასდის ვადა, დიაოს 9-მილიონიანი ხელშეკრულება კი კიდევ ერთი სეზონით თანამშრომლობას ითვალისწინებს.

#### ევანსს ოპერაცია სჭირდება

„საკრამენტო კინგზის" მცველ **ტაირიკ ევანსს** მარცხენა ტერფზე ოპერაცია ესაჭიროება. როგორც ექიმები ამბობენ, შარშანდელი სეზონის საუკეთესო ახალბედას მკურნალობას 3-4 თვე დასჭირდება.

ჯერჯერობით უცნობია, როდის ჩატარდება ეს პროცედურა - უახლოეს დღეებში თუ „ყველა ვარსკვლავის უქმეების" პერიოდში.

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# გამარჯვება ნოვიცკის გარეშე

წელს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ყველაზე არასასურველ სტუმრად „დალას მავერიქსი" ჩამოყალიბდა. ჯერ რეგულარული ჩემპიონატი ეკვატორამდეც არ მისულა და „მავერიქსმა" უკვე მოასწრო გასვლაზე „დენვერის", „ნიუ ორლეანის", „ატლანტას", „სან ანტონიოს", „მაიამის", „იუტას", „ორლანდოსა" და „ოკლაჰომას" დამარცხება. სრული კოლექციის შესავსებად ფავორიტთაგან „ბოსტონისა" (ეს გუნდი „კოვბოებმა" შინ უკვე დაამარცხეს) და „ლეიკერსის" ძლევა დარჩა.

„ოკლაჰომას" სტუმრად დამარცხება იოლი საქმე არ არის, „დალასისთვის" კი ეს ამოცანა მეორე მეოთხედში კიდევ უფრო გართულდა, როცა სრულიად უწყინარ სიტუაციაში ფეხი დაიზიანა **დირკ ნოვიცკიმ**. იმ მომენტისთვის გერმანელი საუკეთესო იყო მოედანზე - 11 წუთში 13 ქულა ჰქონდა დაგროვებული.

ბუნებრივია, „დალასის" მდგომარეობა დამძიმდა, მით უმეტეს, რომ გუნდს ოკლაჰომაში არც მთავარი მწვრთნელი **რიკ კარლაილი** ახლდა, რომელმაც მუხლის ოპერაცია გადაიტანა და მის ნაცვლად გუნდს ასისტენტი **დუეინ კეისი** ხელმძღვანელობდა. მაგრამ ჩემპიონატის ერთ-ერთმა ლიდერმა მაინც შეძლო გამარჯვება. მოგების რეცეპტი მარტივი აღმოჩნდა - მთავარი იყო გუნდი პირველ სამ მეოთხედში არ ჩამორჩენოდა მეტოქეს, ბოლო 12-წუთეულში კი თავის საქმეს **ჯეისონ ტერი** გააკეთებდა.

ბოლო მეოთხედის წინ „დალასი" მინიმალური ანგარიშით აგებდა, საფინალო სირენას კი კომფორტული 10-ქულიანი უპირატესობით შეხვდა. ტერიმ 12 წუთში 11 ქულა (ერთით ნაკლები, ვიდრე „ოკლაჰომამ") დააგროვა და ორი შედეგიანი პასი გააკეთა. თუმცა მხოლოდ ჯეისონის შექება არ იქნება მართებული - მთელმა „დალასმა" შესანიშნავად ითამაშა: ექვსმა ტეხასელმა გადააჭარბა 10-ქულიან ზღვარს. ბოლოს კი აღვნიშნავთ, რომ **ჯეისონ კიდს** საფირმო სამმაგი დუბლის გასაფორმებლად ერთი მოხსნა არ ეყო. ვეტერანს 10 ქულა, 10 პასი და 9 მოხსნა ჰქონდა.

■ ■ ■

სხვა მატჩებიდან აღსანიშნავია „მინესოტას" მოულოდნელი მოგება „ნიუ ორლეანთან", არადა, „ჰორნეტსმა" შესანიშნავად დაიწყო თამაში, პირველ მეოთხედში 35 ქულა დააგროვა და 12 ქულით გაიჭრა წინ.

მეორე ნახევარი „მგლებმა" 59:41 მოიგეს. ბრწყინვალედ გამოიყურებოდნენ მათი მცველები - **მაიკლ ბიზლი** და **უესლი ჯონსონი**. პირველმა 45 წუთში 30 ქულა, 9 მოხსნა და 7 შედეგიანი პასი დააგროვა, დებიუტანტმა კი რვიდან ექვსი სამქულიანი გამოიყენა. ცალკე აღნიშვნის ღირსია „მინესოტას" ლიდერის **კევინ ლავის** მიღწევა - 22 წლის ფორვარდმა ზედიზედ მე-18 ორმაგი დუბლი შეასრულა.

„შარლოტის" მწვრთნელის რანგში პირველი გამარჯვება მოიპოვა **პოლ სილასმა**. პირველი ტაიმის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე „ბობკეტსი" 53:30-ს უგებდა „დეტროიტს", მაგრამ იმდენი მოახერხა, რომ კინაღამ დათმო განაღდებული მოგება. ცხრა წამით ადრე 103:100-ზე **ტაირუს ტომასმა** ორივე საჯარიმო გააფუჭა და „დეტროიტს" შანსი მისცა, თუმცა **ბენ გორდონის** სამქულიანმა მიზანს არ მიაღწია და სილასმა პირველი გამარჯვება იზეიმა.

„საკრამენტოსა" და „კლიპერსის" შეხვედრის გმირი უნდა გამხდარიყო „კინგზის" 21 წლის მცველი **ტაირიკ ევანსი**, რომელმაც 32 ქულით სეზონის პირადი რეკორდი დაამყარა. მაგრამ სწორედ მისმა უზუსტობამ წააგებინა „საკრამენტოს". 97:98-ზე მან ავანტიურული გარღვევა წამოიწყო და ბლოკ-შოტი მიიღო, ამის შემდეგ საფინალო სირენამდე 5.1 წამით ადრე სამი საჯარიმოს უფლება მოიპოვა, მაგრამ ორი ჩააგდო და ბოლო ააცილა, თუმცა ფარიდან ასხლეტილი ბურთი მას მიუვიდა. პასის ნაცვლად ისევ თავად შეუტია სამი მეტრიდან და ისევ ააცილა - 100:99 „კლიპერსის" სასარგებლოდ. ამ გუნდმა სტუმრად ზედიზედ 11 წაგების შემდეგ, მიყოლებით სამი გასვლითი მატჩი მოიგო.

### კვირის მოთამაშეები

„მაიამი ჰიტი" ფორვარდი **ლებრონ ჯეიმსი** და „გოლდენ სტეიტ უორიორზის" მცველი **მონტა ელისი** გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დასახელდნენ.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატმა ჯეიმსმა გასულ კვირას ჩატარებულ სამ შეხვედრაში საშუალოდ 27.3 ქულა, 9.0 მოხსნა, 7.0 შედეგიანი პასი და 2.33 ჩაჭრა დააგროვა. მან „ლეიკერსთან" საშობაო შეხვედრაში სამმაგი დუბლი შეასრულა: 27 ქულა, 11 მოხსნა და 10 გადაცემა.

დასავლეთში საუკეთესო ელისი გასულ კვირას ლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა - მის ანგარიშზე საშუალო 39.7 ქულა მოდის, რასაც 7.0 შედეგიანი პასი და 3.0 ჩაჭრაც ემატება.

#### ჯეიმსის კვირა

**20 დეკემბერი. მაიამი-დალასი 96:98.** 19 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი.

**23 დეკემბერი. ფინიქსი-მაიამი 83:95.** 36 ქულა, 6 მოხსნა, 4 პასი, 3 ჩაჭრა.

**25 დეკემბერი. ლეიკერსი-მაიამი 80:96.** 27 ქულა, 11 მოხსნა, 10 პასი.

#### ელისის კვირა

**20 დეკემბერი. გოლდენ სტეიტი-ჰიუსტონი 112:121.** 44 ქულა, 7 პასი, 3 ჩაჭრა.

**21 დეკემბერი. საკრამენტო-გოლდენ სტეიტი 109:117.** 36 ქულა, 7 პასი, 4 ჩაჭრა.

**25 დეკემბერი. გოლდენ სტეიტი-პორტლენდი 109:102.** 39 ქულა, 7 პასი, 2 ჩაჭრა.

კვირის მოთამაშის სტატუსზე შემდეგი კალათბურთელები აცხადებდნენ პრეტენზიას: **კარლოს ბუზერი** („ჩიკაგო"), დირკ ნოვიცკი („დალასი"), **ამარე სტაუდმაიერი** („ნიუ იორკი") და **კევინ დურანტი** („ოკლაჰომა").

#### ნიუ ჯერსი-ორლანდო 88:104

25:24, 19:27, 25:30, 19:23

**ნ-ჯ:** ჰარისი (24+6 პასი), ლოპესი (20+7 მოხსნა), აუთლო (10), ფარმარი (10), ჰემფრიზი (7+11 მოხსნა).

**ო:** თურქოგლუ (20+7 მოხსნა+5 პასი), ჰოვარდი (19+13 მოხსნა+6 დაფარება), რედიკი (15), რიჩარდსონი (14), ბასი (11), ანდერსონი (10+12 მოხსნა).

#### შარლოტი-დეტროიტი 105:100

26:26, 30:14, 29:29, 20:31

**შ:** ოგუსტინი (27), ჯექსონი (23+9 მოხსნა), ტომასი (14), მოჰამედი (10+5 მოხსნა).

**დ:** ვილანუევა (25), გორდონი (17), პრინსი (17), უილკოქსი (15+8 მოხსნა).

#### მილუოკი-ატლანტა 80:95

18:29, 24:28, 25:20, 13:18

**მ:** სალმონსი (18), დულინგი (15+9 პასი), ბოგუტი (14+11 მოხსნა), ბოიკინსი (13).

**ა:** ჰორფორდი (18+12 მოხსნა), ჯონსონი (15+6 პასი), უილიამსი (14+5 მოხსნა), კროუფორდი (14), სმიტი (13+7 მოხსნა).

#### მინესოტა-ნიუ ორლეანი 113:98

27:35, 27:22, 28:20, 31:21

**მ:** ბიზლი (30+9 მოხსნა+7 პასი), ჯონსონი (24), ლავი (16+11 მოხსნა), მილიჩიჩი (14+5 მოხსნა), რიდნური (12+11 პასი).

**ნ-ო:** უესტი (23), პოლი (22+13 პასი+6 მოხსნა+5 ჩაჭრა), არიზა (15), ბელინელი (11).

#### ოკლაჰომა-დალასი 93:103

29:34, 27:22, 25:23, 12:24

**ო:** დურანტი (28+5 მოხსნა), ჰარდენი (18), უესტბრუკი (15+7 პასი), გრინი (12+5 მოხსნა).

**დ:** ბატლერი (21), მერიონი (20+9 მოხსნა), ნოვიცკი (13), კიდი (10+10 პასი+9 მოხსნა), ჩენდლერი (7+10 მოხსნა).

#### მემფისი-ტორონტო 96:85

16:24, 32:20, 29:19, 19:22

**მ:** რენდოლფი (21+8 მოხსნა), გეი (18+6 პასი+5 მოხსნა+5 ჩაჭრა), ალენი (14+8 მოხსნა+6 ჩაჭრა), კონლი (12+6 პასი), მაიო (12).

**ტ:** კლეიზა (22), დეროზანი (18), კალდერონი (13+9 პასი), ბარბოზა (11), დორსი (10+13 მოხსნა).

#### ჰიუსტონი-ვაშინგტონი 100:93

28:27, 19:21, 21:25, 32:20

**ჰ:** მარტინი (20+7 მოხსნა), ბატიე (15+6 მოხსნა), ბრუქსი (15+5 პასი), სკოლა (14), ჰილი (13+7 მოხსნა).

**ვ:** ჰაინრიხი (19+5 მოხსნა), იანგი (18), ბლეტჩი (17+14 მოხსნა), უოლი (13+6 პასი+5 მოხსნა), ლუისი (12+9 მოხსნა+5 პასი), ჰოვარდი (12).

#### იუტა-პორტლენდი 91:96

27:20, 20:25, 19:21, 25:30

**ი:** უილიამსი (31+6 პასი), ჯეფერსონი (11+9 მოხსნა), მილსეპი (11), მაილსი (10).

**პ:** ოლდრიჯი (26+7 მოხსნა), მილერი (17+6 პასი), მეტიუზი (14), ფერნანდესი (13), კემბი (4+12 მოხსნა).

#### საკრამენტო-კლიპერსი 99:100

21:28, 28:30, 27:18, 23:24

**ს:** ევანსი (32), კასპი (16), უდრიხი (14+6 პასი), ლენდრი (13+5 მოხსნა), გარსია (12).

**კ:** გორდონი (31+6 მოხსნა), გრიფინი (21+14 მოხსნა), დევისი (11+9 პასი+5 მოხსნა), ამინუ (11+8 მოხსნა).

#### გ. სტეიტი-ფილადელფია 110:95

25:30, 30:19, 21:22, 34:24

**გ-ს:** რაიტი (28+6 მოხსნა), ელისი (22+12 მოხსნა), ლი (21+16 მოხსნა), კარი (17+8 პასი+5 მოხსნა).

**ფ:** ჰოლიდეი (23+11 პასი), მიქსი (19), ბრენდი (16+16 მოხსნა), იანგი (15+8 მოხსნა).

#### აღმოსავლეთი

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ბოსტონი* | 28 | 23 | 5 | 82.1 |
| 2. მაიამი* | 32 | 23 | 9 | 71.9 |
| 3. ჩიკაგო* | 29 | 19 | 10 | 65.5 |
| 4. ორლანდო | 31 | 19 | 12 | 61.3 |
| 5. ატლანტა | 33 | 20 | 13 | 60.6 |
| 6. ნიუ იორკი | 30 | 18 | 12 | 60.0 |
| 7. ინდიანა | 28 | 13 | 15 | 46.4 |
| 8. მილუოკი | 29 | 12 | 17 | 41.4 |
| 9. ფილადელფია | 30 | 12 | 18 | 40.0 |
| 10. შარლოტი | 29 | 10 | 19 | 34.5 |
| 11. ტორონტო | 30 | 10 | 20 | 33.3 |
| 12. დეტროიტი | 31 | 10 | 21 | 32.3 |
| 13. ნიუ ჯერსი | 31 | 9 | 22 | 29.0 |
| 14. კლივლენდი | 30 | 8 | 22 | 26.7 |
| 15. ვაშინგტონი | 29 | 7 | 22 | 24.1 |

#### დასავლეთი

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. სან ანტონიო* | 30 | 26 | 4 | 86.7 |
| 2. დალასი | 29 | 24 | 5 | 82.8 |
| 3. ლეიკერსი* | 30 | 21 | 9 | 70.0 |
| 4. იუტა* | 31 | 21 | 10 | 67.7 |
| 5. ოკლაჰომა | 32 | 21 | 11 | 65.6 |
| 6. ნიუ ორლეანი | 31 | 18 | 13 | 58.1 |
| 7. დენვერი | 29 | 16 | 13 | 55.2 |
| 8. პორტლენდი | 31 | 16 | 15 | 51.6 |
| 9. ჰიუსტონი | 30 | 15 | 15 | 50.0 |
| 10. მემფისი | 31 | 14 | 17 | 45.2 |
| 11. ფინიქსი | 29 | 13 | 16 | 44.8 |
| 12. გ. სტეიტი | 30 | 12 | 18 | 40.0 |
| 13. კლიპერსი | 32 | 10 | 22 | 31.2 |
| 14. მინესოტა | 32 | 8 | 24 | 25.0 |
| 15. საკრამენტო | 28 | 5 | 23 | 17.9 |

#### ქულა

| | |
|---|---|
| კევინ დურანტი (ოკლ) | 28.1 |
| ამარე სტაუდმაიერი (ფინ) | 26.2 |
| მონტა ელისი (გ-სტ) | 25.9 |
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 25.4 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივ) | 24.8 |
| დერიკ როუზი (ჩიკ) | 24.3 |
| დირკ ნოვიცკი (დალ) | 24.1 |
| კარმელო ენტონი (დენ) | 24.0 |
| ერიკ გორდონი (კლიპ) | 23.9 |
| კევინ მარტინი (ჰიუ) | 23.4 |

#### მოხსნა

| | |
|---|---|
| კევინ ლავი (მინ) | 15.5 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 13.1 |
| ბლეიკ გრიფინი (კლიპ) | 12.4 |
| ზაკ რენდოლფი (მემ) | 12.4 |
| პაუ გასოლი (ლეი) | 11.0 |
| მარკუს კემბი (პორ) | 10.9 |
| ანდერსონ ვარეჟაო (კლი) | 9.8 |
| ლამარ ოდომი (ლეი) | 9.8 |
| ემეკა ოკაფორი (ნ-ორლ) | 9.7 |
| კევინ გარნეტი (ბოს) | 9.7 |

#### პასი

| | |
|---|---|
| რაჟონ რონდო (ბოს) | 13.8 |
| სტივ ნეში (ფინ) | 10.7 |
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 9.9 |
| დერონ უილიამსი (იუტ) | 9.5 |
| რეიმონდ ფელტონი (ნ-იორკ) | 9.2 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 8.8 |
| დერიკ როუზი (ჩიკ) | 8.4 |
| ჯონ უოლი (ვაშ) | 8.4 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 8.1 |
| ანდრე მილერი (პორ) | 7.5 |

#### ჩაჭრა

| | |
|---|---|
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 2.8 |
| მონტა ელისი (გ-სტ) | 2.4 |
| კაილ ლოური (ჰიუ) | 2.0 |
| მაიკ კონლი (მემ) | 2.0 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 2.0 |
| რეიმონდ ფელტონი (ნ-იორ) | 2.0 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 1.8 |
| რუდი გეი (მემ) | 1.8 |
| ანდრე მილერი (პორ) | 1.8 |
| კევინ გარნეტი (ბოს) | 1.8 |

#### დაფარება

| | |
|---|---|
| ენდრიუ ბოგუტი (მილ) | 2.8 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 2.6 |
| ჯავალ მაკგი (ვაშ) | 2.5 |
| დარკო მილიჩიჩი (მინ) | 2.4 |
| სერჟ იბაკა (ოკლ) | 2.3 |
| ამარე სტაუდმაიერი (ფინ) | 2.2 |
| ჯოშ სმიტი (ატლ) | 2.0 |
| პაუ გასოლი (ლეი) | 2.0 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 2.0 |
| როი ჰიბერტი (ინდ) | 2.0 |

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# კვირის მიმოხილვა

**კვირის გუნდი.** მიუხედავად იმისა, რომ „ნიუ იორკ აილენდერსი" უიმედოდ არის ჩარჩენილი აღმოსავლეთი კონფერენციის აუტსაიდერთა შორის, გასული კვირის გუნდად სწორედ ის უნდა მოინათლოს. ბოლო შვიდ დღეში „კუნძულელებმა" სამ გამარჯვებას მიაღწიეს - დაამარცხეს „ტამპა ბეი", „ნიუ ჯერსი" და „მონრეალი".

„აილენდერსმა" „ნიუ ჯერსისა" და „მონრეალს" დამაჯერებლად მოუგო - 5:1 და 4:1, „ტამპას" ოვერტაიმში სძლია - 2:1. ბოლო ხუთ მატჩში გუნდმა ოთხი მოიგო და ერთხელ დამარცხდა („ფინიქსთან"), ისიც ოვერტაიმში, რითაც ქულა ჩაიწერა აქტივში. მისასალმებელია კლუბის მონდომება ღირსეული ადგილის დასაკავებლად, თუმცა წლის ბოლოს „აილენდერსს" სამი რთული მატჩი ელის - თანაქალაქელ „რეინჯერსთან", „პიტსბურგსა" და „დეტროიტთან".

**მწვრთნელის შეცვლა.** ყველა გაკვირვებული იყო - რატომ არ ცვლიდა „ნიუ ჯერსის" გენერალური მენეჯერი **ლუ ლამორელო ჯონ მაკლინს**, რომლის ხელმძღვანელობით გუნდს არც თამაში ჰქონდა და არც შედეგი. როგორც ჩანს, ამ პერიოდში მოლაპარაკებები მიდიოდა **ჟაკ ლემერთან**, ვინც ამა წლის აპრილში გუნდს ოჯახი ამჯობინა. „ეშმაკების" ხელმძღვანელობამ შეძლო ცნობილი სპეციალისტის დაბრუნება და ახლა სწორედ ლემერმა უნდა გამოიყვანოს „დევილზი" კრიზისიდან.

საინტერესოა, რომ არც ერთ ოფიციალურ განცხადებაში არაფერია ნათქვამი თანამშრომლობის ხანგრძლივობაზე და ლემერი ჯერჯერობით „დროებით დამრიგებლად" მოიხსენიება. როგორც ჩანს, „ძველი" ახალი მწვრთნელი სიტუაციის დასალაგებლად მიიყვანეს, რადგან „ნიუ ჯერსის" დონის გუნდს ასეთი ჩავარდნა არ ეკადრება.

„დევილზს" თითქმის არ აქვს პლეი ოფში მოხვედრის შანსი, რადგან მერვე ადგილთან ჩამორჩენა 20 ქულას უდრის, ჩემპიონატი კი ეკვატორს მიუახლოვდა. ლემერმა სწრაფადაც რომ დაამყაროს წესრიგი, ჰოკეისტებმა მოკლე დროში ალლო აუღონ მის მეთოდიკას, ლამორელომ კი რამდენიმე სარფიანი ტრეიდი განახორციელოს, პირველ რვა გუნდში მოხვედრა მაინც შეუძლებელი ჩანს.

**ედ ჟოვანოვსკის 1000 მატჩი.** „დალასთან" შეხვედრა საიუბილეო იყო „ფინიქსის" მცველ **ედ ჟოვანოვსკისთვის**. 34 წლის ჰოკეისტი ამ მაჩვენებლამდე 16 წელი (1995-2010) მიდიოდა. საინტერესოა, რომ „ფლორიდამ" 1994 წელს დრაფტის პირველ ნომრად აიყვანა ჟოვანოვსკი, მაგრამ ერთი წელი ფარმკლუბში დატოვა. ამის შემდეგ მცველი სტაბილურად თამაშობდა NHL-ში.

ჟოვანოვსკიმ პირველივე სეზონში კლუბთან ერთად სტენლის თასის ფინალში გააღწია, მაგრამ იქ „კოლორადოსთან" სერიაში 0:4 დამარცხდა. ამის შემდეგ ჰოკეისტი ახლოსაც არ მისულა პლეი ოფის გადამწყვეტ ეტაპებამდე, არადა „ფლორიდას" გარდა მან „ვანკუვერსა" და „ფინიქსში" მოასწრო თამაში.

სამაგიეროდ, ედს სანაკრებო დონეზე აქვს ბევრი პრიზი მოპოვებული - ოქრო კანადის ნაკრებში 2002 წლის ოლიმპიადაზე, მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატსა (1995) და კანადის თასზე (2004).

**სტივენ სტემკოსის მე-100 შაიბა.** „კაროლინასთან" მატჩში „ტამპა ბეის" ლიდერმა **სტივ სტემკოსმა** მე-100 შაიბა გაიტანა ლიგაში. ამისთვის მას ორნახევარი სეზონი და 195 მატჩი დასჭირდა. 20 წლის თავდამსხმელმა 51 შაიბა გასულ ჩემპიონატში გაიტანა და ამას 44 შედეგიანი პასიც დაუმატა, რამაც ჯამში 95 ქულა შადგინა. სულ სტემკოსს 191 ქულა აქვს, ანუ თითო მატჩში თითქმის ერთ ქულას აგროვებს.

**კვირის ტრავმები.** გასულ კვირას ლიგამ სერიოზული დანაკლისი განიცადა. სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებს „ბაფალო სეიბრზის" წამყვანი ფორვარდი **დერეკ როი**, რომელსაც მუხლთან დაკავშირებული პრობლემების გამო 4-6 თვე გაუცდება. 27 წლის ფორვარდს წელს 35 მატჩში 35 ქულა (10+25) ჰქონდა. საინტერესოა, გავა თუ არა „ბაფალო" სატრანსფერო ბაზარზე როისთვის ღირსეული შემცვლელის მოსაძებნად.

უფრო ნაკლები დროით გამოაკლდა რეგულარულ ჩემპიონატს კიდევ ერთი ვარსკვლავი - „დეტროიტ რედ უინგზის" რუსი ლეგიონერი **პაველ დაციუკი**. ფორვარდმა „ვანკუვერთან" მატჩში ხელი მოიტეხა და მინიმუმ ერთი თვე ვერ შეძლებს თამაშს.

### კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად „ნიუ იორკ აილენდერსის" მეკარე **დუეინ როლოსონი** დაასახელა. ამ გოლკიპერმა სამ მატჩში მიიღო მონაწილეობა და სამივეში გამარჯვებული გამოვიდა. გასულ კვირას როლოსონი საშუალოდ 0.98 შაიბას უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 97.2 პროცენტს იგერიებდა.

მეორე ვარსკვლავი „დეტროიტ რედ უინგზის" ფორვარდი **ჰენრიკ ზეტერბერგია**. სამ მატჩში მან 3 გოლი და 4 შედეგიანი პასი მიითვალა. შვედი თავდამსხმელი კლუბის საუკეთესო ბომბარდირია - 35 მატჩში 40 ქულა (13+27) აქვს დაგროვილი.

მესამე ვარსკვლავი გახდა „პიტსბურგ პინგვინზის" ფორვარდი **სიდნი კროსბი**. ზეტერბერგის მსგავსად მანაც 7 ქულა (4+3) დააგროვა, ოღონდ 4 მატჩში. ახლა კროსბის ანგარიშზე ზედიზედ 24 შედეგიანი მატჩია. გარდა ამისა, „პინგვინების" კაპიტანი ლიდერობს ლიგას გოლებისა (30) და ქულების (61) რაოდენობით.

**კოლამბუსი-მინესოტა 4:3 (ბ)**

0:1, 1:1, 2:1, 0:0

**გოლები:** 0:1 კობესიუ-4 (შულცი-8, სტაუბიცი-2), 1:1 ბრასარი-9 (ჰუსელიუსი-3, ნეში-10), 1:2 მ. კოივუ-8 (მიეტინენი-10, ჟიდლიცკი-15), 2:2 ტიუტინი-2 (ბოი-4, ნეში-11), 3:2 მიურეი-2 (მეტოტი-13, პალსონი-6), 3:3 კლატერბეკი-10 (ჟიდლიცკი-16, კობესიუ-1).

**ბულიტები გაიტანეს:** ნეში (კოლამბუსი), კ. უილსონი (კოლამბუსი), ჰუსელიუსი (კოლამბუსი).

**რეინჯერსი-აილენდერსი 7:2**

2:2, 2:0, 3:0

**გოლები:** 1:0 გილროი-1 (დრიური-3, დუბინსკი-15), 1:1 შრემპი-7 (ვიშნიევსკი-18, კომო-13), 1:2 პარენტო-8 (მოულსონი-7, ტავარესი-11), 2:2 გაბორიკი-10 (მ. სტაალი-10, სტეპანი-11), 3:2 გილროი-2 (ბ. ბოილი-7), 4:2 ბ. ბოილი-13 (როჟსივალი-12), 5:2 დუბინსკი-15 (ანისიმოვი-11, დრიური-4), 6:2 ფედოტენკო-7 (პრუსტი-9, ბ. ბოილი-8), 7:2 სტეპანი-11 (გაბორიკი-11, ცუკარელო-1).

**ფლორიდა-ბოსტონი 2:3 (ბ)**

0:0, 2:1, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ბუტი-9 (ფროლიკი-14), 1:1 კრეისი-6 (რაიდერი-11, ხარა-10), 2:1 სანტორელი-10 (ფროლიკი-15, ალენი-5), 2:2 კრეისი-7 (ველერი-6, რაიდერი-12).

**ბულიტები გაიტანეს:** ველერი (ბოსტონი).

**კალგარი-ბაფალო 5:2**

0:1, 2:0, 3:1

**გოლები:** 0:1 სტეფორდი-10 (პომინვილი-8, სეკერა-10), 1:1 ო. იოკინენი-8 (ტანგეი-18, რეგერი-4), 2:1 იგინლა-15 (ტანგეი-19, ო. იოკინენი-11), 3:1 კოტალიკი-1 (ბაბჩუკი-9), 4:1 მოსი-4 (ჯეკმენი-3), 4:2 კალეტა-4 (ჰეხტი-8, მ. უებერი-1), 5:2 კოსტოპულოსი-3 (პარდი-2, მოსი-4).

**კოლორადო-დეტროიტი 3:4 (ო)**

2:2, 0:0, 1:1, 0:1

**გოლები:** 1:0 დუშენი-14 (ფლიშმანი-13, ჰეიდუკი-21), 1:1 ჰუდლერი-2 (ფილპულა-12, ლიდსტრიომი-21), 2:1 გალიარდი-6 (დ. ჯონსი-9, ფუტი-5), 2:2 ფრანცენი-16 (ლიდსტრიომი-22, კრონვალი-12), 2:3 ლიდსტრიომი-10 (ჰუდლერი-6, ბერტუცი-17), 3:3 დუშენი-15 (პ. შჩასტნი-20, ლაილსი-24), 3:4 კრონვალი-8 (ზეტერბერგი-28, ლიდსტრიომი-23).

**სან ხოსე-ლოს ანჯელესი 0:4**

0:0, 0:0, 0:4

**გოლები:** 0:1 ლუისი-2 (რიჩარდსონი-3), 0:2 შტურმი-1 (კოპიტარი-21, გრინი-2), 0:3 დ. ბრაუნი-15 (დაუტი-15, კოპიტარი-22), 0:4 დ. ბრაუნი-16 (კოპიტარი-23, ჯ. ჯონსონი-21).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | ნ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. პიტსბურგი* | 37 | 24 | 11 | 2 | 50 |
| 2. ტამპა ბეი* | 36 | 21 | 10 | 5 | 47 |
| 3. ბოსტონი* | 34 | 19 | 11 | 4 | 42 |
| 4. ფილადელფია | 35 | 22 | 8 | 5 | 49 |
| 5. ვაშინგტონი | 38 | 21 | 12 | 5 | 47 |
| 6. რეინჯერსი | 37 | 21 | 14 | 2 | 44 |
| 7. ატლანტა | 38 | 19 | 13 | 6 | 44 |
| 8. მონრეალი | 36 | 20 | 14 | 2 | 42 |
| 9. ოტავა | 37 | 16 | 17 | 4 | 36 |
| 10. კაროლინა | 34 | 15 | 15 | 4 | 34 |
| 11. ფლორიდა | 34 | 16 | 17 | 1 | 33 |
| 12. ბაფალო | 36 | 14 | 18 | 4 | 32 |
| 13. ტორონტო | 34 | 13 | 17 | 4 | 30 |
| 14. აილენდერსი | 34 | 9 | 19 | 6 | 24 |
| 15. ნიუ ჯერსი | 35 | 9 | 24 | 2 | 20 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | ნ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. დეტროიტი* | 36 | 23 | 9 | 4 | 50 |
| 2. ვანკუვერი* | 34 | 21 | 8 | 5 | 47 |
| 3. დალასი* | 36 | 21 | 11 | 4 | 46 |
| 4. ლოს ანჯელესი | 35 | 22 | 12 | 1 | 45 |
| 5. კოლორადო | 36 | 19 | 12 | 5 | 43 |
| 6. სან ხოსე | 36 | 19 | 12 | 5 | 43 |
| 7. ჩიკაგო | 37 | 20 | 14 | 3 | 43 |
| 8. სტ. ლუისი | 35 | 18 | 12 | 5 | 41 |
| 9. ნეშვილი | 35 | 17 | 12 | 6 | 40 |
| 10. ანაჰაიმი | 39 | 18 | 17 | 4 | 40 |
| 11. ფინიქსი | 34 | 16 | 11 | 7 | 39 |
| 12. კოლამბუსი | 36 | 18 | 15 | 3 | 39 |
| 13. მინესოტა | 35 | 16 | 14 | 5 | 37 |
| 14. კალგარი | 37 | 16 | 18 | 3 | 35 |
| 15. ედმონტონი | 34 | 12 | 16 | 6 | 30 |

* - დივიზიონის ლიდერი

**ბომბარდირები**

**გოლი+პასი**

| | |
|---|---|
| სიდნი კროსბი (პიტ) | 61 (30+31) |
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 50 (28+22) |
| მარტინ სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 47 (14+33) |
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 44 (8+36) |
| დანიელ სედინი (ვან) | 43 (18+25) |
| ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტ) | 41 (13+28) |
| კორი პერი (ანა) | 41 (19+22) |
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 41 (13+28) |
| ბრედ რიჩარდსი (დალ) | 40 (16+24) |
| პაველ დაციუკი (დეტ) | 39 (12+27) |

**გოლები**

| | |
|---|---|
| სიდნი კროსბი (პიტ) | 30 |
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 28 |
| პატრიკ შარპი (ჩიკ) | 20 |
| კორი პერი (ანა) | 19 |
| დანიელ სედინი (ვან) | 18 |
| ლოგან კუტური (ს-ხოს) | 18 |
| ალექსანდრ სიომინი (ვაშ) | 18 |
| რიკ ნეში (კოლამ) | 17 |
| რაიან კესლერი (ვან) | 17 |

**პასები**

| | |
|---|---|
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 36 |
| მარტინ სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 33 |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 31 |
| ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტ) | 28 |
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 28 |
| პაველ დაციუკი (დეტ) | 27 |
| კრის ლეტანგი (პიტ) | 25 |
| რაიან უიტნი (ედმ) | 25 |
| დანიელ სედინი (ვან) | 25 |
| დერეკ როი (ბაფ) | 25 |

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ბაჰრეინი-იორდანია | 2:1 |
| ყატარი-ირანი | 0:0 |
| ს. არაბეთი-ერაყი | 0:1 |

**ინგლისი**

**ჩემპიონშიპი**

| | |
|---|---|
| ქოვენთრი-ქუინზ პარკი | 0:2 |
| ბრისტოლი-კრ. პალასი | 1:1 |
| ბარნლი-სკანთორპი | 0:2 |
| ჰალი-რედინგი | 1:1 |
| ლიდსი-პორტსმუთი | 3:3 |
| მილუოლი-ლესტერი | 2:0 |
| ნორვიჩი-შეფილდი | 4:2 |
| პრესტონი-მიდლსბრო | 1:3 |
| სუონსი-ბარნსლი | 1:0 |
| უოტფორდი-კარდიფი | 4:1 |

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| მილტონი-ბორნმუთი | 2:0 |
| პლიმუტი-ნოტსი | 1:1 |
| საუთჰემპტონი-ჰადერსფილდი | 4:1 |
| სუინდონი-პიტერბრო | 1:1 |

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| ბარნეტი-სტოკპორტი | 1:3 |
| ჩელტენემი-ბრედფორდი | 4:0 |
| ჯილინგემი-პორტ ვეილი | 3:0 |
| ოქსფორდი-მაკლსფილდი | 2:1 |

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| კიდერმინსტერი-ნიუპორტი | 2:3 |
| უიმბლდონი-ისტბურნი | 3:0 |
| ბეტი-ფორესტ გრინი | 2:4 |
| კემბრიჯი-მენსფილდი | 1:5 |
| ფლიტვუდი-საუთპორტი | 2:0 |

**პორტუგალია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ფრეამუნდე-ეშტორილი | 2:2 |

**ისრაელის თასი**

| | |
|---|---|
| ირონი-აშდოდი | 1:0 |
| მაკაბი (ფ-თ)-ბეითარი | 1:1 პენ. 4:2 |

**კალათბურთი**

**იტალია**

| | |
|---|---|
| ბენეტონი-მონტეპასკი | 77:79 |
| აველინო-კაზერტა | 79:68 |
| ბიელა-კანტუ | 74:75 |
| რომა-სასარი | 92:80 |
| ტერამო-ბრინდიზი | 65:57 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| ეფესი-ოიაქი | 101:54 |

**ჰოკეი**

**შპენგლერის თასი**

| | |
|---|---|
| სკა-სპარტა | 4:1 |
| დავოსი-კანადა | 3:2 |

**კჰლ**

| | |
|---|---|
| სიბირი-მეტალურგი (ნ) | 2:1 (ო) |
| ავტომობილისტი-ნეფტეხიმიკი | 1:3 |
| მეტალურგი (მ)-აკ ბარსი | 0:3 |
| ცსკა-იუგრა | 4:2 |
| დინამო (რ)-ავანგარდი | 2:3 |

**მს. ჩემპიონატი**

**UNDER 20**

| | |
|---|---|
| ფინეთი-შვეიცარია | 4:0 |
| კანადა-ჩეხეთი | გვ. დას. |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ვენა-აკრონი | 6:3 |
| გრაცი-ზალცბურგი | 7:4 |
| კლაგენფიურტი-ალგა | 8:2 |
| ლინცი-ზაგრები | 2:1 |
| ოლიმპია-ვილახი | 5:2 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ვოლფსბურგი-იზერლონი | 1:0 |
| კიოლნი-ინგოლშტადტი | 3:2 (ბ) |
| მანჰაიმი-დიუსელდორფი | 2:3 |
| ნიურნბერგი-აისბარენი | 2:5 |
| შტრაუბინგი-ჰამბურგი | 5:4 (ბ) |
| ჰანოვერი-მიუნხენი | 3:7 |

**დანია**

| | |
|---|---|
| ოდენსე-ფრედრიკშავენი | 1:4 |
| ოლბორგი-სონდერიისკი | 2:3 |
| ჰვიდოვრე-ესბერგი | 3:2 |
| ჰერნინგი-როდოვრე | 6:2 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| რუსენბორგი-სტიორნენი | 7:3 |
| სტორჰამარი-ლორენსკოგი | 3:2 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ჟილინა-სლოვანი | 1:5 |
| ზვოლენი-სკალიცა | 1:2 |
| მარტინი-ტრენჩინი | 4:1 |
| ნიტრა-ბისტრიცა | 5:6 (ო) |
| პოპრადი-კოშიცე | 4:5 (ბ) |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ილვესი-ტაპარა | 2:6 |
| იოკერიტი-ბლუზი | 2:3 (ბ) |
| კალპა-ჰიფკ | 4:3 (ო) |
| პელიკანსი-ლუკო | 0:1 |
| საიპა-კერპეტი | 0:1 |
| ტპს-იუვიასკიულა | 2:4 |
| ჰპკ-ესეტი | 3:2 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ვიტკოვიცე-პარდუბიცე | 2:1 (ბ) |
| ბუდეიოვიცე-ბრნო | 5:4 |
| კარლოვი ვარი-ბოლესლავი | 4:1 |
| ლიტვინოვი-ტრშინეცი | 6:3 |
| სლავია-პლზენი | 3:1 |
| ლიბერეცი-კლადნო | 4:2 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| მოდო-ლულეო | 2:4 |
| სიოდერტალე-იურგორდენი | 1:2 |
| ტიმრა-ფერიესტადი | 0:4 |
| ფრიოლუნდა-ბრიუნასი | 3:2 |
| ჰვ71-აიკ | 8:2 |
| შელეფტეო-ლინჩოპინგი | 1:2 (ბ) |

## TV პროგრამა

**29 დეკემბერი. ოთხშაბათი**

**НТВ-პლიუსი (სპორტი)**

14:40 სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სწრაფდაშვება. ბორმიო. იტალია (LIVE).
17:55 სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სლალომი. I ცდა. სემერინგი. ავსტრია (LIVE).
20:55 სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სლალომი. II ცდა. სემერინგი. ავსტრია (LIVE).
23:00 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი. ქალები. ფინალი. შვეიცარია (LIVE).
04:25 ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ახალგაზრდულები. ჯგუფური ეტაპი. კანადა-ნორვეგია. აშშ (LIVE).

**НТВ-პლიუსი (ტენისი)**

18:30 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი. ქალები. სოპოტი (პოლონეთი)-ვოლეი ფუტურო (ბრაზილია); ყველა ვარსკვლავი (პოლანდია)-ვოლერო (შვეიცარია) (LIVE).
21:00 ბადმინტონი. მასტერსი. კოპენჰაგენი. დანია (LIVE).

**НТВ-პლიუსი (კალათბურთი)**

04:00 NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-გოლდენ სტეიტი (LIVE).

**SPORT+**

17:40 ფიგურული სრიალი. რუსეთის ჩემპიონატი (LIVE).

**EUROSPORT**

14:45 სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სწრაფდაშვება. ბორმიო. იტალია (LIVE).
18:00 სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სლალომი. I ცდა. სემერინგი. ავსტრია (LIVE).
18:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. ოთხი ტრამპლინის ტურნე. HS137. ობერსტდორფი. გერმანია (LIVE).
20:45 სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სლალომი. II ცდა. სემერინგი. ავსტრია (LIVE).

**EUROSPORT-2**

18:00 ჰოკეი. შპენგლერის თასი. 1/4 ფინალი. შვეიცარია (LIVE).
23:15 ჰოკეი. შპენგლერის თასი. 1/4 ფინალი. შვეიცარია (LIVE).
04:30 ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ახალგაზრდულები. ჯგუფური ეტაპი. კანადა-ნორვეგია. აშშ (LIVE).

## ამბები

**ჰოკეი**

### მეათე ოთხასიანი

მნიშვნელოვანი დღე იყო გუშინ „დეტროიტ რედ უინგზის" მეკარე **კრის ოსგუდისთვის**. მან კარიერაში მე-400 გამარჯვება იზეიმა. ეს „კოლორადოსთან" მატჩში მოხდა, რომელიც „დეტროიტმა" ოვერტაიმში 4:3 მოიგო. 38 წლის ოსგუდი შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს.

კრისი მეათე მეკარეა ისტორიაში, ვინც 400 მატჩის მოგება შეძლო. სულ მან 742 მატჩი ჩაატარა რეგულარულ ჩემპიონატში. აქედან 66 ფრედ დასრულდა, 216 შეხვედრა ძირითად დროში წააგო, 29 - ოვერტაიმში.

გამარჯვებების რაოდენობით NHL-ის ყველა დროის ლიდერია „ნიუ ჯერსის დევილზის" გოლკიპერი **მარტინ ბროდო**. მისი რეკორდი 607 შეხვედრას უდრის.

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ „დეტროიტს" შეტევით ხაზში კიდევ ერთი დანაკლისი აქვს - ფეხი მოიტეხა ფორვარდმა **დენ კლირიმ**. ჰოკეისტის განცხადებით, ის მინიმუმ ერთი თვე ვერ შეძლებს თამაშს.

არადა, ამ სეზონში კლირი „დეტროიტის" ერთ-ერთი წამყვანი ფიგურაა - 16 გოლით ის **იოჰან ფრანცენთან** ერთად „რედ უინგზის" საუკეთესო სნაიპერია.

შეგახსენებთ, რომ „დეტროიტის" ლაზარეთში არიან **მაიკ მოდანო** და **პაველ დაციუკი**.

### ოტავამ ლიდერი დაკარგა

„ოტავა სენატორზის" წარმომადგენლებმა დაადასტურეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კლუბის ერთ-ერთმა ლიდერმა **ჯეისონ სპეცამ** მხრის ტრავმა მიიღო და გაურკვეველი ვადით გამოეთიშა თამაშს.

თავდამსხმელმა დაზიანება „პიტსბურგთან" მატჩში, მცველ **კრის ლეტანგთან** შეჯახებისას მიიღო. სპეცამ დამოუკიდებლად დატოვა ყინული, მაგრამ მალე გასახდელში წავიდა და მოედანზე აღარ დაბრუნებულა.

წინასწარი ვარაუდით, ფორვარდი მინიმუმ ექვსი თვე ვერ შეძლებს თამაშს, მაგრამ ზუსტი თარიღი ჯერჯერობით უცნობია.

### კლასიკა არ იქნება?

პირველ იანვარს ჰოკეის ეროვნულ ლიგაში მნიშვნელოვან მოვლენას ელოდებიან - ტრადიციული Winter Classic, ანუ თამაში ღია ცის ქვეშ. სტადიონ Heinz Field-ზე მოწყობილ სახელდახელო მოედანზე პრინციპული მეტოქეები - „პიტსბურგ პინგვინზი" და „ვაშინგტონ კეპიტალზი" შეხვდებიან.

მაგრამ მატჩი შეიძლება გაუქმდეს და ამის მიზეზი ცუდი ამინდია. პროგნოზის მიხედვით, პირველ იანვარს პლუს 5-10 გრადუსი და წვიმაა ნავარაუდები და ასეთ პირობებში თამაშის ჩატარება შეუძლებელი იქნება.

მთავარი პრობლემა წვიმაა, რადგან ამ დროს ყინულზე გუბეები წარმოიქმნება, რაც ჰოკეისტების ტრავმიანობის რისკს ზრდის.

თუ მატჩი არ გაიმართა, მას მოგვიანებით „პიტსბურგის" საშინაო არენა - Consol Energy Center უმასპინძლებს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ამბები

ველოსპორტი

### კონტადორი სეზონს გეგმავს

ტურ დე ფრანსის ჩემპიონის **ალბერტო კონდატორის** ახალმა გუნდმა Saxo Bank-მა ესპანელი ველომრბოლი მარტში, მურსიის ტურის მრავალდღიან რბოლაში მონაწილეობისთვის ოფიციალურ განაცხადში შეიყვანა. არადა, ჯერჯერობით გრძელდება 28 წლის ველომრბოლის დადებით დოპინგსინჯთან დაკავშირებული საქმის გარჩევა.

როგორც იცით, კონტადორს ორწლიანი დისკვალიფიკაცია და ტურ დე ფრანსის ტიტულის ჩამორთმევა ელის კლენბუტეროლის გამოყენების გამო.

ვარაუდობენ, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას იანვრის შუაში გამოიტანენ.

კალათბურთი

### ლენგფორდი ბოსნიელი გახდა

რუსეთის „ხიმკის" ამერიკელი მცველი **კიტ ლენგფორდი** უახლოეს მომავალში ბოსნიის მოქალაქეობას მიიღებს და 2011 წელს ევროპის ჩემპიონატზე ამ ქვეყნის ნაკრებში ითამაშებს.

ლენგფორდი წლევანდელი ევროლიგის ჯგუფური ეტაპის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე იყო - 16 მატჩში საშუალოდ 17.8 ქულა, 3.3 მოხსნა და 2.6 შედეგიანი პასი დააგროვა.

ციგურებით სირბილი

### ჰოლანდიელმა ჩემპიონმა კარიერა დაასრულა

ცნობილი ჰოლანდიელი მოციგურავე, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი **მარიან ტიმერი** დიდი სპორტიდან მიდის. მან ოფიციალურად გამოაცხადა კარიერის დასრულების შესახებ. ამ გადაწყვეტილების მიზეზად სპორტსმენმა ცოტა ხნის წინ, სპრინტში ქვეყნის ჩემპიონატზე წარუმატებელი გამოსვლა დაასახელა. 27 დეკემბერს ტიმერმა 500 მეტრ დისტანციაზე მე-14 ადგილი დაიკავა.

სხვა დისტანციებზე გამოსვლისგან ტიმერმა თავი შეიკავა. მან ჯერ ავადმყოფობა მოიმიზეზა, შემდეგ კი ერთ-ერთი ტელეარხის ეთერში კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა.

ტიმერი სპორტიდან წასვლას 2010-11 წლების სეზონის ბოლოს გეგმავდა. მას შეეძლო ქვეყნის საციგურაო ფედერაციისთვის ყოველგვარი შერჩევის გარეშე მარტში მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლა ეთხოვა, მაგრამ უარი განაცხადა.

36 წლის ტიმერმა ორი ოქრო 1998 წელს ნაგანოს ოლიმპიადაზე მოიპოვა - 1000 და 1500 მეტრ დისტანციებზე, ერთხელ კი 2006 წელს ტურინში იმარჯვა - 1000 მეტრზე. გარდა ამისა, ჰოლანდიელი მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი გახლავთ.

მძლეოსნობა

### ბოლტი გააქტიურდა

მსოფლიოს საუკეთესო სპრინტერი **უსაინ ბოლტი** არა მხოლოდ რეკორდების დამყარებით, არამედ საქველმოქმედო საქმიანობითაც არის ცნობილი.

იამაიკელმა მძლეოსანმა საკუთარ ქალაქში სკოლის რეაბილიტაციაში შეიტანა უდიდესი წვლილი, 40 ათასი დოლარი დახარჯა ადგილობრივი პოლიკლინიკის რესტავრაციისთვის, გარდა ამისა, პლანეტის უსწრაფესმა ადამიანმა ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობის სრული კომპლექტი გადასცა ხუთ საშუალო სკოლას.

ჩოგბურთი

### უაილდ-ქარდები დარიგებულია

ავსტრალიის ღია პირველობის ორგანიზატორებმა ორ ჩოგბურთელს - **ალისია მოლიკსა** და **მეტიუ ებდენს** გადასცეს სპეციალური მიწვევა (უაილდ-ქარდი) - წერს „დიდი სლემის" პირველი ტურნირის ოფიციალური ვებგვერდი.

უაილდ-ქარდის მოსაპოვებლად გამართულ ტურნირში მოლიკმა ნახევარფინალში წააგო **ელენა დოკიჩთან**, ებდენი კი ამავე ეტაპზე დამარცხდა **პეტერ ლუჩაკთან**. დოკიჩმა და ლუჩაკმა ფინალები წააგეს, მაგრამ ორგანიზატორებმა ისინიც ჩასვეს ტურნირის ძირითად ბადეში. ასევე სპეციალური მიწვევები გადაეცათ ოლივია **როგოვსკასა** და **მარინკო მატოშევიჩს**.

ავსტრალიის ღია პირველობა 17-30 იანვარს გაიმართება.

### მალეევა ფედერაციის თასს უმიზნებს

ბულგარული ჩოგბურთის ვეტერანი, 35 წლის **მაგდალენა მალეევა** მზად არის 2011 წელს თავისი ქვეყნის ნაკრებს ფედერაციის თასზე დაეხმაროს. 1-5 თებერვალს ბულგარეთის ნაკრები სტუმრად შეხვდება ისრაელის ნაკრებს.

თუმცა მსოფლიოს ყოფილ მეოთხე ჩოგანს ჯერ არ აქვს გარანტირებული შემადგენლობაში მოხვედრა. მისი კონკურენტები არიან - **ცვეტანა პირონკოვა, დია ევტიმოვა, ელიცა კოსტოვა** და **ვიქტორია ტომოვა**.

ყველა დროის საუკეთესო ბულგარელმა ჩოგბურთელმა 2005 წელს დაასრულა კარიერა, მაგრამ წელს სექტემბერში დაბრუნდა კორტზე და ქვეყნის ჩემპიონატი მოიგო, რის შემდეგაც ალაპარაკდნენ მისი პრო-ტურში სავარაუდო დაბრუნების შესახებ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



მაგდალენა მალეევა პრესკონფერენციაზე

## სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი

# ფრანგული ჰეთ-თრიკი



ტესა ვორლი

საშობაო არდადეგების შემდეგ განახლდა სამთო-სათხილამურო სპორტში მსოფლიოს თასის გათამაშება. ქალმა მოთხილამურეებმა ფრანგულ კურშეველიდან ავსტრიის კურორტ ზემერინგში გადაინაცვლეს. გუშინ პირველობა გიგანტურ სლალომში გათამაშდა და **ლინდსი ვონისა** და **მარია რიშის** შემდეგ, ამ რბოლამ სეზონის მესამე დომინატორი გამოავლინა - ეს გახლავთ ფრანგი **ტესა ვორლი,** ვინც აღნიშნული დისციპლინა ზედიზედ მესამედ მოიგო.

ვორლი დიდი უპირატესობით დაწინაურდა პირველი ცდის შემდეგ. მას კვალში ჩაუდგნენ სლოვენიელი **ტინა მაზე** და გერმანელები - მარია რიში და **კატრინ ჰიოლცლი,** თუმცა მათი ჩამორჩენა საკმაოდ სოლიდური იყო.

წესით, ვორლის კონკურენტი კიდევ ერთი გერმანელი, ამ დისციპლინაში ვანკუვერის ოლიმპიური ჩემპიონი **ვიქტორია რებენსბურგიც** უნდა ყოფილიყო, მაგრამ პირველი დაშვების შემდეგ ის მხოლოდ 28-ე პოზიციაზე აღმოჩნდა - ამის მიზეზი ტრასაზე დაშვებული სერიოზული შეცდომა იყო.

ვიქტორიამ მდგომარეობის გამოსწორება სცადა და პატარა სასწაულიც მოახდინა - 28-ე ადგილიდან მეცხრეზე გადაინაცვლა. მეორე ცდაზე მისი შედეგის გაუმჯობესება მხოლოდ ამერიკელმა **ჯულია მანკუზომ** შეძლო, რამაც მას მეხუთე ადგილი მოუტანა. არადა, მეორე დაშვებამდე ჯულია მხოლოდ მე-18 იყო. ვორლის გამარჯვების მიუხედავად, ეტაპის გმირებად სწორედ ეს მოთხილამურეები გამოცხადნენ.

რაც შეეხება ლიდერებს შორის ბრძოლას, აქ თავიდან ავსტრიელმა **ელიზაბეტ გიორგლმა** მოიპოვა ინიციატივა, მაგრამ მისი შედეგი მალე გერმანელებმა - ჰიოლცლმა და რიშმა გააუმჯობესეს. არ გაუმართლა ტინა მაზეს. სლოვენიელი შეცდა და გერმანელების წინ გაშვებამ მოუწია, ტესა ვორლიმ კი უშეცდომოდ გაიარა ტრასა და უდიდესი უპირატესობით მოიგო ეტაპი. მან გაიმეორა ამერიკელი **ტედ ლიგეტის** შედეგი, რომელსაც მამაკაცებს შორის ასევე ზედიზედ სამი გიგანტური სლალომი აქვს მოგებული.

შეიცვალა ლიდერი საერთო ჩათვლაში - ვონმა მხოლოდ მეშვიდე ადგილი დაიკავა და კვირა-ნახევრის წინ მოპოვებული ლიდერობა ისევ რიშს გადააბარა.

დღეს იმავე ზემერინგში ქალები სლალომში შეეჯიბრებიან ერთმანეთს.

**ზემერინგი (ავსტრია)**

**ქალები**

**გიგანტური სლალომი**

1. **ტესა ვორლი** (საფ) - 2:09.66; 2. **მარია რიში** (გერ) - +0.62; 3. **კატრინ ჰიოლცლი** (გერ) - +0.78; 4. **ელიზაბეტ გიორგლი** (ავსტრია) - +0.85; 5. **ჯულია მანკუზო** (აშშ) - +1.17; 6. **ტინა მაზე** (ნორ) - +1.29; 7. **ლინდსი ვონი** (აშშ) - +1.40; 8. **კატრინ ცეტელი** (ავსტრია) - +1.52; 9. **ვიქტორია რებენსბურგი** (გერ) - +1.75; 10. **ფაბიან სუტერი** (შვეიც) - +1.85...

**საერთო ჩათვლა**

1. **მარია რიში** (გერ) - 658 ქულა; 2. **ლინდსი ვონი** (აშშ) - 617; 3. **ელიზაბეტ გიორგლი** (ავსტრია) - 416; 4. **ტანია პოუტიაინენი** (ფინ) - 380; 5. **ტინა მაზე** (სლოვენ) - 373; 6. **ჯულია მანკუზო** (აშშ) - 339...

## ლაურეატები

# ნადალმა ათწლეული მოიგო



ნადალი ათწლეულის სპორტსმენია

მსოფლიოს პირველი ჩოგანი **რაფაელ ნადალი** ესპანეთის ათწლეულის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს. გამოკითხვა ქვეყნის წამყვანმა სპორტულმა გამოცემა „მარკამ" ჩაატარა. გარდა ამისა, ნადალი „2010 წლის ათლეტი" გახდა გაზელ „ელ პაისის" ვერსიით.

ორივე გამოკითხვაში რაფას კონკურენტები იყვნენ „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" კალათბურთელი **პაუ გასოლი** და „ფერარის" პილოტი **ფერნანდო ალონსო**.

„მარკას" გამოკითხვაში მონაწილეობდა 50 ათასზე მეტი ადამიანი. „დიდი სლემის" ტურნირების 9-გზის გამარჯვებულმა დაახლოებით 20 ათასი ხმა მიიღო, იმ დროს, როცა მეორე ადგილზე გასულ გასოლს 7 ათასმა კაცმა დაუჭირა მხარი, ალონსოს - 6 ათასმა. მეოთხე და მეხუთე ადგილებზე გავიდნენ ფეხბურთში მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონები - მადრიდის „რეალის" მეკარე **იკერ კასილიასი** და „ბარსელონას" ნახევარმცველი **ჩავი ერნანდესი**.

■ ■ ■

ათწლეულის შეჯამება გადაწყვიტა ესპანეთის საკალათბურთო ლიგამ. მან ჩემპიონატის მოქმედი და ყოფილი მოთამაშეები ორ ჯგუფად დაყო: ლეგიონერებად და ესპანელებად და განვლილი დეკადის საუკეთესო ათეულები გამოავლინა.

**ლეგიონერები**

1. ლუის სკოლა (ტაუგრესი - 2001/07)
2. დეიან ბოდიროგა (ბარსელონა - 2002/05)
3. ლუის ბალოკი (უნიკახა, რეალი, კახასოლი)
4. ტიაგო სპლიტერი (ტაუგრესი - 2003/10)
5. ლუ როე (ხიხონი, ალიკანტე, სან ფერნანდო)
6. ელმერ ბენეტი (ტაუგრესი, რეალი, ხუვენტუდი, კახასოლი)
7. პიტ მიკელი (ბრეოგანი, ტაუგრესი, ბარსელონა)
8. ანდრეს ნოჩიონი (ტაუგრესი - 2001/04)
9. შარუნას იასიკიავიჩუსი (ბარსელონა - 2001/03)
10. დეიან ტომაშევიჩი (ტაუგრესი - 2002/05)

**ესპანელები**

1. პაუ გასოლი (ბარსელონა)
2. ხუან კარლოს ნავარო (ბარსელონა)
3. რუდი ფერნანდესი (ხუვენტუდი)
4. ფელიპე რეიესი (ესტუდიანტესი, რეალი)
5. ხოსე კალდერონი (ალიკანტე, ფუენლაბრადა, ტაუგრესი)
6. ხორხე გარბახოსა (უნიკახა, რეალი)
7. რიკი რუბიო (ხუვენტუდი, ბარსელონა)
8. მარკ გასოლი (ბარსელონა, ხირონა)
9. კარლოს ხიმენესი (ესტუდიანტესი, უნიკახა)
10. ალბერტო ერეროსი (რეალი)

## კრივი

# ევანდერის დიდი გეგმები



ჰოლიფილდი ბოთას წინააღმდეგ

სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონი, ამერიკელი **ევანდერ ჰოლიფილდი** თვე-ნახევრის განმავლობაში ორ ბრძოლას ჩაატარებს. თავდაპირველად ლეგენდარული მოკრივე 2011 წლის 22 იანვარს გავა რინგზე და თავის თანამემამულეს **შერმან უილიამსს** შეხვდება. 5 მარტს კი დაგეგმილია ბრძოლა დანიელ **ბრაიან ნილსენთან**.

48 წლის ჰოლიფილდისა და 38 წლის უილიამსის შეხვედრა თავდაპირველად 5 ნოემბერს იყო დანიშნული, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო რამდენჯერმე გადაიდო. მას შემდეგ, რაც ჰოლიფილდი ნილსენს ბრძოლაზე მოელაპარაკა, უილიამსთან ჩხუბის ჩატარება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა, მაგრამ ახლა ბრძოლის თარიღი დაზუსტებულია.

უილიამსთან შეხვედრის ადგილი დადგენილი არ არის, ნილსენთან ჩხუბისთვის კი ჰოლიფილდი დანიაში ჩასვლას აპირებს.

ევანდერმა ბოლო 10 წლის განმავლობაში 13 ბრძოლა გამართა - აქედან ექვსი მოიგო, ექვსჯერ დამარცხდა და ერთი ფრედ დასრულდა. ბოლოს ის რინგზე 2010 წლის აპრილში გავიდა და ნოკაუტით დაამარცხა სამხრეთაფრიკელი **ფრანსუა ბოთა.** რაც შეეხება უილიამსს, 2009 წლის ოქტომბერში მან სირიელ **მანუელ ჩარუსთან** წააგო და მას შემდეგ რინგზე აღარ გასულა.